


825
1985

ISSN: 0763-7247



გუგუაბი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში

პარიზი	№4	Paris

იანვარი	1985	Janvier



„თავისუფლება, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
„შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,
„შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
„შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!“ – ი ლ ი ა

SANTA MARIA

მსურს, რომ წარმოვსთქვა ეს ჩემი ლოცვა,
სულის ტაძარში სიმწუხარეა,
ყრმობის ყვავილი ზამთარმა მოწვა,
Santa Maria, Santa Maria.

კვნესოდა სული მწირი ობლობით,
მესაიდუმლე ჩემი, მთვარეა;
ლაყვარდი ზეცა მიხმობს უცნობი,
Santa Maria, Santa Maria.

ქარი ოცნების სამეფოს ხევადა,
მესმის ზარების მწუხარი არია;
უკუნისამდე ანგელოსებთან,
Santa Maria, Santa Maria.

ბინდდება ღამის იშლება თხემი;
სხივთა თამაში ერთი წამია
და ქერუბიმთა აწ რეკვიემით,
შემინდე, ჩემო, წმინდა მარიამ.

გიორგი ტოგონიძე
პარიზი 29.07.1952.

21.566.

60

საქართველოს
ქართული
ლიტერატორთა




1985 წლის საახალწლო

კიდევ ერთხელ მოგგენიქა ბედნიერება ახალ წელთან შეხვედრისა. მომავალი წელი ჯერ კიდევ საიდუმლოებებითაა მოსილი... ოდითგანვე ჩვენი ხალხი (და, არა მარტო ჩვენი). სიხარულით ეგებებოდა კალანდობა - ახალ წელს, იკრიბებოდნენ ურთიერთისას ნათესავ - მეზობლებ - ნაცნობ - მეგობრები, იგიწებდნენ წარსულის უთანხმოება - უკმაყოფილებას, შურსა და შუღლს, ატარებდნენ დროს მხიარულად, რომ დაკვებებოდნენ მხიარულებად თანხმობა და სიყვარული. იცოდნენ ერთიდან მეორესთან გადასვლა, გადაბმული ქეფები, ერთმანეთის მილოცვები... და სადღეგრძელოები. რას ულოცავდნენ ერთმანეთს? ჯანმრთელ, ბედნიერ, უხვმოსავლიან... და გამარჯვების წელიწადს. გამარჯვების, რადგანაც მტრებზე გამარჯვება, „ძლიერი ქართველთა ნათესავთა მტერთა ზედა“ მუდამ ყოფილა ქართველი კაცის ნატურა - ოცნება და არა მშვიდობა მონობაში.

ახლაც, როგორც არასოდეს, გვმართებს არდავიწყება მამაპაპური კარგი ზნე - ჩვეულებებისა. ჩვენც, გუშაგის მკითხველნი, მოკეთენო და სრულიად ქართველნი, მხიარულებით შევხვდეთ ამ ახალ - 1985 წელს და გადავძახოთ ურთიერთს: იყავ დღეგრძელი და ჯანმრთელი, იყავ გულმხიარული და ლაღი, ვითა ფრინველი მონავარდე ცის კაბადონზე, იყავ მედგარი და უშიშო, ვითარცა უხორცო, იყავ მძლევი ყოველთა პირადისა შენისა და მამულისა შენისა მტერთა ზედა.

არასოდეს არ ყოფილა იოლი ძლევა მტერთა ზედ. მუდამ საჭირო იყო ქართველების დიდი მორალურ-სულიერი წრთობა და ფიზიკური ამტან-გამძლეობის გასაღებდევება. ეროვნულ ბარძიმში განათლულ მამულიშვილისთვის აღარ არსებობდა საშიშროება უცხო ეშმაკეულთაგან ცდუნებისა, ხოლო რიცხვმრავალ მტრებთან გამკლავება ხერხდებოდა ხოლმე ქართველობის ერთობით. სავალალოდ ჩვენდა, ზოგჯერ ძლიერი და ვერაგი მტერი ახერხებდა ქართულ ძალების დაქსაქსვას და ზოგიერთი მათგანის სულიერ გარყვნა - ვათახსირებას. ეს საშიშროებანი არასოდეს არ ყოფილან ისეთი მომაკვდინებელნი, როგორც ისინი დღეს არიან ჩვენი სამშობლოს მომავლისათვის. ამიტომაც გვმართებს, ამ მიმართულებით ჩვენი მზრუნველობის გაათქეცება.

ისიც უდავოა, რომ რაგინდ ძლიერი და რიცხვმრავალი არ აყოს არმი, თუკი მან გამარჯვების იმედი და რწმენა დაჰკარგა, იგი



უსათუოდ დამარცხდება ადრე თუ გვიან. აქედან გამომდინარე, რაგინდ ღღევანდელი მტერი ძლიერი არ ჩანდეს, დამარცხებულმა ქართველ ხალხს გული არ უნდა გაუტეხოს, გამარჯვების რწმენა და იმედი არ უნდა დაჰკარგოს, წინააღმდეგობაზე ხელი არ უნდა აიღოს, მტრის დამორჩილების იდეას არამც და არამც არ უნდა შეეგუოს და შეეჩვიოს.

ამიტომაც, ჩვენი საახალწლო ლოცვა - ვედრება იქნება :

ჩვენი სამშობლოს მფარველო ღვთისმშობელო დედაო მარიამ, გვიშუამდგომლე ყოვლის შემძლე მამაზეციერის წინაშე, რათა ყველა ქართველს შთაგვიდგას სული სპეტაკი მამულიშვილის, გვიბოძოს ნიჭი ეროვნული ერთობისა და ურთიერთ გამტანობისა და გაგვიმტკიცოს რწმენა ჩვენს ეროვნულ მტრებზე ძლევისა. ამინ!

მიმავალი 1984 წელი

1. ჩვენს სამშობლოში

— „გუშაგი“ №2- დან მკითხველებმა იციან, რომ მიმავალი წლის 15 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესმა სახამართლომ გაასამართლა ტაქსის მძღოლი ზაქარია ლაშქარაშვილი, ქარხნის მუშა ტარიელ ღვინიაშვილი და ეკონომისტი გურამ გოგბაიძე. პირველს მიუსაჯა 5 წლის თავისუფლების აღკვეთა და შემდეგ 2 წლის გადასახლება, დანარჩენ ორს — 4-4 წლის თავისუფლების აღკვეთა. მათ ბრალი ედებოდათ „ანტისაბჭოთა საქმიანობასა და პროპაგანდაში“, კერძოდ მათ ბრალდებოდათ „საქართველოს დამოუკიდებლობის“ პარტიის ხელმძღვანელობა. ეს პარტია დაარსებულა 1979 წელში, ლაშქარაშვილის ინიციატივით, თეორიული და პრაქტიკული ხელმძღვანელობით, ღვინიაშვილი განაგებდა ორგანიზაციის საინფორმაციო განყოფილებას, ხოლო გოგბაიძე იყო მოლარე და ჰკრეფდა საწევრო გადასახადებს. ხშირად იმართებოდა ორგანიზაციის წევრთა ფარული საერთო კრებები. ორგანიზაციას ჰქონდა მისი წესდება, ფიცის ტექსტი, დერბი და ალამი. საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიამ სხვათა შორის დაბეჭდა და სკოლებში გაავრცელა გეორგიევსკის სელშეკრულების 200 წლისთავის ზეიმის საწინააღმდეგო ფურცლები, რაც



მიზეზი გახდა პოლიციის მიერ მისი აღმოჩენის.

— მხოლოდ წელს გახდა ჩვენთვის ცნობილი, რომ 1980 წლის ოქტომბერში საქ—ს სსრ უმაღლეს სასამართლოს, იგივე „ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის„ ბრალდებით გაუსამართლებია: ვაჟა ჟღენტის, ზურაბიკო გოგია, და ვახტანგ ჩიტავა. კერძოდ მათ ბრალი ედებოდათ ფურცლების გავრცელებაში, რომლებიც მოუწოდებდნენ ბრძოლას დამოუკიდებელი საქართველოსათვის. სასამართლომ მიუსაჯა: ვ. ჟღენტს 6 წლის შრომის ბანაკი და 3 წლით გადასახლება, ვ. ჩიტავას 5 წლის ბანაკი და 2 წლით გადასახლება და ზ. გოგიას 4 წლის ბანაკი. სამივე უმაღლესი ცოდნითა და კომპარტიის წევრია.

— 1983 ივნისში, კაგებემ, სხვა ოპოზიციურ ახალგაზრდებთან ერთად, დააპატიმრა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი დავით ბერძენიშვილი. მას ბრალად ედებოდა „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ დაარსებაში და ამ პარტიის ორგანო „სამრეკლო“-ს გამოცემაში. 1979-80 წლებში გამოსულა „სამრეკლო“ 5 ნომერი. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ბედი ეწვია დ. ბერძენიშვილს.

— ჩვენმა მკითხველებმა ისიც იციან, რომ 1983 წლის გაზაფხულ-ზაფხულში მთელ საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში ადგილი ჰქონდა გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის ზეიმის საპროტესტო პროკლამაციების გავრცელებასა და ქუჩებში საპროტესტო გამოსვლებს, რის გამოც კაგებემ დააპატიმრა ორი ათეული ახალგაზრდა. იმავე წლის აგვისტოში თბილისის ქალაქის სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: სტუდენტ ირაკლი წერეთელს 4 წლის შრომის ბანაკი, სტუდენტებს: პაატა საღირაძეს და ვია ჭანტურიას, ისტორიკოსებს: თამარ ჩხეიძეს და ზურაბ ცინცაძეს, მოსამსახურე მარინა ბაღდავაძეს და ტელეხედვის რედაქტორს ლ. შაკიშვილს 3-3 წლით შრომის ბანაკები, ხოლო სტუდენტი მ. გიორგაძეს ორი წლით სამხედრო სამსახური.

ამ პოლიციური დევნის ციებცხელებიდან ისიც ცხადია, რომ ქართველი ხალხის, განსაკუთრებით მისი ახალგაზრდობის, ღრმა უკ-



მაყოფილებას გულში ჩუმად აღარ იკლავენ, ადამიანის უფლებათა დაცვის თხოვნებისა და პეტიციების შემდეგ, იწუებენ გზების და საშუალებების ძიებას ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსაპოვებლად, გამოდიან ქუჩებში საპროტესტო მანიფესტაციებით, აარსებენ პოლიტიკურ პარტიებს და ორგანიზაციებს; აარსებენ საინფორმაციო საშუალებებს. ბრძოლის პირველ ხაზზეა ახალგაზრდობა და ეს ასეც უნდა იყოს. რაც მთავარია: ბრძოლის სწორი და საიმედო გზა მათ უკვე ნაპოვნი აქვთ. ესაა მასიური, დემოკრატიული გზა. მართალია: გააგებული ხელისუფლება შემოდგომის ბზიკივით იკბინება, ციხე ბანაკებით უმასპინძლდება მშვიდობიან მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ფიჭვი არაა, პირუტყვული შიში აღარ არსებობს, ადამიანები კაცებად არიან ქვეულნი, ერთი დაქერილის ადგილს ხვალ ათი დაიჭერს, ბრძოლაში თანდათან მეტი და მეტი ჩაებმება და ეჭვი არაა: იგი გამარჯვებით დაგვირგვინდება.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა საბჭოთა ხელისუფლების პოლიციური და იდეოლოგიური შევიწროებისაგან სასოწარკვეთილებაში ჩაგარდნილი ზოგიერთი ახალგაზრდა უკიდურეს საშუალებას მიმართავს. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ასეთ უკიდურეს მოქმედებას ადგილი ჰქონდა შარშან 18 ნოემბერს, როცა საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენელ ახალგაზრდების ჯგუფმა სცადა სამგზავრო თვითმფრინავის გატაცება, დასავლეთში გამოსვლის განზრახვით. ცნობილია, რომ ცდა ტრადიკულად დამთავრდა: მოიკლა: 3 გატაცების მცდელობის მონაწილე, 3 თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრი და 2 მგზავრი, დაიჭრა ათამდე მგზავრი და ერთი ბორტგამყოლი. ყველა ამ მსხვერპლის პასუხისმგებლობა აკისრია ხელისუფლების გადაწყვეტილებას და ღონისძიებას, არ დაუშვას თვითმფრინავის გატაცება, თუნდაც ამას შეეწიროს მთელი თვითმფრინავი, თავისი მგზავრებით და ეკიპაჟით.

თვითმფრინავში დაღუპულ გამტაცებლებიდან: გრიგოლ ტაბიძე შესაძლებელია მოჰკლა შტურმანმა გასოიანმა, დავით მიქაბერიძემ თავი მოიკლა, ხოლო იოსებ (სოსო) წერეთლის შეასახებ, ამ უკანასკნელად შემდეგი სარწმუნო ცნობა მივიღეთ:

„იოსებ წერეთელი მძიმედ იქნა დაჭრილი, უშიშროების კომანდოს მიერ თვითმფრინავის იერიშით აღების დროს, ის მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც მოუვლელად დატოვეს რომ მომკვდარიყო. ირკვევა, რომ მისი გადარჩენა შეუძლებოდა. მისმა მშობლებმა არ იციან



თუ სად განისვენებს მისი ცხედარი.“

ამ ტრალედის შემდეგ აქტს ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის აგვისტოში, როცა საბჭოთა ოფიციალურმა სააგენტომ გამოაცხადა, საჭ. სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენი, რომლის მიხედვითაც, „ 4 საჰაერო პირატს სასჯელის უმაღლესი ზომა—სიკვდილი მიესაჯათ.“

თუმცა მაშინვე „საქინფორმის“ განცხადებაში ნათქვამი იყო: „განაჩენი საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება, თხოვნა შეწყობების შესახებ, საჭ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უარყო“-ო, ჩვენ მაინც წყალწალბებულივით ხავეს ვეკიდებოდით, ვიმედოვნებდით, რომ თვით საბჭოთა ხელისუფლებაც კი ასეთ ბარბაროსობას არ ჩაიდენდა. ოფიციალური არხებით მათ შესახებ აღარავითარი ცნობები აღარ არის, ხოლო სამშობლოდან დასავლეთში უკანასკნელ ხანებში ჩამოსულები დარწმუნებული არიან, რომ 4 ნოემბერს სიკვდილის სასჯელი სისრულეში იქნა მოყვანილი. ამრიგად, მამა თეოდორე (ერისკაცობაში თეიმურაზ ჩიხლაძე) 33 წლის მღვდელი, რომელსაც არც კი მიუღია მონაწილეობა თვითმფრინავის გატაცების ცდაში, ძმები კახა და პაატა ივერიელები (იგივე ლეიშვილები), კახა 29 წლის ექიმი თერაპევტი, პაატა 27 წლის ექიმი-ქირურგი, და გერმანე (გეგვა) კობახიძე, 23 წლის კინომსახიობი ჯალათის თუ ჯალათების ხელებმა იმსხვერპლენ.

ჩვენს აღფრთოვებას და მწუხარებას საზღვარი არა აქვს! მართლმსაჯულების სახელით ჩადენილი ეს სახელმწიფო მკვლელობა, საბჭოთა ხელისუფლების ნაცადი ტერორისტული აქტია, რომლის მიზანიც ცხადია: შიშის ზარი დასცეს, ეროვნული დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს.

2. სა ბ ლ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი

იური ანდროპოვის სიკვდილს და ჩერნენკოს გახელმწიფებას ჯერჯერობით არ მოჰყვლია რაიმე თვალსაჩინო ცვლილება, საბჭოთა კავშირის არც საშინაო და არც საგარეო სარბიელზე. თუმცა საბჭოთა პროპაგანდა თავს არ იზოგავს მისი პიროვნების კულტის შესაქმნელად, მაგრამ, როგორც სამართლიანადაა ნათქვამი: არარაისგან არც იქმნება არარაისი. ლეონიდ ბრეჟნევის ჩრდილში გაზრდილი ნუ-ლი, ახლა წლებისა და სნეულებისაგან კიდევ უფრო დამცირებული, ძნელი დასაჯერებელია, რომ მეორე ნაპოლეონად მოველინოს საბჭო-



თა რუსეთის იმპერიას.

ჩვენ ამ ჩვენს მოკლე მიმოხილვაში არ შევხებით საბჭოთა კავშირის სამინაო მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება 3 კარდინალური პრობლემით: ეროვნული, ეკონომიკური და ადამიანის უფლებები.

ეროვნული პრობლემა, საბჭოთა რეჟიმის აქტიუვის სუსტი ქუსლია. ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის დღის წესრიგში დგას, არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ აგრეთვე: ლიტვა, ლატვია, ესტონეთსა და უკრაინაში. ამ ქვეყნების პატრიოტ შვილთა ის დიდი რიცხვი, რომლებიც საბჭოთა ციხე-გადასახლებებში იტანჯებიან, ან დასავლეთში პოლიტიკურ თავშესაფარს ეძებენ, უდავო საბუთია იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ეროვნული პრობლემა მწიფდება და მისი ახლო მომავალში გადაჭრა გარდუვალია. საბჭოთა იმპერიის სისუსტის მეორე დიდი საშინაო ფაქტორია, მისი მუსულმანური სამყარო, რომლის დაშლა და რუსულ ინტერნაციონალიზმში გათქვეფის პოლიტიკა საბოლოოდ დამარცხდა. თავისი სწრაფად მზარდი დემოგრაფიით, რელიგიურ-კულტურულ-ზნე-ჩვევების მკვეთრი განსხვავებულებით, საბჭოთა მუსულმან ხალხების ერთობა დიდ საშიშროებას წარმოადგენს, არა მარტო საბჭოთა იმპერიისათვის, არამედ აგრეთვე ყველგვარი რუსული ბატონობისათვის. ამ რეალურ საშიშროებას კიდევ უფრო აძლიერებს ხომეინის ირანის, პაკისტანის და ავღანეთის პარტიზანების მებრძოლი მუსულმანური ენტეგრისმი, რომლებიც ძალიან დიდ გავლენას ახდენენ მეზობელ საბჭოთა მუსულმანებზე.

საბჭოთა ეკონომიკა? ის არა ქრონიკულ, არამედ მუდმივ კრიზისშია და, რაც დრო გადის ეს კრიზისი უფრო მწვავედება და მისი გარეშე თვალისგან დამალვა შეუძლებელი ხდება. ზოგიერთ ზერეულე მეთვალყურეს საზღვარგარეთიდან ეჩვენება, ვითომც საბჭოთა სოფლის მეურნეობა იყოს მხოლოდ არაპროდუქტული, არანაყოფიერი, რადგანაც დასავლეთში ჩვენ უფრო ხშირად გვესმის და ვკითხულობთ ცნობებს, საბჭოთა კავშირის მიერ, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, დიდძალი მარცვლეულის, ხორცის, კარაქის და სხვა სურსათ სანოვაგის შესყიდვის შესახებ. ეს გასაკვირვებელია, საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ რიგში უნდა დააკმაყოფილოს მისი მცხოვრებლების კვების მინიმალური მოთხოვნილებები. მაგრამ მოსახლეობა ასევე მწვავე ნაკლებობას განიცდის ტანსაცმელისას, ფეხსაცმელისას, ოჯახის ავეჯისას, თუ სხვა ნებისმიერი ცხოვრებისთვის აუცილებელი საგნების, იარაღებისა და მანქანებისას. მთელი საბჭოთა ეკონო-

მიკა და ვაქრობაც, რომელიც უძლურია დამზადებული საჭიროების წესრიგიანად მიიტანოს მომხმარებლამდე, საჭიროებს ძირფესვიან რეფორმას. ეს არ შეიძლება არ იცოდენ საბჭოთა ხელისუფლებმა, მაგრამ ისინი უძლურნი არიან საჭირო და აუცილებელი რეფორმების გატარების, რადგანაც ამისთვის მათ დასჭირდებოდათ უარი თქვან მათ ძირითად მარქსისტულ დოგმებზე, რაც იქნებოდა მათი პოლიტიკური თვითმკვლელობა.

რაც შეეხება მესამე კარდინალურ სატკივარს—ადამიანის უფლებებს, აქაც საბჭოთა ხელისუფლებას სხვა იარაღი არ გააჩნია, გარდა პოლიციური რეპრესიებისა, რამაც არ შეიძლება ანტაგონიზმი სულ უფრო და უფრო არ გააღრმავოს ხელისუფლებასა და საბჭოთა საზოგადოებას შორის, აღსანიშნავია: თუ ეროვნულ საკითხში საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია რუსების დიდი უმრავლესობის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს, სამაგიეროდ ეკონომიკურ და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების საკითხებში მისი წინააღმდეგია ყველა ხალხები, რუსების ჩათვლით.

საერთაშორისო არენაზე საბჭოთა კავშირის მდგომარეობა? კომუნისტურ ჩინეთთან ომის თუ ზავის საკითხი ისევ მოუფიქრებელია. ავღანეთში ხუთი წლის წინად შეჭრილი საბჭოთა ჯარები, რომელთა რიცხვი, შემცირების მაგივრად, სულ უფრო იზრდება და წელს ასომოცდაათ ათასამდე ანგარიშობენ, უძლურნი არიან გასტეხონ ავღანელი პარტიზანების წინააღმდეგობა, რაც ჩრდილს აყენებს საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც სამხედრო უძლევლობის მითს, ისე საერთაშორისო პოლიტიკას, რომლის საჯაროდ გამოცხადებული მიზანია: ერთა შორის მშვიდობა, ყველასთვის ერთგვარად სასარგებლო აღებ-მიცემა და მეგობრული კულტურულ-სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობა. ამ ნოემბერში, უკვე მეხუთეჯერ, „გ.უ.შ.“-ს საერთო კრებამ, თავის რეზოლუციაში ავღანეთის შესახებ, რომელსაც ხმა მისცა 119-მა სახელმწიფომ, წინააღმდეგ-20-მა და თავი შეიკავა 14-მა, მოითხოვა ყველა უცხო ჯარების გაყვანა ამ ქვეყნიდან, ავღანეთის დამოუკიდებლობისა და მიუმხრობელი სახელმწიფოს საერთაშორისო გარანტია და ავღანეთის შინაური პოლიტიკის საკითხების ისე გადაწყვეტა, რომ სამშობლოდან გადახვეწილმა ავღანეებმა, რომელთა რიცხვი 4 მილიონს აღწევს, ნებაყოფლობით დაუბრუნდნენ მათ სამშობლოს. ეს რეზოლუცია კენჭის საყრელად შეტანილი იყო 45 მიუმხრობელ სახელმწიფოს წარმომადგენლების ჯგუფისგან,



რაც თავისთავად დიდი მარცხია საბჭოთა დიპლომატიისათვის, ნოლო ამ წლის კენჭისყრის შედეგებს გასულ წლისას თუ შევადარებთ, შევამჩნევთ, რომ საბჭოების კლიანტების რიცხვი შემცირებულია, რადგანაც იგივე რეზოლუციას შარშან ხმა მისცა 116-მა, 20-მა წინააღმდეგ და 17-მა თავი შეიკავა. აქედან ცხადია, რომ შარშანდღემა სამმა ნეიტრალურმა სახელმწიფომ, წელს ხმა მისცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ავღანეთის საკითხში.

კრემლი ასევე დიდ სიძნელებებს აწყდება აზიის შორეულ აღმოსავლეთში. მართალია ის ბატონობს ყოფილი ინდოჩინეთის ნახევარ კუნძულზე (დღევანდელი კომუნისტური ვიეტნამი), მაგრამ სწორედ ამის გამო მას დიდი უთანხმოება აქვს ჩინეთთან, რომლის კომუნისტური მთავრობაც ამ ორ ქვეყნას შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთ ძირითად პირობად აყენებს, რომ საბჭოთა მთავრობამ შეწყვიტოს ვიეტნამის შეიარაღება, დიპლომატიური მხარდაჭერა და სამხედრო ბაზების მოწყობა.

ჩინეთის მთავრობა ასევე დაჟინებით მოითხოვს კრემლისაგან, ავღანეთიდან ჯარების გაყენას და ჩინეთის საზღვრებთან ვანლაგებულ საბჭოთა არმიების რიცხვის მკვეთრად შემცირებას. ჩინეთ-საბჭოთა ხანგრძლივი უთანხმოებით უკვე კარგად ისარგებლა კომუნისტურმა ჩრდილო-კორეამ და ორივეს მორჩილებისაგან თავი გაინთავისუფლა.

ჩინეთი და საბჭოები ჩუმ, მაგრამ დაუნდობელ ომს აწარმოებენ მონღოლეთისათვის. მონღოლეთის ერთი ნაწილი, შიდა მონღოლეთი, ჩინეთის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია. მეორე- გარე მონღოლეთი საბჭოთა ხელისუფლებამ თანდათან აქცია სსრკ-ს მე-16 რესპუბლიკად, სადაც დიდძალი ჯარები უყენია, რომლებიც, რა თქმა უნდა, მიმართული არიან ჩინეთის წინააღმდეგ. ამ ორი ბუმბერაზის ჭიდილში, არ შეიძლება, რომ მონღოლი პატრიოტები არ ოცნებობდნენ დიდი და დამოუკიდებელი მონღოლეთის აღდგენაზე. სწორედ წელს, აგვისტოს თვეში, გარე მონღოლეთის დედა-ქალაქ ულან ბატორში ადგილი ჰქონდა უჩვეულო მოვლენას, რომელსაც საბჭოთა პრესამ, რადიომ და ტელეხედავამ დიდი გამოხმაურება არგუნა.

„ამხანაგი“ ცედენბალდი, რომელიც საბჭოთა კავშირის უერთგულეს მეგობრად ითვლებოდა და, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებმა არაჩვეულებრივად დიდი პრესტიჟი შეუქმნეს მთელ მსოფლიო კომუნის-

ტურ სამყაროში, უეცრად გაანთავისუფლეს, როგორც ც. კომიტეტის წევრი გენერალურ მდივნობიდან, ისე პოლიტიბუროს წევრი ილია დიდი სახალხო ხურალის, რაც საბჭოთა უმაღლეს საბჭოს უდრის, პრეზიდენტის თავმჯდომარეობიდან. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ც. კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა მის ადგილას აირჩია ამხანაგი უამბინ ბატმუხი. დადგენილებაში ნათქვამია: „ჯანმრთელობის გათვალისწინებით და მისი თანხმობით.“ (იგულისხმება ცედენბალი). ბატმუხმა ქებით მოიხსენია მისი წინამორბედი და თქვა, რომ მეც მასავით საბჭოთა კავშირის ერთგულ მეგობრობას ვავაგრძელებო. საბჭოთა ხელისუფლების ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ რუსებმა შეძლეს „ამხანაგ ცედენბალის“ ავად გახდომა და ალბათ მალე საიქიოშიაც გაისტუმრებენ, მაგრამ ეს მაინც დიდი მარცხია კრემლის „ყოვლის მხილველ და ყოვლის მცოდნე“ მმართველებისათვის.

კრემლი გულდამწვინებული არ არის არც სსრკ-ს დასავლეთით, მის სატელიტ კომუნისტურ ქვეყნებში. აქ მას არ ასვენებს „ტიტიზმის“ ჭრდილი. მიუხედავად დაუზოგავი მათრახის პოლიტიკისა, ვარშავის კომუნისტური ბლოკი ის მონოლითი აღარ არის, როგორც იყო სტალინის სიცოცხლეში. თითოეული მისი წევრი, კომუნისტური სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ილტვის და ახერხებს კრემლის არტახებიდან თავის სრულ დაღწევას თუ ვერა, არტახების მოშვებას მაინც. იქნებ პარადოქსულად მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე მეტად პოლიციური რეჟიმი შოეჩესკუს რუმინეთისა, ყველაზე უკეთ ახერხებს დამოუკიდებელ პოლიტიკას და ზოგჯერ კრემლის საწინააღმდეგოსაც. ამის მაგალითები ბევრია, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინოა, რომ მან რუმინეთის ტერიტორიაზე არ დაუშვა ვარშავის ბლოკის სამხედრო მანევრები.

წელს აგრეთვე საჯაროდ გამომჟღავნდა, რომ დაუფარავი მუქარების გარეშე, საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ხელი შეეშალა კომუნისტური და დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოების დაახლოებისათვის.

მაგრამ ყველაზე მეტად მაინც პოლონეთი უფროსობს ძილს კრემლის შესვეურებს. სამხედრო გადატრიალებით, გენერალ იარუხელსკის მეთაურობით, კრემლმა მხოლოდ მოჩვენებით ნორმალიზაციას მიაღწია, სინამდვილეში კი პოლონეთი ამოფრქვევის წინაშე მდგომ



ვულკანს მოგვაგონებს და ისეთი პოლიციური ტერორები, ეროვნული
 მაგალითად მამა პოპიელუცკოს აღმამფოთებელი მკვლელები, ცნობილია
 დევ უფრო აღრმავებს უფსკრულს პოლონეთის საზოგადოებასა, რო-
 მელიც პოლონეთის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას მოითხოვს
 და საბჭოთა ხელისუფლებასა და მის პოლონელ აგენტებს შორის.
 გენერალი იარუზელსკი ცდილობს მისასვლელი ხიდი საბოლოოდ არ
 ჩატეხოს არც ერთ მხარესთან, მაგრამ შეძლებს კი ხანგრძლივად
 ამ პოზიციაზე დგომას? 4 წელიწადია, კაცობრიობა დიდი ინტერე-
 სით ადევნებს თვალყურს პოლონეთის კრიზისს. მან შეიძლება კიდევ
 უფრო დიდი სიურპრიზის წინაშე დაგვაყენოს მომავალ წელში.

კრემლის პოლიტიკამ აშკარა მარცხი განიცადა დასავლეთ ევროპის
 და „ოტან“-ის მიმართ, ახალი ამერიკული საშუალო სიშორის ბირ-
 თვული რაკეტების განლაგების აღკვეთის საქმეში. ცნობილია: რო-
 გორც კი ამ რაკეტების განლაგება დაიწყო ფედერალურ გერმანია-
 ში, საბჭოთა კავშირმა დემონსტრაციულად და-
 ტოვა მოლაპარაკება ამერიკის შ.შტ.-ს წარმომადგენლებთან, რო-
 გორც ბირთვული, ისე კლასიკური შეიარაღების შეზღუდვის თაობა-
 ზე და დაიწყო ბირთვული ომის აპოკალიპსური საშინელებით მუქა-
 რა, თუ დაუყოვნებლივ ამერიკა და „ოტანი“ ამ იარაღს ევროპიდან
 არ გაიტანდნენ და მის იქ განლაგებაზე ხელს საბოლოოდ არ აიღე-
 ბდნენ. კრემლის ამ აურზაურმა, ვერც „ოტანს“ ააღებია ხელი მის
 გადაწყვეტილებათა განხორციელებაზე და ვერც მსოფლიო საზოგადოე-
 ბის ამხედრება შეძლო, ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მთავრო-
 ბების წინააღმდეგ. ჩიხში მომწყვდეული და შერცხვენილი ჩერნენ-
 კო და მისი თანამზრახველნი ახლა ეძებენ გზებს, რომ როგორმე,
 პრესტიჟის დაუკარგავად, დაბრუნდნენ უკან, მათ მიერ შარშან
 ბოიკოტგამოცხადებულ მოლაპარაკებების განსაახლებლად. ამის გა-
 მო დღევანდელი ახალი წელი უფრო მშვიდი, ნაკლებად დაძაბულია,
 ვიდრე ის იყო ერთი წლის წინად, თუმცა საერთაშორისო გამანა-
 დგურებელი ომის თავიდან აცდენის არავითარი გარანტია ჯერ არ
 არსებობს.

ცენტრალურ ამერიკაში კრემლის პოლიტიკის წარმატება-წარუმა-
 ტებლობა ცვალებადობით ხასიათდებოდა. მას საბოლოოდ ხელი ააღე-
 ბინეს პატარა კუნძულ გრენადის სამხედრო ბაზად გადაქცევის ცდა-
 ზე. სამაგიეროდ მან მთელი ყურადღება გადაიტანა ნიკარაგუის შე-
 საიარაღებლად, მის სამხედრო ბაზად გადასაქცევად. საბჭოთა სტრა-



ტეგების გეგმები ძნელი გამოსაცნობი არ არიან: კუბისა და ნიკარაგუის სამხედრო და პოლიტიკურ ბაზებიდან თანმიმდევრულად გაასაბჭოონ სალვადორი უპირველესად, სადაც ყველა პირობები მომზადებულია, შემდეგ კოსტა-რიკა, პანამა, პანამის ღიდათ სტრატეგიული არხის კონტროლისათვის, ონდურა, გვატემალა... და მექსიკა, რომ უშუალოდ ფრონტი გაუხსნას ამერიკის შ. შტ.-ს.

თუ ამ გეგმის განხორციელებას კრემლი შეძლებდა, მაშინ იგი ვაჭრობას გაუმართავდა ჩრდილოეთ ამერიკის მთავრობას: ვადი დასავლეთ ევროპიდან და ხმელთაშუა ზღვის აუზიდან და სამავიეროდ მე ცენტრალურ ამერიკას დავტოვებო. ამერიკამ კიდევაც რომ არ დააკმაყოფილოს კრემლის ასეთი პრეტენზიები, მას საკმაო ძალები აღარ აღმოაჩნდებოდა შორს მყოფი ევროპის დასაცავად, მაშინ, როცა მას უშუალოდ საზღვრებთან გაუჩნდებოდა მუქარა და შიგნითაც თავს წამოყოფდნ დემოკრატიის მტრები. ეს ანბანური ჭეშმარიტება თითქოს არ ესმით ამერიკის მოკავშირე ევროპის პასუხისმგებელ პირებს, განსაკუთრებით სოციალისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს, რომლებიც ანტიკაპიტალისტური იდეოლოგიით დაბრმავებულები, ყველმხრივ ეხმარებიან კომუნისტური ელემენტების გაბატონებას ცენტრალური ამერიკის სტელმწიფოებში და მით წყალს ასხამენ კრემლის წისქვილზე. ცხადია: რეიგანის მთავრობას კარგად ესმის ეს საშიშროება და ცდილობს მის უვნებელყოფას, ზოგჯერ საერთაშორისო მორალისათვის მიუღებელი საშუალებებითაც, მაგრამ ამ კარდინალურ საკითხში ერთსულოვნება არ არსებობს ამერიკის პოლიტიკის ყველა პასუხისმგებელთა შორის. არიან ბევრნი, არა მარტო დემოკრატიული პარტიიდან, არამედ თვით რესპუბლიკელებიდანაც, რომლებიც დათმობასა და მორიგებას ქადაგობენ, რითაც მშვენიერად სარგებლობს კრემლი და თავის პოზიციებს ამაგრებს.

ჩვენთვის უდავოა: ცენტრალურ ამერიკას და საერთოდ ლათინურ ამერიკას ესაჭიროება პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. მხოლოდ თავისუფლებისა და ჭეშმარიტ დემოკრატიულ წესწყობილებების პირობებში შეიძლება ამის განხორციელება და არა კომუნისტურ დიქტატურაში. ამიტომ ამერიკამ და ყველა სხვა დემოკრატიულმა ქვეყნებმაც მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინონ ლათინური ამერიკის ქვეყნებში არსებულ ჭეშმარიტად დემოკრატიული ძალების გამარჯვებას. არგენტინის შემდეგ,



ურუგვაიში წელს სამხედრო დიქტატურა, მშვიდობიანი და თავისუფალი არჩევნებით, შეიცვალა დემოკრატიული რეჟიმით. ვალ წელში კი ადგილი ექნება ბრაზილიის დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევნებს, დემოკრატიული, მრავალპარტიული წესით, რაც დიდ გავლენას მოახდენს მთელი სამხრეთ ამერიკის დემოკრატიზაციის სასარგებლოდ. აი ამ ძალებს უნდა დემოკრატიული დასავლეთის მხარდაჭერა და დახმარება და არა კომუნისტურ ან მოკომუნისტო ძალებს.

კრემლის პოლიტიკა სამარცხვინოდ ჩაფლავდა პრეზიდენტ რეიგანის მიმართ. საბჭოთა პროპაგანდისა და დიპლომატიის მთელი მძიმე არტილერია მიმართული იყო, რომ არ დაეშვა რეიგანის პრეზიდენტად ხელახალი არჩევა. ჯერ იყო და სრულიად დაუჯერებელი მიზეზებით ბოიკოტი გამუცხადა სანფრანცისკოს მსოფლიო ოლიმპიადას და აიძულა მისი ბლოკის ქვეყნები მისთვის რომ მიეხადათ. ამერიკამ გამოწვევა უშფოთველად მიიღო და ოლიმპიადა დიდი წარმატებით ჩაატარა; დაზარალებული გამოვიდნენ მხოლოდ იმ კომუნისტური ქვეყნების სპორტსმენები, რომლებმაც მასში მონაწილეობა არ მიიღეს. ამის შემდეგ, საბჭოთა პროპაგანდა უხეშად ერეოდა ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში, ამერიკელებს ატომ-ბირთვულ ომის საფრთხით აშინებდა, თუ ისინი პრეზიდენტად ისევ აირჩევიდნენ როლან რეიგანს. ამერიკელმა ხალხმა აქაც გამოცდა დაიკირა და ნ ნოემბერს დიდი უმრავლესობით რ. რეიგანს ნდობა განუახლა.

გუშავი

ინ დ ი რ ა გ ა ნ დ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა

მიმავალი წლის საერთაშორისო ამბებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, ინდოეთის პრემიერ-მინისტრ, ქალბატონ ინდირა განდის მკვლელობა, 18 ოქტომბრის დღით, მისი პირადი დაცვის ორი სიჭი წვერის მიერ.

ინდირა განდი შვილი იყო, ინდოეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძვლებჩამყრელისა და შემდეგ უცვლელი მეთაურის, იავარჰარალ (პანდი) ნერუსის. მამის სიცოცხლეშივე ინდირა განდი დიდ როლს ასრულებდა ინდოეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ვინაიდან ნერუსი ქვრივი იყო, ინდირა ასრულებდა ნერუსის სახ-

ლის დიასახლისობას, რაც, მტკიცე ხასიათისა და დიდი ამბიციუ-
ბის მქონე ახალგაზრდა ქალისთვის, დიდი კოზირი იყო. ინდირა განდი
რდაიკვალა 1964 წელში, ორი წლის თავზე კი, ინდირა განდი
ჩაუდგება სათავეში, როგორც ინდოეთის მმართველ პარტიას—ინდო-
ეთის კონგრესს, ისე ინდოეთის მთავრობასაც, როგორც პრემიერ-
მინისტრი. აქედან მოყოლებული, გარდა 1976-80 წლებისა, ის გა-
ნაგებდა 700 მილიონ ინდოელთა ბედს და მას ხშირად ინდოეთის
უკანასკნელ იმპერატორის უწოდებდნენ.

ინდირა განდიმ დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირთან დაა-
ხლოებაში. 1971 წელში კი მასთან დადვა „მეგობრობისა და თა-
ნამშრომლობის“ ხელშეკრულება, რომლითაც რუსებს აუსრულა მრავალსაუკუნოვანი ოცნება: ინდოეთში შეღწევისა. ინდოეთ - საბჭო-
თა დაახლოება - კავშირს, რა თქმა უნდა, ასაზრდოებდა და ასა-
ზრდოებს საერთო გეო-პოლიტიკა. მათი პოლიტიკური კავშირი მი-
მართულია მეზობელ პაკისტანისა და ჩინეთის წინააღმდეგ. ინდო-
ეთის დიპლომატიურ დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთა-
შორისო ფორუმებზე ამერიკის და დასავლეთ ევროპის სახელმწიფო-
ების წინააღმდეგ, ამიტომ ინდირა განდის სიკვდილი ასე მწვავედ
და შეშფოთებით განიცადეს საბჭოთა ხელმძღვანელებმა. ინდოეთისა
და საბჭოთა კავშირის გარედაც, მთელი მსოფლიო შეაშფოთა
ინდირა განდის ტრადიკულმა დასასრულმა. ის იყო ერთ-ერთი ძვე-
ლი, დიდი ავტორიტეტის მქონე სახელმწიფო მეთაური, განვითარე-
ბადი ქვეყნების უთვალსაჩინოესი ლიდერი და მათი გაერთიანების
თავმჯდომარე უკანასკნელ ხანში. ინდირა განდის სიკვდილით გა-
გამოწვეული შეშფოთება, იმითაცაა გამოწვეული, რომ ინდოეთის
შინაური პოლიტიკური მდგომარეობა მეტისმეტად აწეწილია და
მის შემდეგ აღარავინ ჩანს სათანადო ავტორიტეტის მქონე, რომელსაც მისი შეცვლა შეეძლოს.

ინდირა განდი მსხვერპლი გახდა სიქთა ნაციონალიზმის. ასეთი
უკიდურესი აქტი რომ გასაგებია იყოს, საჭიროა მხედველობაში გვ-
ქონდეს ინდოეთის სახელმწიფოს ზოგიერთი თავისებურება. ინდო-
ეთის ფედერალური რესპუბლიკა წარმოადგენს მრავალ ეთნიურ და
რელიგიურ მოზაიკას. ინდოეთის ფედერაციის ოფიციალური ენებია
ინდოური და ინგლისური, მაგრამ მის შემადგენელ 18 შტატსა და
10 ტერიტორიაში 14 სახელმწიფო ენა არსებობს და უამრავი კი-
ლოკალები. უმთავრესი ენებია, ჩრდილოეთის: მაჰარატი, ბენგალი,

გუჯარატი, ორია, რაჯასტანი და დრავიდული ენები; სამხრეთით: ტალუგუ, ტამილი, კანარა, მალაიალამი და სხ. რელიგიის მხრივ, უმრავლესობა მუსულმანები (500 მილიონამდე), შემდეგ მონღოლური მუსულმანები (70 მილიონამდე), შემდეგ - ქრისტიანები (16 - 17 მილ.), სიქები (13-14 მილ.) და ბუდისტები.

ასეთი რელიგიური და ეთნიური სიჭრელე იწვევს ბუნებრივ შეურიგებლობას, ხშირად ანტაგონიზმსაც, რაც დარბევებსა და პოგრომებში გადადის ხოლმე. ხელისუფლება, რომელიც მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ემანაციია, ფარულად ან აშკარად ხელს უწყობს მცირე ეთნების და რელიგიების ასიმილაციას. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი დემოკრატიული ქვეყანაა, უმცირესობაში მყოფი ხალხები ხშირად იძულებული არიან უკიდურეს ტერორს მიმართონ, რომ თავი დააღწიონ ასიმილაციას, შეინარჩუნონ საკუთარი ეთნიურ-რელიგიური განსხვავებულობა. მარტო ამ უკანასკნელ 2-3 წ. განმავლობაში რელიგიურ-ეთნიური ხასიათის დარბევებს და ხოცვა-ჟლეტვებს ადგილი ჰქონდა ასემის, პანჯაბის, ჯამშირის, ანდრჰა-პრადეშის, სიკიმის და ჟამიუ-პრადეშის შტატებში.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ჟამიუ-პანჯაბის შტატში, სადაც მოსახლეობის 50%-ზე ცოტა მეტს სიქები შეადგენენ.

სიქთა სექტას ხუთი საუკუნის ისტორია აქვს. მისი პირველი გურუ (წინასწარმეტყველი) ნანაკი, რომელიც მე-15 საუკუნეში ცხოვრობდა, უარყოფდა ბრძანების კასტას და მოუწოდებდა საყოველთაო ძმობაზე. დროთა განმავლობაში სიქთა სექტა იქცა პოლიტიკურ-თეოკრატიულ მიმდინარეობად. მათ აქვთ ბიბლიის მსგავსი წმინდა წიგნი, რომელიც დიდი მოწიწებით ინახება ქალაქ ამრიცარის განთქმულ ოქროს ტაძარში. სიქები მორალურად გამოიწვრთნენ თურქული წარმომოების მოგოლის და მაჰმადიანების ბატონობის წინააღმდეგ მუდმივ ბრძოლებში. მე-17 საუკუნეში სიქებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს პანჯაბში (ხუთი მდინარეთი) და თავიანთი ხელისუფლება გაავრცელეს ჯამშირსა და პეშავარზე. სიქებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ინგლისელებსაც, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძლიენ. შემდეგ ინგლისელებმა მათგან შექმნეს ინდოეთის არმიის რჩეული ნაწილები, რომლებიც ხასიათდებოდნენ ინგლისის დიდი ერ-

თვლებით. სიქები ყველაზე დინამიური ხალხია ინდოეთში. როცა ინდოეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სიქები შოიბზოდენ ავტონომიას, მაგრამ პანჯაბის ნაწილი პაკისტანის სახელმწიფოში მოექცა, უფრო დიდი ნაწილი კი ინდოეთის კავშირში. ამჟამად ინდოეთის პანჯაბში ცხოვრობს დაახლოებით 10 მილიონი სიქი, დანარჩენი მეზობელ შტატებში არიან გაფანტული და 800 ათასამდე ცხოვრობს ქ. ნიუ-დელში. ინდუიზმსა და სიქიზმს შორის თანდათან წარმოიშვა და განვითარდა ანტაგონიზმი, რომელთა ერთ სახელმწიფოში თანაარსებობა შეუძლებელი ხდება. სიქთა შორის თავი იჩინა უკიდურესმა მიმდინარეობამ, რომლის მიზანია პანჯაბის სიქთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. მიმავალ წელში, სიქთა წმინდა ქალაქ ამნიცარსა და მთელ პანჯაბის შტატში ადგილი ჰქონდა მწვავე ინციდენტებს ინდუსებსა და სიქებს შორის, რის შემდეგაც სიქთა ყველაზე შეუურიგებელმა ელემენტებმა თავი შეაფარეს ამნიცარის ოქროს ტაძარში და იქ გამაგრდნენ. ინდირა განდიმ ჯარს ბრძანება მისცა, რომ ტაძარი იერიშით აელოთ, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია. სიქების წმინდათაწმინდა სამლოცველოს შებღალვამ მთელი სიქობა აამხედრა პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ. ინდირა განდის მკვლევლობა სწორედ ამ აქტის შურისძიებას წარმოადგენს.

ინდირა განდის მკვლევლობის გამოცხადების შემდეგ, ტელეხედვის საშუალებით, ჩვენ მოწმე ვიყავით ნიშნისმომგები სიხარულის აფეთქებისა საზღვარგარეთ მცხოვრებ, განსაკუთრებით პაკისტანში, ინგლისსა და ამერიკის შ. შტ.-ში, სიქების. უცხოელ კორესპონდენტთა ცნობებით, თვით ინდოეთშიც სიქები ვერ მალავდნენ თავიან სიხარულს. მეორე მხრით, ინდირა განდის მკვლევლობას მოყვა მთელ ინდოეთში და განსაკუთრებით დედაქალაქში ინდუისტთა მიერ სიქ მოსახლეობის შეუწყნარებელი დარბევა, ძარცვა, ქონებახების გადაბუგვა და ხოცვა-ჟლეტა. ინდოეთის ოფიციალური ცნობით, სამი ათასამდე სიქი დაიღუპა ამ დღეებში, მაგრამ სიქთა წრეები და საერთაშორისო მეთვალყურენიც მოკლულთა რიცხვს ათი ათასობით აზგარიშობენ. ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ სიქებს სრული განადგურება ელით თუ მათი ავტონომიის საკითხი არ მოგვარდა.

ინდირა განდი, ინდოეთის მმართველი პარტიის და მთავრობის მეთაურის თანამდებობებზე, შეცვალა მისმა ვაჟმა რაჟივ განდიმ. რაჟივი არც ისე ახალგაზრდაა, მაგრამ ის ახალია პოლიტიკაში.



ინდირა განდი თავის პოლიტიკურ მემკვიდრედ ამზადებდა მის უმცირეს ვაჟს სანჟეის, რომელიც ტრადიციულად დაიღუპა 1980 წელს. რაჟეივი მანამდე სამგზავრო ავიაციის პილოტად მსახურობდა და არაერთარ ინტერესს არ ამჟღავნებდა პოლიტიკისადმი, მაგრამ უმცროსი ძმის სიკვდილის შემდეგ დედამ ის დაარწმუნა ჩაბმულიყო პოლიტიკურ ცხოვრებაში და იგი აარჩევინა „კონგრეს I“-ს გენერალურ მდივნად. ინდირა განდის სიკვდილის შემდეგ მან, როგორც შორიდან ჩანს, დაუბრკოლებლად დაიკავა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, მაგრამ სანამ ის საკმაო ავტორიტეტს მოაპოვებდეს, მანამ მან მრავალი დაბრკოლებები უნდა გადალახოს. პირველი ასეთი დაბრკოლებაა ინდოეთის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მომავალ იანვარშია დანიშნული.

ინდოეთის ტრადიციული გაკვეთილიდან ჩვენც ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია, თუ სათანადო გულისყურსა და გამჭრიახობას გამოვიჩენთ.

21566

გულბათ გულბათიშვილი

ინ ფ ო რ მ ა ც ი ე ბ ი

1. ს ა მ შ ო ბ ლ ო ზ ე

„არაჩვეულებრივი შემთხვევა...“

როგორც ფრანგული გაზეთი „ლე მონდ“ (809.84) იუწყება, 6 სექტემბერს მოსკოვიდან მიღებული ცნობების მიხედვით, „4 ქართველი პირატის“, რომლებსაც სიკვდილი მიესაჯათ, შეწყალების თხოვნით მიუმართათ ჩერნენკოსათვის საქართველოდან. შეწყალების თხოვნას ხელს აწერდნენ დიდძალი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ინსტიტუტების დირექტორები, უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორები, მწერალთა კავშირის თვალსაჩინო წევრები, მხატვრები, კომპოზიტორები, კინო-რეჟისორები, მსახიობები და სხ. მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა, წევრ-კორესპონდენტებმა, რაიონების პასუხისმგებელმა პარტიულმა პირებმა მხარი დაუჭირეს ამ თხოვნას. სიკვდილმისჯილთა დედებმა ასევე შეწყალების თხოვნით მიმართეს იგივე ჩერნენკოს.

ფრანგულ გაზეთს ეს ამბავი მიაჩნია: „არაჩვეულებრივი შემთხვევად საბჭოთა კავშირისთვის.“

საქართველოს
 ეროვნული



ვახტანგ ჩიტავას სიცოცხლე საფრთხეშია

ბელგიაში გამომავალ პერიოდულ „კაიე დუ სამიზდატ“-დან ვგვბულობთ („კ.ს.“ №103 იენისი-იგლისი 1984), რომ ახლახან „ამნესტი ინტერნაციონალს“ ლონდონში საქართველოდან მიუღია ცნობა პოლიტპატიმარ ვახტანგ ჩიტავას შესახებ. ვ. ჩიტავას, რომელიც სასჯელს იხდის პერმის 339/37 პატიმართა ბანაკში, 1983 წლის 27 თებერვალს წერილი მიუწერია მისი შვილის-ამირანისთვის. წერილში ნათქვამია: „1982 წლის 28 ნოემბერს პატიმართა ბანაკის ერთ-ერთი მოსამსახურე, გამხდარი ახალგაზრდა, რომელიც სპეციალურად იყო ნავარჯიშევი, თავს დამესხა უკნიდან, ყვლად უმიზეზოდ, და თავში დამკრა რკინის საგანი. მე ტვინის კომოცია მომივიდა, დავკარგე ორ ლიტრამდე სისხლი. ამის შემდეგ მე დამამწყდევს 20 დღით სპეციალურ იზოლიატორში, ვითომც მე გყოფილიყავი დამნაშავე.“

ვ. ჩიტავა დაბადებულია 1939 წელში, არის უმაღლესი განათლებით, დაპატიმრებამდე მსახურობდა ტექნიკური სკოლის დირექტორის თანაშემწედ ქ. რუსთავში, ჰყავს ცოლი და ორი ბავშვი, მცხოვრები: ქ. რუსთავი, ლერმონტოვის ქუჩა №4, ბინა 12.

1980 წლის ოქტომბერში საქ. სსრ უმაღლესმა სასამართლომ ვ. ჩიტავა გაასამართლა ვაჟა ჟღენტან და ზურიკო გოგიასთან ერთად. ვ. ჟღენტი დაბ. 1938 წ., უმაღლესი ცოდნით, საზოგადოება „ცოდნა“-ს მდივან-ყერანი ქ. რუსთავის მეტალურგიის ქარხანაში. ზ. გოგიაც უმაღლესი ცოდნითაა, დაბ. 1946 წ., მსახურობდა გაზეთ „სამგორის“ კორესპონდენტად გარდაბანში, ჰყავს ცოლი და შვილი, მისამართი: ქ. რუსთავი, ხალხთა მეგობრობის გამზირი №12, ბინა 49.

სასამართლომ მიუსაჯათ: ვაჟა ჟღენტს 6 წლით ბანაკში პატიმრობა, 3 წლით გადასახლება, ვახტანგ ჩიტავას 5 წლით ბანაკში პატიმრობა, 2 წლით გადასახლება და ზურიკო გოგიას 5 წლით ბანაკში პატიმრობა.

მათი ოჯახები, რომლებიც დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან, შიშობენ რომ სასჯელის მოხდის შემდეგაც მათ პატიმრობა არ გაუგრძელონ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟა ჟღენტმა, სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად, ხელი მოაწერა მიმართვას პრეზიდენტ რეიგანისადმი, მისი პრეზიდენტობის მოვალეობის დაწყებასთან დაკავშირებით.

ივერიის ეკლესიის მორალური კრიზისი

ეკონომიკური
გეოლოგიური

„საქართველოს ეკლესიის 80 ერისკაცის მიმართვა კათალიკოს - პატრიარქ ილია მე-2 -ისადმი და იმავესადმი მწერალ ზვიად გამსახურდიას წერილი დასავლეთში ცნობილი გახდა დიდი დაგვიანებითო“ - ნათქვამია პარიზში გამოშვებულ რუსულენოვან ჟურნალ-„რუსსკაია მისლ“ -ში (1984 წ. 20 სექტ-ის ნომერი), რომლიდანაც ჩვენ ეს გადმოვაქართულეთ. მართლაც 80 ერისკაცის „მიმართვა“ დათარიღებულია 1982 წლის ოქტომბრით. (გუშაგი)

80 ერისკაცის „მიმართვაში“ ნათქვამია :

„იურიდიულად ჩვენი ეკლესია, რა თქმა უნდა, გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ ერისაგან ის გამოყოფილი არაა და არც შეიძლება, რომ იყოს. პირიქით, ის უნდა იყოს ერის საუკეთესო შვილების თავმოსაყრელი, ის წინ უნდა მიუძღოდეს ერს, ასწავლიდეს მას, სულიერად ამდიდრებდეს და ამაღლებდეს. ერი და ეკლესია - ერთიანი, განუყოფელი სხეულია. ეკლესიის ტკივილი, ერის ტკივილია, და ეკლესია არა მარტო მწვავედ განიცდის ერის ტკივილებს, არამედ კიდევაც მკურნალობს მათ. ჩვენი ეკლესია არასოდეს არ ყოფილა მოწყვეტილი ერისაგან; კიდევ მეტი, ერი იბრძოდა ეკლესიისათვის, სარწმუნოებისათვის. ამიტომ ჩვენ, ერისკაცები თავს ვთვლით მოვალედ გაუწყით ყველაფერზე, რაც ჩვენ გვალევავენ.“

ვინც ცოტად ან მეტად იცნობს ეკლესიის ისტორიას, დაგვეთანხმება, რომ ეკლესია არასოდეს არ არსებულა საეკლესიო კანონმდებლობის გარეშე. საეკლესიო კანონი ისეთი იარაღია, რომელიც ეკლესიას იცავს ანარქიისა, ბოროტმომქმედთა შეღწევისა და შემთხვევით პირთა თვითნებობისაგან.

1920 წლის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების დებულებებში ვკითხულობთ : „საეკლესიო კანონს ემორჩილებიან ყველა მისი წევრები: საეკლესიო სწავლების, მორალური ცხოვრების, საეკლესიო წყობის და ეკლესიის საწინააღმდეგო მოქმედებათა საკითხებში. საეკლესიო კანონების დარღვევისათვის არსებობს განსაზღვრული სასჯელი ანუ დასჯის ღონისძიებები.“

ეპარქიებში საეკლესიო სამართალი გამოყოფილია მმართველობისაგან და ის ხორციელდება საეპისკოპოსო სასამართლოს მიერ. მას არ გააჩნია განსაკუთრებული საგამომძიებლო ორგანო, თითოეულ შემთხვევაში სასამართლო თავად ირჩევს გამომძიებელს. არ არსე-

ბოზს არც ბრალმდებლის თანამდებობა, სასამართლოს ერთ-ერთ წევრს ევალება საბრალმდებლო ოქმის შედგენა და საბრალმდებლო სიტყვით გამოცხადება; იგი მონაწილეობას არ ღებულობს განაჩენის გამოტანაში.“

„მიმართვის“ ხელის მომწერლები მოითხოვენ: „მხილებული იქნენ და ეკლესიისაგან ჩამოშორებულნი ისეთი სახელგატეხილი საეკლესიო პირები, როგორებიც არიან: ე. წ. ქუთაისის და გაენათის მიტროპოლიტი **ნიკოლოზი** (მახარაძე), ე. წ. ჭყონდიდის არქიეპისკოპოსი **იოანე** (ანანიაშვილი), ე. წ. ახალციხელი ეპისკოპოსი **ანანია** (ჯაფარიძე) და ე. წ. არქიმანდრიტი **ექვთიმე** (კოკლამაზაშვილი). ყველასათვის ცნობილია, რომ ესენი არიან მამათმავლები; იმის მაგივრად, რომ ეკლესიას მსახურებდნენ, ახალგაზრდებს მალაღი მორალის მაგალითს აძლევდნენ, ეს ზნედაცემული პირები რყვნიან ახალგაზრდებს, რაც იწვევს განსაკუთრებულ აღშფოთებას.“

თავიანთ „მიმართვაში“ ქართველი მართლმადიდებელი ერისკაცნი ეკრძნობიან რუის - ურბნისის საეკლესიო კრებას (**1103 წელი**) და მიუთითებენ, რომ მამათმავლობა „დაწყვეტილია წმინდა ბიბლიისაგან და ყველა სამოციქულო და საეკლესიო კანონების მიერ.“

„ჩვენ მოვითხოვთ, — ნათქვამია „მიმართვაში“, — საეკლესიო საბჭოსა და სასამართლოს აღდგენას, რომელიც განიხილავს მორწმუნეთა განცხადებებსა და საჩივრებს და შეისწავლის საპატრიარქოში მიღებულ ყველა სიგნალებს ჩვენი ეკლესიის ამა თუ იმ საკითხების შესახებ.“

იმავე წლის **19** დეკემბერს, ზვიად გამსახურდიამ წერილით მიმართა კათალიკოს **ილია მეორეს**. ის წერს: „ჯანსაღი ნაწილი ჩვენი ეკლესიის მოღვაწეებისა და მრევლისა დიდხანს იცავდა სიჩუმეს ეკლესიის ზოგიერთი ცალკეული წარმომადგენლების უზნეობის შესახებ, რადგანაც მათ არ უნდოდათ ეკლესიის სჯელის შებღალავა, მაგრამ, როცა მორალური ზნედაცემულობა ე. წ. არქიეპისკოპოს **ჭყონდიდელის—იოანესი** (ანანიაშვილი) ყოველ საზღვრებს გადაცდა, — მას შემდეგ, რაც მცირეწლოვანი ახალგაზრდა, მეათე კლასის მოწაფე, რომელიც ზიარების მისაღებად მივიდა, მან ომოსექსუალურად გარყვნა, — ყველას მოთმინების ფილა აივსო და მათ შორის ბევრი ჩვენი შეგნებული საეკლესიო პირისაც და აღსდგენ მოთხოვნისგან: გაძევებული იქნენ მამათმავლების ბანდა ეკლესი-



იდან.“ ამ მოთხოვნის ინიციატორებად გამოვიდნენ საქართველოს ეკლესიის სამი იერარქი: მღვდელმთავარი შიო (ავალიშვილი), ანბროსი (ქათამაძე) და ქრისტეფორე (წამალაძე). მათ „მიმართვა საქართველოს შვილებო!“-ში ნათქვამია: „ბოროტება, მძიმე ცოდვა და მკრეხელობა დაატყდა თავზე ეკლესიას. (...) ჩვენ ასე გვესმის და ასე გვწამს: ეკლესიას პატივს უნდა სცემდეს ყველა ადამიანი, იმისგან დამოუკიდებლად, არის ის მორწმუნე თუ ათეისტი. ყველას უფლება აქვს მოითხოვოს ეკლესიის მსახურთაგან წესიერება და უცოდველობა. ამიტომ, ყველა, ვინც ასე უმსგავსოდ ლახავს ჩვენი ეკლესიის ავტორიტეტს, უნდა იწვევდეს თქვენს გულისტკივილს. (...) დე, გიკარნახოთ თქვენ ამ ტკივილმა, თუ რა უნდა გაკეთდეს სამოციქულო საქართველოს ეკლესიისათვის, რომელიც დღესაც დიდია.“

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საქ.-ს საპატრიარქოს პერიოდულ გამოცემა „ჯვარი ვაჟისა“-ს 1983 წლის 2 ნომრიდან ვგებულობთ, რომ დაჩქარებული წესით, 1983 წლის 25 დეკემბერს, კათალიკოს ილია მეორეს ეპისკოპოსად უკურთხებიან მამა კალისტრატე (შოთა ილიას ძე მარგალიტაშვილი). იქვე ნათქვამია: „კათალიკოსისა და წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ეპისკოპოსი კალისტრატე დაინიშნა ქუთათელ - გენათის ეპარქიის მმართველად.“

იქვე ვკითხულობთ, რომ, ასევე დაჩქარებული წესით, 1983 წლის სექტემბერში დღესასწაულობის დღეს (1 ოქტომბერი) შესრულებულა მამა ზოსიმეს ეპისკოპოსად ხელდასხმა.

ამ ფაქტებიდან შეიძლება ორი დასკვნა გავაკეთოთ: **1.** „მიმართვებში აღძრული შემთხვევები, თუ ყველა არა, ზოგიერთი მაინც საფუძვლიანია. **2.** კათალიკოს ილია მეორისა და წმინდა სინოდის მიერ მიღებულია ღონისძიებები ცოდვილი მამათმთავრების შესაცვლელად, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთ დიდ საპასუხისმგებლო პოსტებზე, ჩვენს ეროვნულ ეკლესიას არ ჰყავს უფრო ძველი, გამოცდილი, სათანადო რელიგიური ცოდნითა და სისპეტაკით აღჭურვილი ეკლესიის მამები.



2. საბჭოთა კავშირზე

ფსიქიატრიული საპატიმროების შესახებ

მსოფლიოში წამების გაუქმებისათვის მომქმედმა ქრისტიანულმა აქციამ (ACAT) მიმავალი წლის ოქტომბერში გამოსცა თავისი თვითობითი ბიულეტენის დამატება, რომელიც მიძღვნილია სსრკ სპეციალურ ფსიქიატრიულ საპატიმროებისადმი, სადაც გვითხულობთ:

„უკვე მრავალი წელიწადია, რაც საბჭოთა კავშირში იყენებენ ფსიქიატრიულ პატიმრობას, როგორც დასჯის საშუალებას, საღი გონების მქონე ოპოზიციონერებისათვის. ამ მიზნისათვის იქ არსებობენ ჩვეულებრივი რეჟიმის საავადმყოფოები, ანდა ე. წ. „სპეციალური“ ან „ციხე-საავადმყოფოები.“

„ჩვეულებრივ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, რომლებიც სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექვემდებარება, პოლიტპატიმრების მდგომარეობა იცვლება ერთი საავადმყოფოდან მეორეში. სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ანუ ფსიქიატრიულ ციხეებში, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებიან, პოლიტპატიმრების პატიმრობის პირობები უაღრესად მძიმეა: ექიმების უყურადღებობა, ძალით ისეთი მედიკამენტების შიღებინება, რომლებიც ძალიან ცუდად მოქმედებენ ორგანიზმზე, პატიმრობის განუსაზღვრელი ვადა, რომლის წინააღმდეგაც არ არსებობს არავითარი გზა და საშუალება, მოწყალების დებად და ექთანებად არჩევენ სისხლით დამნაშავეებს, ექიმები, რომლებმაც მხოლოდ რამდენიმე თვის მომზადება გაიარეს... ყველაფერ ამას ემატება საშიშ ფსიქოპატიმრობა და გონებრივად ღრმად დაავადებულებთან ერთად ყოფნა.“

„ჩატარებული ანკეტის მიხედვით, სსრკ-ში რამდენიმე ათასი პოლიტპატიმარი იმყოფება ჩვეულებრივ და სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. პატიმრობის მიზეზია ოპოზიციის რეჟიმისადმი, აგრეთვე რელიგიის პრაქტიკა, ანდა ემიგრაციის უფლების თხოვნა, და კიდევ უბრალოდ უწყისობის და კორუპციის მხილება წარმოება-დაწესებულებებში.“



პოეტ ვ. სოკოლოვის გარდაცვალება

ლენინგრადის საპატიმრო საავადმყოფოში, 58 წლის ასაკში, გარდაიცვალა ვალენტინ სოკოლოვი, რომელმაც 34 წელიწადი ჩვეულებრივ და ფსიქიატრიულ საპატიმროებში გაატარა. პირველად ის დააპატიმრეს 1947 წელს და ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით 25 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 1956 წელში მას რეაბილიტაცია უწყეს და პატიმრობიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ ისევ მალე დააპატიმრეს და 10 წლის პატიმრობა მიუსაჯეს, რაც მან მთლიანად შეეპყრო. მესამედ ის დააპატიმრეს 1970 წელში და 1972 წლიდან ფსიქიატრიულ პატიმრობაში გადაიყვანეს, სადაც ის დარჩა სიკვდილამდე.

ვ. სოკოლოვის ლექსები ხშირად ქვეყნდებოდა თვითგამოცემის ლიტერატურაში. ბევრ მის ლექსებს კიდევ მღეროდნენ. საფრანგეთის „ჰან-კლუზის“ ლიტერატურულმა საზოგადოებამ მას „თავისუფლების“ პრემია მიანიჭა და იგი წარდგენილი იყო ნობელის პრემიის კანდიდატად. ვ. სოკოლოვი თავის ლექსებს აქვეყნებდა „ვალენტინ ზეკის“ ფსევდონიმით.

მიმავალ წელში ფსიქიატრიულ პატიმრობაში გარდაიცვალა აგრეთვე ექიმი-ფსიქიატრი ალექსი კორიაგინი. მას საბჭოთა ხელისუფლებამ არ აპატია ის, რომ მან საქვეყნოდ გამოამჟღავნა ფაქტობითა და საბუთებით, რომ საბჭოთა კავშირი ფსიქიატრიას იყენებდა, როგორც პოლიტ-პატიმართა დასჯის საშუალებას.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ უკრაინელი დიდი პატრიოტი ვალერი მარჩენკო, რომელიც, 37 წლის ასაკში, ლენინგრადის პატიმართა საავადმყოფოში, გარდაიცვალა გასულ 7 ოქტომბერს. ვ. მარჩენკო პროფესიით იყო ჟურნალისტი, მცხოვრები კიევში. პირველად ის პასუხისმგებლობაში მისცეს 1973 წელში, მისი ორი სტატიისათვის, რომლებშიაც ის გამოხატავდა უკრაინელების ძიმოილაციის ფაქტებს.

საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ აგიტაციის ბრალდებით მაშინ მას მიუსაჯეს 6 წლის თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით გადასახლება. სასჯელი მან მოიხადა პერმის უმკაცრეს რეჟიმის ბანაკში, სადაც მან ჭაჭების მძიმე დაავადება მიიღო. მეორედ მარჩენკო გაასამართლეს 1984 წლის 13 მარტს, მისგან სასამართლო მოითხოვდა მოენანიებია და დაეგმო მისი ნაწერები და მოქმედებანი, უკვე სიკვდილის პირად მდგარმა მარჩენკომ მონანიების მაგივრად რეჟიმის საბრალმდებლო სიტყვა წარმოთქვა. მიმართა რა მის

მოსამართლეებს, მარჩენკომ სხვათა შორის თქვა: „როცა უნივერსიტეტში შევიდოდი, მე გავიგე, რომ 5 მილიონი უკრაინელი ბაკალავრით უარს ამბობდა მშობლიურ ენის ხმარებაზე, ამ ულამაზეს და უძვირფასეს საჩუქარზე, რომელსაც ადამიანი დაბადებით ღებულობს. აი ამ 5 მილიონს ეკუთვნით თქვენც, ბატონო მოსამართლე, ბატონო პროკურორო, ბატონო ადვოკატო.“ მიუხედავად იმისა, რომ მარჩენკო ძლივს იღვა ფეხზე, სასამართლომ მას მიუსაჯა 15 წლის პატიმრობა, უმკაცრეს რეჟიმის ბანაკში.

500 ათასი „პარაზიტი“

როგორც ცნობილია, სსრკ-ში ოფიციალურად უმუშევრობა არ არსებობს. ის, ვინც ოთხი თვის განმავლობაში არ მუშაობს და მუდმივი საცხოვრებელი ბინა არ გააჩნია, ცხადდება „პარაზიტად“ და მათზე საბჭოთა კანონი ითვალისწინებს ერთიდან ორწლამდე ბანაკში პატიმრობას. გასულ სექტემბერში ადგილი ჰქონდა მოსკოვის რეგიონის პარტიული კადრების სემინარს, რომელზედაც ინფორმაციით გამოვიდა სსრკ მთავარი პროკურორის თანაშემწე ნიკოლა ბეჟანოვი. ამ სემინარის დეტალური ანგარიში ფრანს-პრესმა მიიღო 17 ოქტომბერს. სემინარზე ნ. ბეჟანოვმა სხვათა შორის განაცხადა: სსრკ-ში ოფიციალურად აღრიცხულია 500 ათასი პარაზიტი და უსახლკარო მოხეტიალეო. მარტო 1983 წელში 90.000 პარაზიტი იქნა გასამართლებული და 11 მილიონი მოქალაქე გაჩხრეკილი და შემოწმებულიო. ძალიან ხშირია საზოგადო და სახელმწიფო ქონების ქურდობა. მარტო მოსკოვში გამომქდავანდა კორუფციის 605 საქმე. დაპატიმრებულია მოსკოვის ორი დიდი მალაზიის-წითელ მოედანთან და ნოვოარბატსკოესთან-ღირექტორები. მოსკოვის საუკეთესო გასტრონომ №1-ს ღირექტორი დახვრიტეს გასული წლის ივლისში. ბრეჟნევის მეგობრის, ყფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ნიკოლა შჩელკოვის საქმე მუდამ გამოძიებაშია. მას ბრალი ედება ქრთამების აღებაში.

ესტონელები გარბიან სამშობლოდან

შვეციის გაზეთ „სვანსკა დავბლადეტის“ ცნობით, ნოემბრის დასაწყისში ერთი ესტონელი იურისტი, კოკმავეშირის ც. კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ჰილარ რეგმა ქ. ჰელსინკში ყფნის დროს ხელიდან გაუსხლტა მის თანამგზავრებს, მიაღწია შვეციაში, სა-

დაც პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც იგივე შეეციაში თავი შეაფარა. მისი იუსტიციის მინისტრმა, ბ. ვალდო რანდბერმა, შვედური გაზეთის ცნობით, ბ. პ. რეგმა ახლო თანამშრომელი და მეგობარი იყო მინისტ ვ. რანდბერმასი.

ბ ი ტ ვ ი ს „ელუკუბრაციები“

1983 წლის 8 სექტემბერს მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტას“ თანამშრომელი ოლეგ ბიტოვი, რომელიც ვენეციის საერთაშორისო კინო-ფესტივალს ესწრებოდა, უეცრად გაუჩინარდა. მალე ცნობილი გახდა, რომ მან პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა დიდბრიტანეთში. როგორც ცნობილია, „ლიტ. გაზეტა“ კრემლის ხელისუფალთა პორტპაროლია, არა მარტო ლიტერატურულ საკითხებში, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებშიც, ამიტომ გასაგებია, რომ ბიტოვის პიროვნებამ ინტერესი გამოიწვია დასავლეთის პოლიტიკურ და საინფორმაციო წრეებში. ბიტოვს სიზარმაცე არ გამოუჩენია, ის მრავალ წერილებს აქვეყნებდა საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე, მან ერთი წლის განმავლობაში სახელიც გაითქვა, როგორც საბჭოთა რეჟიმის მამხილებელმა და ფულიც ბლომად გააკეთა პრესიდან მიღებული ჰონორარებით.

მიმავალი წლის სექტემბრის დასაწყისში ოლეგ ბიტოვი უეცრად ისევ გაუჩინარდა ინგლისში და 18 სექტემბერს მსოფლიოს წარუდგა წინ, კრემლში მოწყობილ და მსოფლიოში გადაცემულ პრეს-კონფერენციაზე. მან მსმენელებს, რა თქმა უნდა, განუცხადა, რომ ის დასავლეთში თავის სურვილით კი არ დაჩრენილა, არამედ ინგლისის დაზვერვამ მოიტაცა, ერთი წლის განმავლობაში ინგლისის პოლიციის მკაცრ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და ბოლოს როგორც იქნა მათ თავი დააღწია.

დასავლეთში საერთოდ და ინგლისში კეძოდ, იმ წრეებში, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ბიტოვთან, ბიტოვის საქმეზე ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე აზრი არსებობს: 1. ბიტოვი თავიდანვე კაცების აგენტი იყო, ის კაცე-

ბის მითითებით დარჩა დასავლეთში, მნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად (მაგალითად, ბიტოვს შეიძლება დაეძღვა ჰქონოდა გზა-კვალი აერია იტალიის გამოძიებისათვის, რომელიც სწორედ ირკვევს ბულგარეთის იტალიაში მომქმედ აგენტების მონაწილეობას პაპ იოანე-პავლეს მკვლელობის ცდამი.) იქნებ ბიტოვმა კვებებს დავალება შეასრულა, იქნებ ვერა, ყოველ შემთხვევაში, ბიტოვი კვებებზე უკან გაიწვია და დღეს მას თავისი პროპაგანდისტისთვის იყენებს.

2. პირველი აზრის მოწინააღმდეგეები პირიქით ირწმუნებიან, რომ ბიტოვი მართლაც თავისი სურვილით დარჩა დასავლეთში, მაგრამ კვებებზე მის იქ დარჩენილ ოჯახის წევრების შანტაჟით აიძულა უკან დაბრუნებულიყო. ანდა, ისიც შესაძლებელია, ბიტოვის სურვილის წინააღმდეგ, იგი კვებებზე მოიტაცა, ახლა მას შანტაჟით იყენებს, მაგრამ ახლო მომავალში მისი დღეები დათვლილია. ამ მოსაზრებას ამაგრებს ორი ფაქტი: პირველი, ბიტოვს ბევრი ფული ჰქონდა ბანკში, რომელიც ხელუხლებლად დარჩა. ბიტოვს, რომ წასვლის დროს თავისუფლება ჰქონებოდა ამ ფულს არ დასტოვებდა. მეორე ფაქტი, ბიტოვი თავის მომვლელი კაცი იყო, ინგლისში მან დაიწყო მისი კბილების შეკეთება, მაგრამ ისე წავიდა, რომ ეს საქმე დაუმთავრებელი დარჩა. მართლაც ძნელი დასაჯერებელია, ბიტოვი უკბილებოთ დაბრუნებულიყო საბჭოთა კავშირში, თუკი დაბრუნება მისი გადაწყვეტილებით მოხდა, როგორც ეს მან განაცხადა მოსკოვის პრეს-კონფერენციაზე.

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა ს და ბ რ უ ნ ე ბ ა

ისარგებლა რა ინდოეთში ყოფნით, სადაც მან მისი მეორე ქმრის ფერფლი ჩაასვენა, 1967 წელს, სტალინის ქალიშვილმა სვეტლანამ, რომელიც მაშინ დედის გვარს-ალილუევას ატარებდა, პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა ამერიკის შ. შტატებში. მალე მან იქ გამოაქვეყნა „20 წერილი მეგობარს“, და დარჩენიდან ერთი წლის თავზე — „მხოლოდ ერთი წელიწადი“, რომლებშიაც ვაკრიტიკებულია საერთოდ საბჭოთა რეჟიმი და კერძოდ სტალინი პირადად. თუმცა, უნდა ითქვას, მასიური რეპრესიების პოლიტიკისთვის, ის უფრო სტალინის



თანამშრომლებს სდებდა ბრალს, როგორც მაგალითად ლიბერ-
ნტი ბერიას, ვიდრე მამას.

ცნობილია: სვეტლანა ახალგაზრდობაში მეტად სანტიმენტა-
ლური ხასიათის იყო. ოფიციალურად მას ორი ქმარი ჰყავდა
გამოცვლილი და მესამეზე ქვრივად იყო, სამშობლოდან გად-
მოხვეწის წინ. აქაც მას დიდხანს არ უვლოვია, მალე ერთ
ამერიკელზე დაქორწილდა, განქორწილდა, კიდევ სხვაზე და-
ქორწილდა და კიდევ განქორწილდა. ამ ქორწინებებით კი-
დევ ერთი შვილი შეიძინა და ყველაფერს ხომ თავისი ხა-
ნი და დრო აქვს, მასაც სიბერის ფლიდი და ავი ნაოჭები
შეეპარა... და, აი, უცხოეთში, ფუფუნებასა და განცხრომაში
გატარებულ 17 წლის შემდეგ, სვეტლანას თავისი შინა და
„მატუშკა-რასსია“ მოენატრა და ამრიგად, გასულ ოქტომბე-
რში ის მოსკოვში აღმოჩნდა.

დასავლეთელ კორესპონდენტების მომაბეზრებელ კითხვებზე,
მან სხვათა შორის უპასუხა: „პოლიტიკა მხოლოდ კაცების-
თვისაა მნიშვნელოვანი, ქალისთვის კი მთავარია მისი ოჯა-
ხიო.“ ოღონდაც, ოღონდაც! მხოლოდ საკითხავია: თუ სტალი-
ნის ქალიშვილი მართლაც იპოვის სულიერ წონასწორობას,
ქალურ და დედურ ბედნიერებას 17 წლის წინად რუსეთში
დატოვებულ ოჯახში? ჩვენ ამას გულწრფელად ვუსურვებდით.

კაგებე რის კაგებე იქნებოდა, რომ ასეთი შემთხვევა ხე-
ლიდან გაეშვა, როგორც დასავლეთში წესია, სვეტლანას პრ-
ეს-კონფერენცია მოუწყო და ყურნალისტებიც სათანადო შე-
ურჩია. სვეტლანამ სახიფათო კითხვებს თავი აარიდა, ხოლო,
რაც კაგებებს აინტერესებდა ხაზგასმით თქვა: „17 წლის
განმავლობაში, ვითომ თავისუფალ ქვეყანაში, არც ერთი დღე
თავისუფალი არ ვყოფილვარო.“ ქალბატონ სვეტლანას აქ მთ-
ლად ტყუილი არ უთქვია, მაგრამ მას ალბათ ნება არ მისც-
ეს ფრჩხილები გაეხსნა: თუ რა იყო მიზეზი ამისა? ამიტომ
ცოტა ჩვენც უნდა დავეხმაროთ. ის, როგორც სტალინის შვი-
ლი, არ შეიძლებოდა სრულიად თავისუფალი ყოფილიყო ისე,
როგორც არიან სხვა ჩვეულებრივი პოლიტ-გადმოხვეწილები.
ის ალბათ პოლიციის მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ იყო,
იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კაგებებს შურისმაძიებელი



მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ირაკლი ვრცელი სტატია, რომელშიც პირველად საბჭოთა კავშირის გმირადაა წარმოდგენილი სტალინის უფროსი ვაჟი, არტილერიის ლეიტენანტი იაკობ ჯულაშვილი, რომელიც გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა და უგზოუკვლოდ დაიკარგა. ი. ჯორჯაძის წერილის ჩანაფიქრი ცხადია: იაკობ ჯულაშვილის ცხოვრების დამახინჯებული ვაზვიადებით (დამახინჯებული, რადგანაც იაკობი სინამდვილეში უკმაყოფილო იყო მამით, სრულებითაც არ იზიარებდა მის პოლიტიკას.), ცამდე აიყვანოს მისი მამა სტალინის პიროვნება.

ერთი რამ ცხადია: სტალინის კულტის რეაბილიტაციის ბეჯითად მზადების დროს, მისი ერთადერთი ცოცხალი შვილის, სვეტლანას გვერდით „უშიშროებაში“ ყოლა, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან აძლევს ხელს კრემლს.

უცხოეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო შეზღუდვა

საფრანგეთში არსებობს სსრკ მორწმუნეთა დამხმარე კომიტეტი, რომლის უმაღლესი მფარველები არიან: ბატონი კარდინალი ეჩეგარე, მარსელის არშევეკი, ბატონი პასტორი შაკ მორი, საფრანგეთის პროტესტანთა ფედერაციის თავმჯდომარე, მონსენიორ მელეტიოს, საფრანგეთის ორტოდოქსული საეპისკოპოსოთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე.

კომიტეტის პასუხისმგებელია ბ. ს. ელჩანინოვი. კომიტეტის მიერ წლის ბოლოს გამოცემულ ფურცელში, ორი ჩვენთვის საინტერესო საკითხია: ერთი ეხება საბჭოთა მცხოვრებლების უცხოელებთან ურთიერთობის კიდევ უფრო შეზღუდვას და მეორე მამა გლებ იაუკუნიჩის პატიმრობის პირობებს, გთავაზობთ ორივეს სიტყვობით თარმანს.

„ახლახან მოქმედებაში შევიდა საბჭოთა მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ურთიერთობის მკაცრი შეზღუდვა. ყველაზე უფრო შემაფთოთებელია ამანათ-საჩუქრების გაგზავნის შეუძლებლობა სსრკ-ში, რასაც ადგილი ჰქონდა დასპეციალებული ფირმის (მაგალითად საფრანგეთისათვის SICO.MEX) შუ-

ხელი მას ან ცოცხალს მოიტაცებდა, ანდა ვინმეს ვინებდა და ბრალს შემდეგ ისევ ამერიკის პოლიციას გადააბრალებდა.

დასავლეთის პრესა გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს სტალინის ქალიშვილის უკან დაბრუნებას. სვეტლანას არავითარი პოლიტიკური პერსპექტივა არ გააჩნდა, არც ისაა ცნობილი, თუ მას რაიმე ეროვნული ან ზოგადსაქადაცობრიო იდეალი ასულდგმულეობდა. თავისუფლების ბანაკისათვის მნიშვნელობა არა აქვს თუ სად იქნება ის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კრემლისათვის ამ მომენტში იმის იქ ყოფნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საშინაო პოლიტიკის ხაზით. საქმე იმაშია, რომ სპეცოთა რეჟიმის საქეთმპრობელებმა დაიწყეს სტალინის პიროვნების ნელი, მაგრამ უეჭველი რეაბილიტაციის პროცესი და ჩვენი დაკვირვებით ოფიციალური რეაბილიტაცია უნდა მოხდეს მომავალ წელს, პიტლერის გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავზე, რომლის აღსანიშნავადაც კრემლი დიდი ამბით ემზადება. სტალინის პიროვნება ალბათ მაშინ წარმოჩენილი იქნება, როგორც საბჭოთა რუსეთის, „დიდი რუსი ხალხის“ ბრწყინვალე გამარჯვების ორგანიზატორი და სტრატეგი.

სტალინის რეაბილიტაცია საქართველოდან დაიწყეს. ჯერ იყო, აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ „ისარგებლა შემთხვევით“ და ქება-დიდება შეასხა სტალინს იმ დეაწლისათვის, რომელიც მას გაუღია, შალვა ნუცუბიძის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციაში, ეს იმ დროს, ამბობს ბარამიძე, როცა სტალინი ისე დაკავებული იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომის საკითხებით. ბარამიძის მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული რუსული თარგმანის გამოცემის საცდელი ნომერი, რედაქციას სტალინისთვის გაუგზავნია, რომელსაც იგი წითელი მეღნით აუპრელეზია, სადაც თავისი შესწორებები შეუტანია. ეს ისტორიული წიგნი ნუცუბიძეს ბარამიძისთვის მიუბარებია.

ამის შემდეგ ჯერ გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნდა და შემდეგ ემიგრაციისთვის განკუთვნილ ჟურნალ „სამშობლოში“ გამომოიბეჭდა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტის, საქ. სსრ

ამამავლობით, რომელიც გაგზავნის ყველგვარ ფორმალურად დასრულებულ თუ ხარჯებს იღებდა თავის თავზე. გაგზავნი მას უბრალოდ საბაჟო გადასახადსაც. ახლა კი ეს გადასახადი ამანათის მიმღებმა უნდა გადაიხადოს. იგი მეტად ძვირია. (დაახლოებით ასი მანეთი 10 კილო ამანათისთვის, მაშინ როცა საშუალო თვიური ხელფასი 160 მანეთია) საბჭოთა ხელისუფლების ამ დადგენილებას, რომელიც ძალაში შევიდა 1984 წლის 1 აგვისტოდან, აქვს დიდი მნიშვნელობა ყველა იმათთვის, ვინც იღებდა დახმარებას ამ ამანათების სახით. ისინი ხშირად განკუთვნილი იყვნენ რწმენის პატიმრების ოჯახებისათვის. მათთვის ის საგრძნობ დახმარებას წარმოადგენდა. საბჭოთა წყაროების მიხედვით, ეს დადგენილება მიღებული იქნა, ერთი მხრით, რომ „დისიდენტებს“, რელიგიურ აქტივისტებს, უკრაინის, ებრაელების, ლიტვა-ლატვია-ესტონელების ეროვნულ პოლიტპატიმრებს მოუსპონ საშუალება, რომ დასავლეთი ეხმარებოდეთ, მეორე მხრით, მათ სურთ ამოაშრონ მნიშვნელოვანი წყარო შავი ბაზრის მომარაგების.

საბჭოთა ხელისუფლების ეს დადგენილება წარმოადგენს კიდევ ერთ ღონისძიებას, რათა უფრო და უფრო მკაცრ იზოლაციაში ამყოფოს მისი მოსახლეობა უცხოეთისაგან, იგი ცხადი ნიშანია რეჟიმის გამკაცრების, რაც უკვე შეიმჩნევა 1982 წლიდან. მიმავალი, 1984 წლის ივლისში ძალაში შევიდა კანონი, რომლის მიხედვით საბჭოთა მოქალაქეთ ეკრძალებათ (დასჯის მუქარით) „უცხოელებს გაუმასპინძლდნენ“, „გადაიყვანონ“, ან მათ რაიმე „სამსახური გაუწიონ“, თუ ამისათვის მათ არ აქვთ ხელისუფლების სპეციალური ნებართვა. წელსვე მიღებული იქნა ღონისძიება, რომელიც კრძალავს, რომ საბჭ. მოქალაქემ უცხოელს მოუყვეს მისი მუშაობის პირობები. ყველაფერი ეს უსაზღვროდ აფართოებს ცნებას „ანტი-საბჭოთა პროპაგანდისას“, რომელიც პრეტექსტს წარმოადგენს აზრის და რწმენის გულისთვის პატიმრობისას.“

მამა გლებ იაკუნინის მოწამეობა

„როცა ქ. ვანკუვერში (კანადა) მსოფლიო ეკლესიათა ოკუ-

მენტურ საბჭოს კრებაზე გამოაცხადეს, რომ მამა გლეზიანი ნინს საპატიმროში ეწვია ერთი არქიმანდრიტი, მისი მიუტანა და აზიარაო, დიდი სენსაცია გამოიწვია. ამ ნაბიჯს უეჭველად მიზნად ჰქონდა, ხელი შეეშალა მამა გლეზის დაცვის სასარგებლო კამპანიისათვის.

„თავისი ვიზიტის დროს არქიმანდრიტმა, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობის განყოფილებაში მაღალი თანამდებობა ჰქონდა, მამა გლეზს რამდენიმე წინადადება მისცა: 1. ის შეიძლება დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებიათ, დაბრუნებულიყო მოსკოვში, სადაც ცხოვრობს მისი ოჯახი; 2. პატრიარქ ალექსის მიერ 1967 წ. მისთვის ჩამორთმეული უფლება წირვისა, შეიძლება გაუქმებულიყო, შეიძლებოდა მისთვის მიეცათ სადმე სამრევლო. ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდებოდა, თუ მამა გლეზი საჯაროდ მონანიებდა მის წარსულ შეცდომებს და ნაწერებს და თუ ის დადებდა პირობას, რომ აწი არასოდეს, არსად არ იმოქმედებდა საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ ეკლესიის საკითხებში. (მამა დუღოს მონანიება მას დაუსახელეს, როგორც მაგალითი.)

„თუ რა უპასუხა მამა გლეზმა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მისი გამოცნობა ადვილია იმ ამბების მიხედვით, რომლებიც მას მოჰყვნ. არქიმანდრიტის წასვლისთანავე და ვანკუვერის კრების დამთავრებისა, ბანაკის ადმინისტრაციამ დაიწყო რეპრესიები მამა გლეზის წინააღმდეგ: ის დაუყოვნებლივ განაცალკევეს და ჩამაწყვდიეს დილეგში. მას ამუშავებდნენ განსაკუთრებულ მეთვალყურეობის ქვე და არ გააჩნდა არავითარი შესაძლებლობა სხვა პატიმრებთან დაკავშირებისა.

„დილეგში საკვები ულუფა მინიმალურია: 600 გრ. პური დღეში, ცხელი საკმელი ერთჯერ ორ დღეში. არ არის ლოგინი. მხოლოდ ხმელ მიწაზე შეიძლება დაძინება. 10 დღის დილეგი წარმოადგენს ყველაზე სასტიკ სასჯელს სისხლის სამართლის დამნაშავეებისათვის, მამა გლეზი კი იქ დარჩა თითქმის ერთი წელიწადი: 1983 წ. ოქტომბრიდან 1984 წ. მაისამდე. მხოლოდ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქ. მინისტრის შუამდგომლობის შემდეგ კრემლში, ბანაკის ადმინისტრაციამ დაიწ-

 ყო მამა გლების პატიმრობის მძიმე რეჟიმის შემსუბუქება
 ის დილეგიდან გაანთავისუფლეს, მიცეს სამუშაო სამხრეთში
 ულოში, რამაც მას შეაძლებია მომჯობინება.

უნდა აღინიშნოს, რომ მამა გლები უკვე 2 წელიწადია,
 რაც მოკლებულია ვიზიტების და მიწერ-მოწერის უფლებას
 ახლობლებთან. მისი ცოლი ერთ წერილის მეტს არ ღებულ-
 ბს ყოველ ორ თვეში. მისი ახლობლების წერილები მას ვერ
 აღწევენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან არ იცოდა 1984 წ.
 აღდომის თარიღი, მაშინ როცა მას ეს მისწერეს.

„მამა გლების სასჯელის ვადის მოახლოებასთან დაკავშირე-
 ბით (1984 წ. ოქტომბერი), ბანაკის ადმინისტრაციის მოქმე-
 დება იწვევს შემფოთებას: სისტემატიურად იძახებენ პატი-
 მრებს, დაკითხვების დროს ეძებენ მიიღონ ცნობები, რომლე-
 ბიც მათ შეაძლებინებენ ბრალი დადვან მამა გლებს „რელი-
 გიურ და ანტისაბჭოთა აგიტაციაში“ და მას ამრიგად გაუგ-
 რძელონ პატიმრობა. აქედან ჩანს, რომ მამა გლებ იაკუნინი
 იმყოფება ძალიან ძნელ პირობებში, მხოლოდ საერთაშორისო
 საზოგადოებრივი აზრის ენერგიულ ჩარევას შეუძლია მისი
 დახმარება.“

ანატოლ კრასნოვ-ლევიტინ
 სექტემბერი 1984.


სამგლოვიარო განცხადებები და ნეკროლოგები

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

ძალიან დაგვიანებით გავიგეთ ეს სამწუხარო ამბავი: 1979
 წლის 18 აპრილს, ქ. რივერდალში (ნიუ-იორკის შტატი) გა-
 რდაიცვალა ბატონი ვლადიმერ ბერგმანი - ხვედელიძე.

1984 წ. 10 დეკემბერს, პარიზში გარდაიცვალა ბატონი აკ-
 კი (კაკო) გამსახურდია და დაიკრძალა ლევილში 18 დეკ.-ს.

და სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ქირისუფლებს.



ქალბატონ ასმათ ფაღავას კეთილმოგონება

ჩვენმა პატარა პარიზის ქართულმა საზოგადოებამ დიდი გულისტკივილით განიცადა ქალ. ასმათ უორდანიას-ფაღავას გარდაცვალება.

ქ. ასმათი ნოე უორდანიას და ინა კორენევის უფროსი შვილი იყო. ის დაიბადა მდელვარე 1905 წელში აპრილის პირველ რიცხვებში. თებერვალში ქ. ინა ბაქოში დააპატიმრეს. ნოე არალეგალურად ცხოვრობდა, მეგობარ ციხის ექიმის შუამდგომლობით,



ასმათი შვილიშვილ ტარიელთან ერთად გადაღებული 1984 წ.

ფეხმძიმე ქალი მოსალოგინებლად გაანთავისუფლებია, თბილისში მოალოგინა და მაშინვე-დედა-შვილი-ლანჩხუთში მშობლებთან გაისტუმრა. ლანჩხუთში აიდგა ბავშვმა ფეხი და ენაც და ალბათ ამიტომაც შერჩა მას სიკვდილამდე მისი განუმეორებელი გურული კილო.

ასმათი მშობლებთან ერთად ტოვებს მშობლიურ შავი ზღვის ნაპირებს...საფრანგეთში, ქ. ნანტში ამთავრებს ლიცეის და შედის სორბონის უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, საიდანაც მიიღო ფრანგული ენის პროფესორობის დიპლომი უცხოელთათვის.

ასმათი საუცხოოდ ფლობდა აგრეთვე ინგლისურ ენას, ამიტომ ის გაემგზავრა ლონდონში, სადაც მან დაიწყო ფრანგული ენის მასწავლებლობა ქალაქის ერთ-ერთ სასწავლებელში. მაგრამ მან იქ ვერ ატანა ვერც ჰავა და ვერც მშობლებთან განშორება და მალე დაუბრუნდა პარიზს. აქ ის მალე-1931 წელში-შეეუღლა ლევან ფაღავას და ორივემ შექმნეს, თუ ფულითა და ქონებით არა, გულით მდიდარი ოჯახი, სადაც ყველა ქართველს და ქართველების მეგობრე-

ბს მიუხაროდ. მალე მათ შეეძინათ პირველი ქალიშვილი-
ეთერი და 11-12 წლის მოგვიანებით კი მეორე-ქრისტინე.
ასმათმა მთელი თავისი ნიჭი, ენერგია და ცოდნა შვილებისა
და მეორე შვილიშვილის აღზრდას მოახმარა. საჭიროდ მიგვა-
ჩნა აღვნიშნოთ, რომ ასმათის როლი დიდი იყო ეთერი ფე-
ლდავას, ჯერ ბალეტის საერთაშორისო ვარსკვლავად ჩამოყალი-
ბებაში და შემდეგ მისი კარიერის ჰარმონიულ განვითარება-
ში. ასმათი ერთიწუთითაც არ ცილდებოდა, მუდამ თან ახ-
ლდა მოგზაურებებში მის უკვე მსოფლიოში სახელგანთქმულ
ქალიშვილს, რათა მსოფლიო დონეებზე იგი ხელოვნების
გზიდან არ აეცდინათ.

ასმათს განსაკუთრებული სინაზით უყვარდა მამა, უალრეს-
ად ამაყ იყო მისით და ისიც კარგად იცოდა, რომ ნოე ჟორ-
დანიას მემკვიდრეობა ადვილი არ იყო. თუმცა ასმათი არა-
სოდეს პოლიტიკაში არ ერეოდა, მაგრამ მისთვის აუტანელი
იყო მამამისის, არამც თუ უპატივცემულოდ ხსენება, არამედ
კრიტიკაც კი. რა დასამალია, ჩვენს ემიგრანტულ საზოგადო-
ებაში ნოე ჟორდანიას არ აკლდა არც მათაყვანებელი და არც
გამჭიქებელი, არც მეხოტბე და არც მოკრიტიკე. ასმათი ხში-
რად გულში იტანჯებოდა, საყვედურს კი მხოლოდ მას ეტყო-
და, ვისაც აბლობლად და მეგობრად თვლიდა.

ასმათი ყველას უყვარდა, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქო-
ნებია, რადგანაც მას გააჩნდა დიდი პირადი ღირსებები. იყო
თავმდაბალი, სათნო, უბრალო და დიდი მომხიბლველობით და-
ჯილდოებული, რითაც ის ყველას ხიბლავდა და თავს აყარე-
ბდა.

განსვენებული მჭერმეტყველი არ იყო, სადღეგრძელოები არ
უყვარდა, მაგრამ გულში ღრმად ჰქონდა გამჯდარი სამშობ-
ლოს ტრფობა-სიყვარული. ამას დასტური არ უნდა, მაგრამ
ერთი მაგალითი მაინც დამახასიათებელია: ასმათმა, რომ კა-
რგი ქართული ასწავლა შვილებს, ეს იქნებ ბუნებრივია, მა-
გრამ მან, რომ ენაც და გულიც ქართული ჩაუდგა შვილიშ-
ვილს-ფრანგი მამის შვილ ტარიელს, - ეს არც ისე ხშირია
ჩვენს ემიგრანტულ ყოფაში. ტარიელიც ბებიას მაღლიერი
იყო, მათ ერთმანეთი უნაზესი სიყვარულით უყვარდით და

სიყვარულის, ამ უზენაესი ადამინური ნიჭის, სათავეები
თვითვე, აწ განსვენებული, იყო.

1984 წელს, სწორედ ჩვენი დიდი ეროვნული აჯანყების
დროს, ასმათმა ბებია ქრისტინეს მოსანახულებლად საქართველოში
იმოგზაურა. აჯანყების დამარცხების შემდეგ ორივე,
ბებია და შვილიშვილად დააპატიმრეს და ბათუმის ციხეში
მოათავსეს. „იქ ჩვენ ზრდილობიანად და საკმაოდ კარგად
გვეპყრობოდა, გვაწყარებდა ციხის უფროსი რუსი, მაგრამ
როგორ უნდა დავწყარებულყავით, როცა მთელი ღამე ის-
მოდა წამებულთა ყვირილი, იყო საბარგო ავტომობილების
განუწყვეტელი მიმოსვლა: მიყავდათ დასახვრეტად პატიმ-
რებში“, იგონებდა ხშირად ასმათი, თვით სიკვდილის უკა-
ნასკნელ დღეებშიაც.


იგი მუდამ ნატრობდა, მაგრამ ეს გამოდგა მისი უკანას-
კნელი შეხვედრა სამშობლოსთან და დღეს იგი მამის გვერ-
დით განისვენებს საფრანგეთის, —რომელიც მას მეორე სამშო-
ბლოდ მიაჩნდა და, როგორც ღვიძლ შვილს, უყვარდა, —მიწაში
და იქ ორივე ელიან სამშობლოს განთავისუფლების ზარების
რეკვის ხმის გაგონებას. მანამდე კი, განისვენეთ უშფოთვე-
ლად, ქალბატონო ასმათ, მსუბუქი იყოს თქვენთვის ლევილის
სასაფლაოს მიწა, სადაც ამდენი თქვენი მოყვარული თანამემ-
ძულენი განისვენებენ.

გოგი წერეთელი

ბიჭიკო ახვლედიანთან გამოთხოვება

გაგვმორდა ქართული ემიგრანტული ოჯახის ყველაზედ უფ-
რო კოლორიტული წევრი—ბიჭიკო ახვლედიანი. კაცს, რომელ-
საც ჩვენ დღეს ვემშვიდობებით, ორი ძლიერ თვალშისაცემი
თავისებურება ახასიათებდა: ეს იყო მისი იუმორი და დაჟი-
ნებით გამოყენება იმერული დიალექტისა. ეს თვისებები, თვ-
ით მისდა უნებურად, ერთგვარი ბუნებრივი ნიღაბის როლს
ასრულებდნენ და მხოლოდ მასთან ძლიერ დაახლოებულ პირ-
თათვის იყო შესაძლებელი ამ კაცის სხვა თვისებების, ხასი-
ათის და მათი ღირებულებების საფუძვლიანად გაცნობა.

ამიტომ, მცდარნი ვიქნებით თუ ვიფიქრებთ, რომ მას ყე-

ლაფერი სახუმროდ მიაჩნდა, ან თითქოს მას სხვაგვარად საუბარი არ შეძლებოდა, თუ არ იმერულ კილოზე  ეროვნული ბიბლიოთეკა

არადა სხვაც რომ არა იყოს რა, მას ქუთაისის ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული—თანაც პირველი ხარისხით—და ეს ჯერ კიდევ იმ დროში, როცა სწავლების ხარისხი თავის სიმალლეზე იმყოფებოდა.

მაგრამ ეს ჰკვიანი, დაკვირვებული და შეგნებული კაცი, თავისი კულტურის და ინტელექტის გამომწეურებას რატომღაც ერიდებოდა, და თუ ასეთი რამ მე მას შევამჩნიე, მხოლოდ ისეთ შემთხვევისას, როდესაც მასთან სხვა მსმენელთა დაუსწრებლად მქონია საუბარი. ხოლო სულ სხვაგვად იქცეოდა იგი, როცა მრავალრიცხოვან წრეში მოხვდებოდა. აქ მისი საუბარი საკმაოდ ზერელე თემებს ეხებოდა, როგორც მაგალითად ჩაცმა-დახურვა, ცხენოსნობა, ან სხვადასხვა ანეკდოტური შემთხვევები და ამბები. მე მგონია, რომ ამის მიზეზი არ იყო არც მორცხვობა და არც თავისთავში დაუწმუნებლობა, არამედ მხოლოდ ის, რომ მას საშინლად ეჯავრებოდა ყოველგვარი მეტიჩრობა, რასაც ის ხშირად გამოზდა ამა თუ იმ პიროვნების საქციელში.

ამ იმერულად მოლაპარაკე კაცს, იმერული ზრდილობაც ახასიათებდა. ზოგჯერ გამწვავებულ გარემოში და ცხარე კამათში, საკვირველად დინჯად რეაგირებდა. ამიტომაც იყო, რომ მან შეძლო ჯელასთან კარგი დამოკიდებულება შეენარჩუნებია ჩვენს სათვისტომოში და თუ ვინმეს მწარე სიტყვასაც ეტყოდა, ამას ისეთი ფორმით გამოთქვამდა, რომ მსმენელი შეურაცხყოფილი არ ყოფილიყო.

მე არ მინდა აქ ხაზი გავუსვა იმას, რომ ბიჭიკო ეროვნულდემოკრატი იყო, არამედ ვლაპარაკობ ქართველზე, რომელიც თავის მოქალაქეობრივი ვალის მოხდას არ გაქცევია, როგორც საქართველოს მიერ გადახდილ ომების დროს, ასევე ავვისტოს აჯანყებისას, რომელშიაც მან ქიათურაში მიიღო მონაწილეობა.

ბიჭიკომ ერთგული მეგობრობა იცოდა, ხოლო რაც ზოგად დახმარებას შეეხება, იგი მუდამ მზად იყო ჯელასთავის დახმარების ხელი გაეწოდებია. საქართველოში მყოფ მის ნათესავებისათვის კი მას არაფერი დაუშურებია და არა მგონია,

რომელიმე ლტოლვილ ქართველს იმდენი გაელოს, რამდენიც ბიჭიკომ მისი-ანებისთვის.

ჯერ ცოლის ხანგრძლივმა სნეულებამ, რომელსაც იგი დიდი მზრუნველობით უვლიდა, შემდეგ მისმა საკუთარმა მტანჯველმა ავადმყოფობამ, დაქანცა და მოტეხა იგი, მაგრამ სტოიკურად აიტანა ყველაფერი და სიკვდილსაც ვაჟკაცურად შეხვდა.

სიყვარულით მოვიგონებდეთ მას, ვისაც ჩვენ ყველანი ვუყვარდით. ნახვამდის, ძმავო ბიჭიკო, ვიცი, როცა ხელახლად შეგხვდები, მხოლოდ შენი კეთილად ხსენების ამბავს მოგიტან, მაგრამ ის კი არ ვიცი, თუ შენ რა სახუმარო პასუხს გამცემ.

საუკუნო იყოს ხსენება შენი!

მიხეილ ქავთარაძე

მოკლე ბიოგრაფია: გიორგი ახვლედიანი დაიბადა 1902 წ. 3 იანვარს სოფ. ტელეფაში (ჩხარის, ახლა თერჯოლის რაიონი), მამამის ნიკოს და დედამის დესპინე შოთაძეს ჰყვდათ 3 ვაჟი და 3 ქალი. მამა ადრე გარდაეცვალათ.

ბიჭიკომ საშუალო სკოლა დაამთავრა 1922 წ. უმაღლესში შესვლა ვედარ მოახერხა, რადგანაც ოჯახი შავსიელი იყო. 1924 წ. გამოსვლებში მონაწილეობის გამო მას ხშირად აპატიმრებდენ, რამაც აიძულა სამშობლო დაეტოვებია 1930-ში.

მადლობის გამოცხადება

გიორგი (ბიჭიკო) ახვლედიანის ნათესავების და ახლომეგობრების სახელით, უღრმეს მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც: დეპეშით, წერილით, ან გასვენებასა და პანაშვიდებზე დასწრებით, თავისი სიმპათია, სიყვარული და თანაგრძნობა



გამომუშავენი ჩვენი ძვირფასი და დაუფიქრარი მიცვალებულნი ისადმი. ალექსი აბაშიძე.



შეცდომის გასწორება: „გუშაგი“ №3-ში გამოცხადებულია გარდაცვალება „...ლიუბოვ ვაჩნაძე, დაბადებული ხვოლსონ.“ უნდა იყოს: „...ლიუბოვ ქავჭავაძისა - ხვოლსონ“. უნებური შეცდომისათვის ბოდის ვიხდით განსვენებულის ქირისუფლებთან და მკითხველებთან. გუშაგი.


კრიტიკა-ლიტერატურა კვლევა - ძიება

ოთარ იოსელიანი ვენეციის ფესტივალზე

როცა ვენეციის ლიდოს ფარნები ჩაქრენ 41-ე მსოფლიო კინო-ფესტივალზე, კულისებში მითქმა-მოთქმა იყო იმის თაობაზე, რომ საფრანგეთს ჰქონდა შანსი გამარჯვებისა. კინო-სამყარო მოუთმენლად ელოდა ჟიურის გადაწყვეტილებას. ამ ფართედ წარმოდგენილ მსოფლიო კონკურსში, საფრანგეთის კინოს მართლაც უნდა რგებოდა საპატიო ადგილი, რადგანაც იგი ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ცნობილი პროდუქტორების, ე. წ. „რ“-ს მიერ (რესნე, რივეტ, როჰმერ, რუშ)...და **ოთარ იოსელიანის** მიერ, რომელიც ვენეციაში პირველად უჩვენებდა მის გრძელ მეტრაჟიან ფილმს, საფრანგეთში გადაღებულს.

საფრანგეთი მართლაც მოხვდა გამარჯვებულთა შორის, მაგრამ ჩვენი მკითხველებისთვის უფრო საინტერესო იქნება, თუ რა ბედი ეწია **ოთარ იოსელიანს**? ჟიურიმ „სპეციალური პრემია“ მიაკუთვნა **ო. იოსელიანის** ფილმს „**მთვარის რჩეულისი**.“ ჟიურიმ ამ ჯილდოთი, რა თქმა უნდა, პატივი მიაგო საფრანგეთს, მაგრამ აგრეთვე **ო. იოსელიანს** და თვით საქართველოსაც.

თუ ცნობილმა პროდუქტორმა **ფილიპ დიუსარმა**, რომელსაც დავალებული ჰქონდა დახმარებოდა ნაწარმოების განხორციელებაში, მთავარი ჟრადღება მიაქცია **ო. იოსელიანის** პიროვნებას, ვიდრე სტენარს, რომელიც მას წარუდგინეს, ეს იმიტომ, რომ მან ქართველ რეჟისორში დაინახა თავის საქმეზე შეჯარებული კინოხელოვანი, რომელიც მუდმივ ძიება-



ოთარ იოსელიანი მის კამერის უკან

შია და, ვისაც შეუძლია მთელი თავისი შინაგანი მგრძნობიერების ჩვენება მის ნაწარმოებებში.

ჩვენს აზრს ფილმის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც ის ჯერ კიდევ არ გამოსულა პარიზის ეკრანებზე. ვიცით მხოლოდ, რომ სცენარს ხელს აწერს ეჟარა ბრაში, მუსიკა ნიკოლა ზურაბიშვილისაა და, რომ ფილმში ბევრი ნაცნობი სახე შეგვხვდება.

იმედი ვიქონიით, რომ მომავალ ფესტივალზე ოთარ იოსელიანი მიიღებს „ოქროს ლომს“, გაჰყვება რა მისი პოლონელი კოლეგის, ქრისტოფ ზანუსის კვალს, რომელმაც გასულ წელში იოსელიანივით „სპეციალური პრემია“ მიიღო და წელს კი— „ოქროს ლომი.“

ფრანგ კინო-ხელოვანთათვის ო. იოსელიანი უკვე საქართველოდან ცნობილი იყო, როგორც მოაზროვნე რეჟისორი, რომელიც თავის მორალისტურ ხასიათის ძიებებში, შებოჭილი იყო იდეოლოგიით. მოიწვიეს საფრანგეთში. შეუქმნეს სათანადო მატერიალური პირობები და მიშვებული იყო თავის ნებაზე. გასაგებია, რომ მისი ფრანგი მეგობრები დიდი ინტერესით მოელოდნენ საფრანგეთში შექმნილ მის პირველ გრძელ ფილმს.

რას ფიქრობს საფრანგეთის პრესა? ყოველ შემთხვევაში,

ყველა ჟურნალ-გაზეთი თანაგრძნობით და დიდი ინტერესით გამოეხმაურა ქართველი ხელოვანის ფილმს „მთვარის რჩეული უღლებს“. უმრავლესობის აზრი, ჩვენი ფიქრით, კარგად გამოთქვა ბ. ლუი მარკორელიმ გაზეთ „ლე მონდ“-ში: „...ოთარ იოსელიანი არც იცინის, არც ტირის, ყველაფერი ძაფზე ჰკიდია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ის ამ ფილმში ვერ აღწევს მისივე საუკეთესო საბჭოთა ფილმების დონეს. მთლად ვერ განთავისუფლებულა მძიმე ტექნიკურ წვრიმალებიდან. იოსელიანი იძლევა დიდი ფილმის ესკიზს, რომელიც რჩება განსახორციელებელი: უფრო თავისუფალი, ნაცლებად დამოკიდებული სცენარზე, ნაკლებად შეპყრობილი რენე კლერის აჩრდილით.“ (1/9/1984)

ამრიგად, საფრანგეთში იმედოვნებენ, რომ ო. იოსელიანი მომავალში შექმნის მის უდიდეს ფილმს, მის შედეგს, მაგრამ შემდეგში კიდევ მისცემენ მას ნებას უცხოეთში მუშაობისას? ამ კითხვას ალბათ თვით ო. იოსელიანიც უსვამს თავის თავს.

ეთერი

მე ვმუშაობ სიტროენში

იკითხავ, ძმაო, მეგობრულად ჩემს ბედის ამბავს და გსურს გაიგო დღევანდელი ჩემი ცხოვრება; გეტყვი უბრალოდ, არ მივმართავ მაღალ მუხამბაზს, უცნაურ თქმებთან; ჩემო კარგო, რა მესაქმება.

გარბიან წლები, მზის სამეფოს რა მოაკლდება?! დამჰკნარ ცხოვრების უფერული დამაქვს დღეები, ნეტავ ვიცოდე, თუ ქვეყანამ მე დიდ ბრალდებად, რისთვის დამადო, როგორც ლტოლვილს, მძიმე ხუნდები?

მსურს ვარდის ღიმილს ტრფობით გული გადავუშალო და დელის ლიკლიკს შევალხო ჩვენი ალერსი; სათნო მშვენების სათავეა, ჩემო უფალო, შენი მაისის ჟრუანტელი და მზის ხალისი.



გვრძნობ აქ ობლობას, და არ ვიცი, რომელ წამალში განკურნავ მწარე ლტოლვილობის მტანჯველ იარებს, თუმც ზოგჯერ ფიქრებს, მე დამეში მარტოდ მავალი, ბრწუნავ ვარსკვლავებს საიღუმლოდ მე ვუზიარებ.

ჩემს გულს დაშაშრულს, ჩემო ძმაო, არ ძალუძს რომ თქვას, სხვის კარზე ყოფნით მიღებული მწველი ტანჯვები, სულსაც უმანკოს სათნოების ძირი მოერყა, როგორც ტყვექმნილი ბედისწერას ისე მივკვები.

ლამისყნისა თითქოს მოდის ხმა და ძახილი, გურამიშვილის სამშობლოზე მწარე გოდება; აქ არვის ესმის ჩემი კვნესა, ჩემი წუხილი და მე არ ვიცი, თუ ვეკუთვნი რომელ წოდებას!

ჩვიდმეტ-წელია, რაც ვმუშაობ ქარხნის ჰაერში, მაგრამ სულ ერთად აღებული-ოცდასამია; ასე მგონია: ჩავიქცევი მე ნაცარ-მტკერში; ასე მგონია: ეს ცხოვრება საწამლაგია.

მბორგავ ფიქრებით თან მივკვები უმზეო ქედებს; ვის ვკედრო მაინც, მეგობარო, ეს გულისწყრომა; ვხედავ: მძულვარე გრძნობით, ყველგან ძმობა, სიკეთე შელახულია დღეს უმწეოდ, თვით-ხალხის შრომაც.

მძულს მე ვერლენი, როგორც ლოთი და ღვინის მსმელი და ედგარ პოეს გაღეშილი მთვრალი არსება; ღვინო მხურვალე წმინდა გრძნობის უცებ მომკვლელი, მისგან შლეგივით ყოველივე, რომ ითარსება.

მძულს მე პოეტი, ხელოვანი კაცი, რომელიც ტრფობით უმღერის ავხორცობას, ლხენას, ქონებას; შეუმჩნეველი ვის დარჩება ხალხი მშრომელი, თავისუფლების მტრის მოციქულს დაემონება...

მძულს მე ბოგანო, უსაქმური კაცი, ავეყა,



ფლიდი, ოხერი, მატყარა და ცვალეზადი;
ზეცა აღმაფრენს მშვენიერი, ლურჯი, თავლია
და ღვთის განგება მის სამწყობოში, მით დანაბადი.

მიჯარს მე შრომა, მუშის მკლავი და გლეხის ცელი;
ვაქებ მას, ვისაც სიბერემდე მით უცხოვრია;
მხოლოდ შრომაში იბადება მიზანი ვრცელი,
ბედნიერებაც ამ ოჯახის ერთი წევრია.

2

იქ, სადაც არის სამუშაო მძიმე და ძნელი,
მე დამაყენეს დღეს ლტოლვილი და უსამშობლო;
მთელავს ტკივილი სულთახევის გამოუთქმელი;
დავრჩი სიცხადეს მოწყვტილი და უმეზობლო.

სანათურების გულკითელა მხოკავ თვალებთან,
თითქოს მეწყება სხვა ცხოვრების ახალი ხანა,
თითქოს მღელვარე ჩემი სული აქვე დანებდა,
მოძრავი ჯაჭვით აგორებულ მძიმე მანქანას.

ვარდების ნაცვლად აქ დავეძებ რკინაზე ხორკლებს;
წყაროს ფოროჯი, ეჰ, სად არის სულორის მხარე!
მთიდან ჩანჩქერის ნაპერწკალი ვაკვრია ბორბლებს,
ტრიალებს კოჭი ხრახნილების და დღეს აღამებს.

მოდის მანქანა ფერასხმული, მისი ზე-პირი,
მხურვალე ფურნის კიდობანში გზადაგზა შრებჯ
გაბმული ჯაჭვი გარსმერთყება, როგორც ჯებირი,
ვხეხავ და ვრეცხავ მანქანაზე დაკრულ საღებავს.

ხაზის ორ მხარეს შესდგომია მთელი ჯალაბი,
ერთია ჩვენი მაჯისცემა, ჯაჭვით გაბმული;
ჩემთან ზანგია გულყური და ფიცხი არაბი,
უდაბნოს ზეცა გაღლობილი და მეწამული.

გულმკერდს მისველებს ცხელი ოფლის წვეთი უზადო,



დამაქვს გრძნობები მე მუნჯივით გამოუთქმელი
ერთი რას ფიქრობს, სხვა კი მეტყვის, არ ვიცო
„რუსი ხარ, რუსი, ცოდვითსავსე თეთრგვარდიელი!“

წლისა, ღრუბელის და ქაღალდის ჩემი საწყობი
ერთად დამყვება, სამუშაოც გამოყოფილი;
თუმცა ვმუშაობ მე გულდაგულ და ხელაწყობით,
მაინც არ არის აქ არავინ ჯერ კმაყოფილი.

მომწონს უფროსის საქმიანი სწორი ნიშანი,
მაგრამ ვერ ვხედავ მე ჩემს თავზე ასეთ საუბარს;
უსამშობლობის მწარე გრძნობა ახლა ვიცანი
და მე არ ვიცო რა უწოდო ასეთ თაობას.

როგორც, რომ ტყვექმნილს, სულს მიხუთავს დემონი
რკინის
და ვხედავ წყვეა წმინდა გრძნობას იატაგნით ფატრავს,
დღეს: საუკუნე მრისხანებით ჯალაღედინი,
დღეს: საუკუნე ავხორცობით, ვით კლეობატრა.

ცრემლმა დანამა გულის კართან წმინდა კრებული,
„ქართლის ცხოვრება“ უცხო მხარეს დანაჩრდილვეი,
ვის აგონდება საქართველო დღეს წამებული
და ათასობით დახვრეტილი ქართლის შვილები?!

და რას ვეძებდი, მეგობარო? მსურდა მეხილა
ქვეყნად სიმშვიდე, სიყვარული და ხალხთა ძმობა;
ვერსად ვერ ვპოვე, დამრჩა მხოლოდ მე ლტოლვილს წილად,
ამ ფლიდი ქვეყნის უნებლიე, მწარე მოყრობა.

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის“, აქ ვამბობ ხშირად;
არ მინდა ფიქრებს უიმედოთ თავი, რომ მივცე;
მწუხარე სულმა ტკივილებით გაინაპირა
ტაბახმალასთან მხრებდაქრილი თბილისის სივრცე.



გარბიან წლები, მაინც ველი და არ ვიღლები, თავისუფლების მრწამს დადგება ქვეყნად შევინება, ცაზე გაკრული აბრეშუმის ფერის ღრუბლები, გზაში მიმავალს, თავს მეხვევა შვების ფენებად.

გიორგი ტოგონიძე
პარიზი, 1/11/1953.

პოეტი გიორგი ტოგონიძე

გუშავის 2-ე ნომერში პირველად დაიბეჭდა გიორგი ტოგონიძის სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსი, ამ ნომერში პირველი გვერდი დავუთმეთ მის „Santa Maria“-ს და აქვე შემოდ- „მე ვმუშაობ სიტროენში“, ლექსი, რომელიც მისი ლტოლვილი ცხოვრების ისტორიაა.

გ. ტოგონიძეს 1953 წელში გამოუცია, რა თქმა უნდა, საკუთარი ხარჯებით, პატარა წიგნი „ლტოლვილის სიმღერა“-ს სახელწოდებით. მას აწერია წიგნი მეორე, მაშასადამე არსებობს წიგნი პირველი, რომელიც ჯერჯერობით ბატონმა გიორგიმ ვერ მოგვაწოდა. ამ მეორე წიგნში მოთავსებულია 21 ლექსი. ამის გარდა, შესავალში 16 გვერდი უკავია ქართული ცივილიზაციის ნარკვევს ფრანგულ ენაზე და წიგნის ბოლოში კი მოკლე პოლიტიკური და ლიტერატურული შენიშვნები ოსმალეთზე ქართულად, რომლის გაგრძელებასაც ავტორი მკითხველებს ჰპირდება. ორივე წერილი ჩინებულ დონეზეა შესრულებული, რაც მოწმობს მათი ავტორის საფუძვლიან კულტურას. მაგრამ მთავარი მისი ლექსებია და მიკვირს, თუ როგორ დარჩენ ისინი ამდენ ხანს უჟურადღებოდ ისე, რომ არც ერთ ჩვენ პერიოდულ გამოცემას და არც რადიო „თავისუფლებას“ მათთვის ჟურადღება არ მიუქცევიათ. არადა გიორგი ტოგონიძე ისეთი პოეტია, რომელიც არა მარტო ჩვენს პატარა ემიგრანტულ საზოგადოებას, არამედ აგრეთვე თვით დედა-სამშობლოსაც დაამშვენებდა. მისი ლექსები არ არიან მყირალანი და მადალფარდოვანნი, ისინი, ავტორივით, მორცხვობამდე მისული თავმდაბლობით ხასიათებიან, მაგრამ რა სინაზე და რა ღრმა განცდებია მათში ამე-



ტყველებული! თუ პარალელების ძებნა დავიწყეთ, გში ნიკო ბარათაშვილზე და გალაქტიონ ტაბიძეზე შევჩერდებით, გალაქტიონზე, არა საბჭოთა ხანისა, როცა ის პოეტპროპაგანდისტობამდე ჩამოქვეითდა; არამედ ახალგაზრდა გალაქტიონზე, „მე და ღამის“ და „მესაფლავის“ ავტორზე.

გ. ტოგონიძის ბიოგრაფია, ჩვენი ეროვნული ემიგრაციის ისტორიაა. თბილისის უნივერსიტეტის 3 კურსის დამთავრების შემდეგ, 1929 წელში სტოვებს სამშობლოს, ჯერ ოსმალეთში, შემდეგ, 1930 წელს ჩამოდის საფრანგეთში, სადაც 40 წლის განმავლობაში ეწეოდა სხვადასხვა მძიმე და ჯანმრთელობისთვის მეტად მავნე შრომას. ერთი ძმა ლევილის სასაფლაოს მიაბარა, სამშობლოში დარჩენილი ოჯახი (მშობლები და 3 ძმა) სტალინ-ბერიას ტერორმა იმსხვერპლა. ვერაფერმა ვერ გატეხა იგი და დღესაც 80 წელს მიტანებული, მხოლოდ თვალებს უჩივის, მუხასავით მაგარი ქარმაგია.

მოდით, ეს ახალი წელი მივულოცოთ ბატონ გიორგის, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, ქართული პოეზიის სამსახურში.

გუშაგი

გუშაგის რედაქციას!

გთხოვთ, ბ. რედაქტორო, თქვენი ჟურნალის ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ჩემს ქვემოთე განცხადებას, რისთვისაც წინასწარ მადლობას მოგახსენებთ.

„თეოლოგიის ენციკლოპედიის“ 1984 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორის იულიუს ასფალგის ვრცელი სტატია „საქართველო“ გერმანულ ენაზე. ხსენებულ სტატიაში დამახინჯებულია რიგი მომენტები ქართველი ერის ისტორიიდან; განსაკუთრებით კი, საკითხი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ. თუ საქმეში ჩაუხედავი წაიკითხავს ბ. ასფალგის სტატიას, დარჩება შთაბეჭდილება, რომ ქართველებს არაფერი ორიგინალური არ შეუქმნიათ, გარდა ნათარგმანებისა, და თუ რამე გააჩნიათ ორიგინალური, ისიც უცხოელი მეზობლების წყალობით.

პროფ. ასფალგმა ჯერ კიდევ 1964 წ. გამოაქვეყნა, თითქოს



ქართული ანბანი შექმნილიყოს ქრისტეს შემდეგ სოლომონის მამროფის მიერ. მე ამის გამო მას მივმართე წერილით, რომელშიც მოვეუყვანე მთელი რიგი ამონაწერები მე-11 საუკ. ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველისა, ივანე ჯავახიშვილისა, შოთა ძიძიგურისა, რომლებიც მეცნიერულად და სათანადო დოკუმენტებით ადასტურებენ, რომ ქართული ანბანი წარმოქმნილია ქრისტეს დაბადების წინ. აგრეთვე მოვიყვანე ამონაწერი გერმანელი მეცნიერის პაულ კეტმანის, რომელიც მოგვითხრობს შემდეგს: „ქართლოსიანთა დინასტიიდან ქართლში მეფობდა ფარნავაზი, რომელმაც შეუქმნა ქართველ ერს ანბანი და იღწვოდა მისი გავრცელებისათვის...“ ქრისტიანიზმს საქართველოში დახვდა კულტურულად განვითარებული ერი, თავისი დამწერლობით.

მე ვფიქრობ, რომ მეცნიერს უნდა გაეხარდეს, როცა მას მეგობრულად მიუთითებენ დაშვებულ შეცდომებზე. პროფესორი ასფალგი პირიქით დიდად „განაწყენი“ დარჩა ჩემგან; ალბათ იფიქრა: ვინ არის ილია კუჭუხიძე, რომ მიზედავს შესწორებას ან შენიშვნებსო, მაგრამ მას ამაზე მიუთითეს აგრეთვე თბილისიდანაც. ასფალგი მრავალჯერ იყო საქართველოში და მას იქ შესაძლებლობა ჰქონდა დაჰკითხებოდა ქართველ მეცნიერებს, მაგრამ მან ეს არ „იკადრა.“

პროფ. ასფალგის ეს მცდარი კონცეპცია, ქართული ანბანის სომხურიდან წარმოშობის თაობაზე, იღებს ალბათ სათავეს პროფ. ბაუმგარტნერის მცდარი შეხედულებიდან, რომელიც მან გამოთქვა თავის წიგნში „მსოფლიო ლიტერატურა“ და, რომელიც გამოვიდა 1897 წელს. მას შემდეგ 88 წელი გავიდა და რაღა საჭირო იყო ამ მცდარი დებულების გამეორება?

მას შემდეგ, რაც პროფ. ასფალგს მეგობრულად მივუთითე მის მიერ დაშვებულ შეცდომაზე, გავიდა რვა თვე და პასუხი არ გაუცია, მაგრამ შური კი იძია ჩემზე, რაც გამოიხატება შემდეგში: ა. წ. ნოემბერში მოულოდნელად, მიუნხენის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტთან არსებული სემინარისტიკის ინსტიტუტის დირექციიდან მივიღე წერილი, სადაც იუწყებოდნენ: თქვენ შეგიძლიათ 1984-1985 წლის ზამთრის სემესტრში ხელმძღვანელობდეთ ქართული ენის სწავლებას, რის შემდეგაც არ იქნება განახლებულიო. (16 წელია, რაც



ამ უნივერსიტეტში ვითვლება ახალი ქართული ენის მასწავლებლად.) ჩემს შეკითხვაზე, თუ რა არის ამის მიზეზი, ღირექციამ მიპასუხა: ამის მიზეზი გახლავთ თქვენი ასაკიო. რაღა ეხლა მოაგონდა ღირექციას ჩემი ასაკი, სად იყო ღღემდე? საქმე იმაშია, რომ ინსტიტუტის ღირექტორის მოადგილედ ითვლება პროფ. ასფალგი და გამოდის, რომ მან ჩემზე შური იძია. ინსტიტუტის ღირექციას მე ვუპასუხე ცოტა „ქედმაღლურად“: მე თვით ვტოვებ 1984-85 წლის ზამთრის სემესტრს მეთქი.

ამგვარად მე „მსხვერპლი“ გავხდი ჩემი კრიტიკის, მაგრამ არ ვნანობ, რადგანაც ერთი ციციქნა აგური ხომ მაინც მივიტანე ჩვენი ეროვნული კულტურის დაცვის საქმეში. ეს კი ყველა ქართველის ვლია.

პატივისცემით ილია კუჭუხიძე
მიუნხენი, 1984.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სამწუხაროდ, ქართული ანბანის შექმნის თარიღზე და მის ავტორზე, ქართულ ისტორიულ წყაროებში გარკვევით არაფერია ნათქვამი. სამაგიეროდ სომხურ ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, თუ არ ვცდები, მოგვს ხორენცის (მოსე ხორენელი) „სომხეთის ისტორია“-ში ნათქვამია, რომ სწავლულმა მესროპე მაშტოცმა, სომეხმა, რომელიც ცხოვრობდა მეოთხე საუკუნის ბოლოს და მეხუთის პირველ ნახევარში, შეიმუშავა სომხური, ქართული და ალბანური ანბანებიო.

თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში ამ სომხურ ცნობას კატეგორიულად უარყოფენ და არსებობს არა ერთი სერიოზული მოსაზრება, რომ ქართველებს, დიდი ხნით ადრე ქრისტიანობის აღიარებისა, ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა. ქართული პირველი ანბანის შექმნას ზოგი ფარნავაზის მეფობას, მესამე საუკუნე ქრისტეს წინ, უკავშირებს, ზოგი კი უფრო შორსაც მიდის, მაგრამ ღღემდე არავითარი მატერიალური საბუთი არ აღმოჩენილა, რაც ამ სერიოზულ ანგარიშებსა და ვარაუდებს დადასტურებდა. სერიოზული მეცნიერ-

რებისათვის კი საჭიროა ძველი საბუთი, მატერიალური ძეგლი, რომელიც დაამოწმებდა ქართული დამწერლობის არსებობას ქრისტიანობის მიღებამდე; ჯერჯერობით ასეთი არაფერი აღმოჩენილა, ამიტომ ქართველი მეცნიერების მტკიცებანი რჩებიან ჰიპოთეზებად, რომლებიც შეიძლება აღმოჩენებმა მომავალში დაადასტუროს. მანამდე კი ვერავის ვაიძულებთ, განსაკუთრებით კი უცხოელ მეცნიერებს, რომ სომხური ცნობა არ ირწმუნონ.

პროფ. ასფალგმა ეს ყველაფერი კარგად იცის, მას საქართველოში წასვლაც არ სჭირდებოდა ამის გასაგებად. ის „ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს წევრია და არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ამ კრებულის რედაქტორ-გამომცემელი, პროფ. კ. სალია თავის „*Histoire de la Nation georgienne*“-ში გადაჭრით უარყოფს მესროპე მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის აზრს. თუ ბ.-მა ასფალგმა მაინც სომეხ მაშტოცს მიაწერა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სომხური წყარო უფრო დამაჯერებლად მიაჩნია, ვიდრე ჩვენი თანამედროვე მეცნიერების განცხადებები და მტკიცებები. ამას მას ვერავინ აუერძალავს, მაგრამ მეცნიერული კეთილსინდისიერება კი მოითხოვდა, რომ ასეთ სადაო საკითხზე ქართველი მეცნიერების აზრიც მოეყვანა. მით უმეტეს, რომ ენციკლოპედიაში მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული ცნობები უნდა შევიდნენ.

რა თქმა უნდა, ქართველებს ამის გამო შეუძლიათ, და მოვალენიც არიან, მიუთითონ პროფ. ასფალგს, მაგრამ მას ამისთვის ომი არ უნდა გამოუცხადონ. ის არ უნდა მივიჩნიოთ ქართული კულტურის გამჭიქებლად და მტრად.

წარმოუდგენელია, რომ პატივცემულ პროფ. ასფალგს კრიტიკის გამო, თუნდაც იგი მეგობრული არ ყოფილიყოს, შური ეძიებინოს. არა, ეს უეჭველად არის შემთხვევითი დამთხვევა. არა მარტო გერმანიაში, არამედ ყველგან დასავლეთ ევროპაში 60 - 65 წლის შემდეგ სავალდებულოა პენსიაში გასვლა, რომ გზა დაუთმონ ახალგაზრდა კადრებს. ეს ღონისძიება ახალია და ალბათ ამის „სხვერპლი“ გახდა ჩვენი მეგობარი ილია კუჭუხიძე, თუ ეს შეიძლება მსხვერპლად ჩაითვალოს.



ცეცხლის ნოხი ჰამბურგზე
(მოგონება)

ჰამბურგში რომ თავს დაგვესხნენ
დაგვაფარეს ცეცხლის ნოხი,
ერთიანად გადაიწვა
სასახლე და მცირე ქოხი.

ივლისის თვეს ორმოცდასამს,
„გაგვიტენდა“ ცუდი ღამე,
აენტო და აბრიალდა
გაანათა მთელი მხარე.

დღვბომბებს და დაგვაყარეს,
აღარ შემრჩა ქალამანი,
თუ აქედან შვილი შემრჩა,
ის იქნება ყარამანი.

გახშირებულ თავდასხმებში,
მე ცოლშვილზე ვზრუნველობდი,
უბედური პირობისთვის
ღღე მუღამ თავს შევიჩოდი.

მერმე მშვიდად მიგვატოვეს,
არ ისმოდა ჩამი - ჩუმი.
არ მომწონდა ეს სიწყარე,
ეჭვი მქონდა, შიში ჩუმი.

ვფიქრობდი: რომ მოგვიწყობენ
შემოტევას ახალსა,
არ დაგვზოგვენ, დაგვასევენ,
გვიმზადებენ ხაფანგსა.

ღრო არ არის ჯვლა ერთი
უცდი ცუდს თუ უცდი კარგსა,
გრძნობა არის ცვალებადი,
გამოგიცვლის გულის ხმასა.

არ შევმცდარვარ ამისრულდა,
ამის ნახვა მე არ მსურდა:
ათას ავი „ავიონი“,
წელკავი და ჯავიონი.

ერთ გამოცდილ გერმანელსა
დავეკითხე დღესა ერთსა,
უთხარი რომ ფიქრები მაქვს,
შენ მიაბნობ ასახსნელსა.

შევიჩვილე თუ გვექადნიან,
გველოდება თავზე რისხვა,
იქნებ არის საშვალემა,
ამ ცეცხლიდან თავი იხსნა.

მიპასუხა: დამშვიდდიო,
სიმართლეა ჯვლა ესო,
ცეცხლის კედლებს ავაშენებთ,
ვერ მოფრინდეს მტერი ღღესო.

ხომ უჯრებ ამ ზარბაზნებს,
გარშემორტყმულ ქალაქის გზებს.
უტყუარი წამალია,
დაუბნელებს ის ჯვლას მზეს.

სხვანი ჯვლა ქადილია,
მხოლოდ მათი წადილია,
ვერას იზმენ, ვერას გახდნენ,
შეტევა არის ფრთხილია.

მართლაც თურმა დასაწყისში
დასაცველად იყვნენ იქ მზად,
მაგრამ როცათავს დაგვესხნენ,
თავდაცვა შორს გაეგზავნათ.



შემცირებულთ აღარ ჰქონდათ იგი რისხვა, იგი ძალა; გათამამდენ მფრინავები, მტკიცედ ქალაქს მოეძალა.

გასაქცევიც არსად ვერა, წყალსაც ნავთი დაეფარა, იწვის ალად ავარდნილი, ისიც შანთსა დაედარა.

მაღლა ციდან მეხი ურტყავს, ვერ მიუწვდეს იმას ფლაკი*, სულ წუთებში წაიშალა შეურყვლობის არაკი.

დამწვართა და დაღუპულთა სათვალავი აღარ არი; დაქრილთა და წამებულთა, დატრიალდა გლოვის ზარი.

ბევრი ტონები ლაღუმი და ფოსფორის პაწა ჯოხი დაუშვეს და დაგვაყარეს, დაგვაფარეს ცეცხლის ნოხი.

სიცხისაგან დაძაბული რკინა დნება ვით შაქარი; ცეცხლი სწრაფად გაიზარდა, გზას მიუკვლევს იმას ქარი.

ნაღმთა გრგვინვა და გრიალი წააგავდა მიწის ძვრასა; ქვეყნის ბოლო მოდიოდა, არვინ გვაწვდიდა შველასა.

ხალხი ილტვის თავდადებით, განწირული თვით განგებით; ის შეხვდება გარდაუვალს, სულისა და ხორცის გვემით.

ძირს მიწაზე ხანძარია, გრიგალივით გაიშალა; კვამლისა და სიცხის ბუღით, არემარე წაიშალა.

დამწვართა და დამდნართ ხროვა სურათია შესაზარი; დაღუბდენ და წაიშალნენ, დაირეკა გლოვის ზარი.

დღე ამერიკელი გვირტყამს, ღამე მოდის ინგლისელი, შეერთდენ და დაგვიბრძოვენ, გააბშირეს ცეცხლის ქსელი.

ზოგს სიგიჟე შეპარვია, ზოგს გამირული გამძლე სული; ძნელი არის, რომ იპოვნო განწირულნი მათზე სრული.

ალუმინის ფოთლებს აცვენს, ვერ მიუხვდეს მას რადარი, აურიეს გზა და კვალი, დაგვიჩვენეს ცუდი დარი.

დედას შვილი დაჰკარგვია, ვაჟი ეძებს მეგობარსა, დას ძმა ვეღარ უპოვნია, ქალი სტირის თავის ქმარსა.

*ფლაკი= საჰაერო თავდაცვა.

„სწორედ არის ასი წელი,
ჰამბურგს წვაგდა ცეცხლი
მწველი;“
თვალთ ცრემლებს იწმინ-
დავდა,
ჩიფჩიფებდა დედაბერი.*

რაც ამბავი მე იქ ვნახე:
აღარ შერჩა ქალაქს სახე;
უამრავი დახოცილი;
ჯოჯოხეთი დავინახე.

ჩემი ცოლი, ჩემი ქალი,
ჩემი თამარ დედოფალი,
ისე იღვა საფრთხისა წინ,
ვით სულმტკიცე ქეთევანი.

ხელში ეპყრა სასოებით,
მას ერთი თვის ყარამანი;
ღმერთო ჰირში დაგვიფარე,
შეარჩინე იმათ ჯანი.

მთელი ღამე ცეცხლს ვებრ-
ძოდით,
კარზე გვადგა გასაჰირი,
დაგვიფარა შემომქმედმა,
აგვაშორა იმ ღღეს ჰირი.

შემთხვევაა, ბედისწერა,
რომ გადავრჩით მაშინ ყველა;
სიკვდილს ბეწვზე გავიქეცი, და
ტკბილი არის ქვეყნის ცქერა.

ნიმუში სირცხვილად წაღწეული
რაც მაშინ ჰამბურგს გაღწეული
გატიალდა, გაპარტახდა,
ღვთისა რისხვა ახლა ახდა.

მიდიხარ და არ აქვს ბოლო,
გარუჯული ქვის კედლები,
ჩონჩხებივით აყუდულნან,
ჩანგრევეთ მათ მკერდები.

ცაში მფრინავთ ღღეობაა,
ბრუნდებიან გამარჯვებით,
თვითმფრინავნი დასხდებიან,
შეხვდებიან იმათ ქებით:

„ყოჩად ბიჰნო, მებრძოლებო
სასიქადო გიქნიათო,
გაუმარჯოს თქვენს მხნეობას,
თავი ამით გიქიათო.

„ახი არის იმათ თავზე,
არ ჩავიცვათ ძაძები;
არ დაზოგეთ შიგ და გარე,
არც მოყრები, არც მტრები.“

ეს ღღეებიც გაივლიან,
კვამლი ნელა გაიშლება,
ყველა ჰპოვებს საღმე შევლას
და წარსული წაიშლება.

ხოლო ის ვინც დაიღუპა,
რომლის ბედსაც წყვეტდა ნაღმი,

*) მაისის 1842 წელს ჰამბურგში გადაიწვა 4219 შენობა.



დაგვშორდნენ და გაგვეცალდნენ,
დაგვიტოვეს მწარე ნაღვლი.

მაგრამ ნამყო წარსულში, სხვაგვარ მოჩანს მომავალი,
წარსული სხვად გვეჩვენება,
მოიხადა თვისი ვალი.

მაგრამ ვიცი ეს არ არის
საბოლოო, არც პირველი;
თვითეულში ერთად ცხოვრობს
კეთილი და რუხვი მგელი.

წუთისოფელს ჟველა კაცი
ძელზე გაკვრით გაათავებს;
ესეც კმარა სამწუხაროდ,
ზედმეტ ტანჯვას რად ამრავლებს.

წყვილად იღწვის, ვითარდება:
დამწუხებელი და ამრევი,
რომელია მისადები:
მშენებელი, თუ დამნგრევი?

ამ ქვეყანად თვითეული
არსი არის უცხოელი;
ნუ გასწირავ: შენ გვერდში მდგომს,
უკვდავებას ნუ მოეღი.

დრო მიდის და დრო დადგება,
ჩენი ყოდნის აზრის გება,
რაც დღეს კიდევ ბნელი არის,
მომავალში გაიგება.

მოსე წყლიდან გამოიღეს,
ჭერკულესი გველთ ეურჩა,
ქრისტე ჰეროდს გადაურჩა,
გავიხარე მე შედეგით:
ყარამანი ცეცხლს დაურჩა.

მუჟითი, მტკიცე ხალხი,
ძალადობით აიშალა,
ვერ მიიღწევს ზვიადობით,
შეცდომებით დაიშალა.

ირაკლი ოთხმეზური

„წყალის“ ადგილი ქართულ მეტყველებაში

„ქართულ განმარტებით ლექსიკონში“ ჩემი ყურადღება მიიპყრო „წყალის“ განმარტებამ. [მე-8 ტომი. ტომის რედ.-რი ივ. გიგინეიშვილი. საერთო რედ.-რი არნოლდ ჩიქობავა] პირველ რიგში ახსნილია: „წყალი—უფერული, გამკვირვალე სითხეო“, რაც უდავოდ მართებულია, მაგრამ იქვე ნათქვამია: „ძვ. ფერი, ელვარება, მიმზიდველობა, შნო, ლაზათი.“ ე. ი. ძველ ქართულში „წყალი“ აგრეთვე აღნიშნავდა: ფერს, ელვარებას... და ამის დასტურად ლექსიკონში მოყვანილია „გ. ტ.“-დან ლექსი: „ხანი გამოხდა, იკითხა: „ნეტა რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“ აქედან გამოდის: ძველად ქართველებისთვის წყალი უფერულიც ყოფილა და ფე-

რადიკ. ასეთმა პარადოქსმა შემათიქრიანა და გადაწყვეტი-
საკითხის დაწვრილებით შესწავლა.

პირველ რიგში მივმართე სხვა ენების ლექსიკონებს :

რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში ნათქვამია : „ვოდა –
პროზრაჩნაია, ბესცვეტნაია ჟიდკოსტ“. როგორც ხედავთ,

ჩვენს ლექსიკოგრაფებს სიტყვა-სიტყვით უთარგმნიათ რუსული-
დან, მაგრამ წყლის ფერსა და ელვარებაზე რუსულმა ლექსიკო-
ნებმა არაფერი იციან. ფრანგულ ლექსიკონში წყალი განმარ-
ტებულია: „ლიკიდ ტრანსპარან, ენკოლორ, ინოდორ ე ენსიპიდ“

ე. ი. გამჭვირვალე, უფერული, უსუნო და უგემური სითხე. წყლის ფერანდონება და ელვარება, არც ძველმა და არც ახა-
ლმა ფრანგულმა არ იცის. წყალი ზუსტად ასევეა განმარტე-
ბული გერმანულ და ინგლისურ ლექსიკონებში. რაც ჩვენთვის

საინტერესოა, ყველა ენაში წყალი უფერულია და არსად – ფე-
რადი. რა თქმა უნდა, ქართველებს შეეძლოთ სხვებისგან გა-
ნსხვავებით მოქცეულიყვნ და წყლისთვის სიმბოლიურად ფერა-
დონებაც მიეწერათ. ამის გასაგებათ, პირველ რიგში თვით

რუსთაველის მოყვანილი ლექსი უნდა გავარჩიოთ. „ხანი გამო-
ხდა, იკითხა: „ნეტა რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ჯავა-
რი, ჩემი სოფლისა წყალიო.“ აქ ყველა სიტყვა ცხადი და ნა-
თელია და განმარტება ესაჭიროება მხოლოდ ჩვენს მიერ ხაზ-
გასმულ სამ სიტყვას: ჯავარი, სოფელი და წყალი. ქართ. გა-
ნმარტ. ლექსიკონში ჯავარი განმარტებულია, როგორც არაბუ-
ლი, რომელიც ნიშნავს: „ქვას პატიოსანს, თვალს ძვირფასს,

მბზუყნავს, მოელვარეს, სიტურფეს, მომხიბლაობას, მოხდენილო-
ბას, შნოს და ლაზათს.“ მაგრამ იქვე წყალი-ც ხომ ასევეა
განმარტებული: „ფერი, ელვარება, მიმზიდველობა, შნო და
ლაზათი?“ გამოდის, რომ რუსთველს თინათინის სილამაზის

გადმოსაცემად ორი ერთი და იგივე მნიშვნელობის ეპითეტი
უხმარია, ერთსა და იმავე წინადადებაში: ჯავარი და წყალი,
რაც ძნელად დასაჯერებელია! განა შესაძლებელია, რუსთავე-
ლს ეთქვა: „...ნეტა რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ლა-
ზათი, ჩემი სოფლისა ლაზათი“-ო? რა თქმა უნდა, რომ არა!

მაშ რაშია საქმე? მე ვფიქრობ, რომ ჩვენი რუსთველოლოგები
შეცდომას უშვებენ, როცა რუსთველის მოყვანილ ლექსში სი-

რადიკ. ასეთმა პარადოქსმა შემათიქრიანა და გადაწყვეტი-
საკითხის დაწვრილებით შესწავლა.

პირველ რიგში მივმართე სხვა ენების ლექსიკონებს :

რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში ნათქვამია : „ვოდა –
პროზრაჩნაია, ბესცვეტნაია ჟიდკოსტ“. როგორც ხედავთ,

ჩვენს ლექსიკოგრაფებს სიტყვა-სიტყვით უთარგმნიათ რუსული-
დან, მაგრამ წყლის ფერსა და ელვარებაზე რუსულმა ლექსიკო-
ნებმა არაფერი იციან. ფრანგულ ლექსიკონში წყალი განმარ-
ტებულია: „ლიკიდ ტრანსპარან, ენკოლორ, ინოდორ ე ენსიპიდ“

ე. ი. გამჭვირვალე, უფერული, უსუნო და უგემური სითხე. წყლის ფერანდონება და ელვარება, არც ძველმა და არც ახა-
ლმა ფრანგულმა არ იცის. წყალი ზუსტად ასევეა განმარტე-
ბული გერმანულ და ინგლისურ ლექსიკონებში. რაც ჩვენთვის

საინტერესოა, ყველა ენაში წყალი უფერულია და არსად – ფე-
რადი. რა თქმა უნდა, ქართველებს შეეძლოთ სხვებისგან გა-
ნსხვავებით მოქცეულიყვნ და წყლისთვის სიმბოლიურად ფერა-
დონებაც მიეწერათ. ამის გასაგებათ, პირველ რიგში თვით

რუსთაველის მოყვანილი ლექსი უნდა გავარჩიოთ. „ხანი გამო-
ხდა, იკითხა: „ნეტა რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ჯავა-
რი, ჩემი სოფლისა წყალიო.“ აქ ყველა სიტყვა ცხადი და ნა-
თელია და განმარტება ესაჭიროება მხოლოდ ჩვენს მიერ ხაზ-
გასმულ სამ სიტყვას: ჯავარი, სოფელი და წყალი. ქართ. გა-
ნმარტ. ლექსიკონში ჯავარი განმარტებულია, როგორც არაბუ-
ლი, რომელიც ნიშნავს: „ქვას პატიოსანს, თვალს ძვირფასს,

მბზუყნავს, მოელვარეს, სიტურფეს, მომხიბლაობას, მოხდენილო-
ბას, შნოს და ლაზათს.“ მაგრამ იქვე წყალი-ც ხომ ასევეა
განმარტებული: „ფერი, ელვარება, მიმზიდველობა, შნო და
ლაზათი?“ გამოდის, რომ რუსთველს თინათინის სილამაზის

გადმოსაცემად ორი ერთი და იგივე მნიშვნელობის ეპითეტი
უხმარია, ერთსა და იმავე წინადადებაში: ჯავარი და წყალი,
რაც ძნელად დასაჯერებელია! განა შესაძლებელია, რუსთავე-
ლს ეთქვა: „...ნეტა რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ლა-
ზათი, ჩემი სოფლისა ლაზათი“-ო? რა თქმა უნდა, რომ არა!


მაშ რაშია საქმე? მე ვფიქრობ, რომ ჩვენი რუსთველოლოგები
შეცდომას უშვებენ, როცა რუსთველის მოყვანილ ლექსში სი-

ტყვა „წყალს“ ანიკებენ თინათინის ფიზიკური სილამაზის მნიშვნელ, ე. ი. სახიერების ფუნქციას. სინამდვილეში კი, სულ სხვა ამბავთან გვაქვს საქმე: განხილული რთული წინადადების პირველ ნაწილში „ჩემი ლხინი და ჯავარი“ როსტევა-ნი ამბობს, რომ თინათინი მისი სიხარული, ბედნიერება, თვალი პატიოსანი, შნოიანი და ლამაზი. ცხადია: ჯავართ და ხასიათებულია თინათინის ფიზიკური სილამაზე-სახიერება. რაც შეეხება წინადადების მეორე ნაწილს: „ჩემი სოფლის წყალი“-აქ „სოფლის წყალი“ თინათინის სახიერებას კი არ ეხება, არამედ-მის თვისებას, ბუნებას.

რომ ეს მთლად ნათელი გახდეს, საჭიროა ვიცოდეთ თუ რა შინაარსისაა რუსთველის სიტყვა „სოფელი“. თანამედროვე ქართულში ამ სიტყვამ განიცადა ცვლილება და არა წყალმა. სულხან - საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: „სოფელი სამ სახედ ითქმის: საუკუნო იგი სოფელი და წუთისოფელი და კაცის ბუნებაც სოფლად ითქმის.“ სწორედ ამ მნიშვნელობით აქვს ნახმარი ეს სიტყვა რუსთველს და უფრო ზუსტად წუთისოფელს, სააქაოს, ამქვეყნიურ ცოვრებას, სიცოცხლეს გამოხატავს. რუსთველს ამავე მნიშვნელობით სხვა ადგილასაც აქვს ნახმარი ეს სიტყვა: „ვა, სოფელი რაშიგან ხარ: რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა! ყველი შენი მონღობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა.“ უდავოა, აქ „სოფელი“ აღნიშნავს სააქაო ცხოვრებას, სიცოცხლეს.

ამიტომ, თუ რუსთველის ლექსში „სოფლის“ ადგილას „სიცოცხლეს“ ჩავსვამთ, აზრი არ შეიცვლება და მიიღებს შემდეგ სახეს: ჩემი სიცოცხლის წყალი. აქ, რომ წყალს ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რასაც მას ქართ. გან. ლექსიკონი აძლევს, სულ უაზრო თუ არა, მდარე ხარისხის მაინც იქნებოდა, მაგრამ, საქმე იმაშია, რომ რუსთველს წყალი ასეთი გაგებით არ უხმარია, არამედ ის როსტევან მეფეს ათქმევინებს, რომ: თინათინია ჩემი სიცოცხლის წყალი, რაც ნიშნავს: როგორც სიცოცხლისთვის წყალი აუცილებელია, ისე ჩემთვის თინათინია. აქ კი არსებითი ის არის, რომ ქ. გ. ლექსიკონში დამოწმებულ რუსთველის ლექსში წყალი არ ნიშნავს „ფერს, ელვარებას, მიმზიდველობას, შნოს და ლაზათს“ და თუ ძველ ქართულში წყალი მაინც აღნიშნავდა ფერადოვნებას, მაშინ ჩვე-

ნა ლექსიკოლოგებმა სხვა მაგალითი უნდა მოძებნონ



წლის კულტი

მე ვფიქრობ, რომ რუსთველის მოყვანილ ლექსში „წყალი“ ნახმარია უფრო მაღალი-სათაყვანებელი (საკრული) მნიშვნელობით. ამის ნათელსაყოფად საკმარისია თვალი გავადევნოთ სიტყვა წყალ-ს და მისგან ნაწარმოებ სიტყვებს ქართულ მეტყველებაში. წყლიდან ნაწარმოები სიტყვები ქართულ მეტყველებაში უამრავია. ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთის აღნიშვნით. მაგალითად: ვ-წყალ-ობ, მ-წყალ-ობ, გ-წყალ-ობს და ა. შ. მე-წყალ-ის, მი-წყალ-ე, მო-წყალ-ე, მწყალ-ობელი, სა-წყალ-ი, სა-წყალ-ობელი, უ-წყალ-ო, შეუ-წყალ-ებელი, წყალ-ობა, შე-წყალ-ება, დამ-წყალ-ობება და სხვა და სხვა...

ყველა ეს სიტყვები უხსოვარ დროიდან უხმარიათ ქართველთა წინაპრებს და დღესაც მათ იგივე მნიშვნელობით და იგივე სიხშირით ვხმარობთ. ყველა მათგანს გააჩნია ერთი ან მეტი სინონიმი. მაგ. ე-წყალოდა = ებრალებოდა, ვ-წყალ-ობ = ვებმარები, ვმფარველობ, მო-წყალ-ე = შემებრალებელი, შეი-წყალ-ე = შეებრალე, სა-წყალ-ი = უბედური, გაჭირვებული, ღარიბი; უ-წყალ-ო = გულქვა, შეუბრალებელი და ა. შ.

როდესაც წყლიდან ნაწარმოებ სიტყვებს ვიხილავთ, ორი დედააზრი გამოგვაქვს: 1. ყველა სიტყვები, რომლებიც ნაწარმოებია წყლიდან გამოხატავენ წყლის მიცემას ან არ მიცემას. „მოწყალე“, „შემწყალე“, „მწყალობელი და სხვა ამისთანები ნიშნავენ წყლის მიმცემს, მიმწოდებელს, ხოლო „უწყალო“, „უწყალებელი“, „შეუწყალებელი არის ის ვინც წყალს არ იძლევა. 2. წყლიდან ნაწარმოები სიტყვები უფრო მაღალი ხარისხის, ღვთაებრივი, საკრული კატეგორიებია, ვიდრე მათი სხვა სინონიმური სიტყვები. მაგ. წყალობის ბოძება გაცილებით მეტია, ვიდრე საჩუქრისა, შეწყალება პატიებაზე მეტია. ღმერთი მხოლოდ იწყალებს ადამიანს და არა ასაჩუქრებს, დროშების და მხედრობის დამწყალობება უფრო დიდებულია უბრალო დალოცვაზე და ასე შემდეგ.

პირველი დედააზრი გვარწმუნებს, რომ ჩვენი შორი წინა-



პრები, როცა ქართულ მეტყველებას აყალიბებდენ და ენა-ლიტერატურა-კვლევა-ძიება როცა მას კულტურულ ენად ხვეწდენ, იმყოფებოდენ უდაბნოში, სადაც წყლის დიდი სინაკლულე იყო. მეორე დედააზრი კი იმას გვეუბნება, რომ წყალი ქართული ენის შემოქმედ ხალხის მიერ გაღმერთებული იყო, მას, როგორც ღმერთს, თაყვანს სცემდა. ისე, როგორც სხვა ხალხები, ქართველებიც ერთ დროს ბუნების მოვლენებს და ნივთებს აღმერთებდენ. ქართულ ზეპირსიტყვაობაში შემჩნეული და გამორკვეულია მზის და მთვარის კულტის არსებობა. იქნებ მე ხანგრძლივად უცხოეთში ცხოვრების გამო გამომჩია, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, არავის ჯერ „წყლის“ საკითხი სერიოზულად არ შეუსწავლია, თუნდაც ქართული ლექსიკის ანალიზის მიხედვით. არადა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მე ვფიქრობ, უფრო დიდი, ვიდრე მზისა და მთვარის კულტების საკითხს; რადგანაც მას შეუძლია ჩვენ მიგვანიშნოს ქართველი ხალხის საწყისებზე.

სიტყვა წყალ-იდან ნაწარმოები რთული სიტყვები უდავოდ მიგვანიშნებენ, რომ ქართველები მანამ სანამ მცხეთაში არ-მაზის, გაი-გაციის და ზადენის კერპებს აღმართავდენ სალოცავად, უფრო ადრე მათ ბუნებრივი ღმერთების პანთეონი ჰქონდათ, სადაც წყალს საპატიო ადგილი უნდა სჭეროდა. ისიც ამჟღავნებს, რომ ქართული ენა შექმნილია უდაბნოში, იქ, სადაც წყლის დიდი ნაკლებობა იყო. როგორც იშვიათ და აუცილებლად საჭირო სხეულს, ქართველი თაყვანს სცემდა წყალს. სამართალში, ეთიკაში და თვით ქრისტიანულ რელიგიაში შესული წყლიდან ნაწარმოები უმაღლესი კატეგორიების სიტყვები მოწმობენ, რომ, როცა ქართული ენა კულტურულად იხვეწებოდა და მდიდრდებოდა, მაშინაც კი ქართველი ხალხი განიცდიდა წყლის ძლიერი ნაკლებობის ზემოქმედებას.

ჩვენი წინაპრების შესახებ ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს მკვლევართა შორის. ერთნი ფიქრობენ, რომ ქართველები გვიანმოსულეები არიან ამიერკავკასიაში ისევე, როგორც თურანელები ახლო-აღმოსავლეთში. ჩვენი ახალი ისტორიის უამრავი ივანე ჯავახიშვილი უფრო ამ აზრს იზიარებდა. დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფია,

აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილთან ერთად კი, პირველად აღწერეს, რომ ქართველი ტომები მუდამ მოსახლეობდნენ და ვანდელ საქართველოს მიწა-წყალზე. ხანდისხან მათი ცხოვრების არე გაცილებით უფრო შორს მიდიოდა, ახლო-აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში. ხშირად, დამარცხებათა შედეგად, ეს შორს გასული ტომები, ისევ უკან ბრუნდებოდნენ და ხელახლად მამა-პაპათ ადგილზე სახლდებოდნენ, იქ მუდმივად მცხოვრებ მოძმე ტომთა შორის. ასეთ უკან დაბრუნების მაგალითად ასახელებენ მესხების (ბიბლიურ მოსოხის) დაბრუნებას ქართლში და იქ, სხვათა შორის, ქალაქ მცხეთის დაარსებას მათ მიერ.

არც ერთი ეს მოსაზრება, ჯერჯერობით საბოლოოდ დამტკიცებულად არ ჩაითვლება, თუმცა უკანასკნელი არქეოლოგიური აღმოჩენები, როგორც სამშობლოში, ისე მის მახლობელ მცირე აზიაში, სასწორს ხრის მეორე თვალსაზრისის სასარგებლოდ. ყოველ შემთხვევაში, სულ ცოტა ხუთი ათასი წელი მაინც იქნება, რაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორია ქართველი ხალხითაა დასახლებული და მისი აქ მოსვლის შესახებ არავითარი სარწმუნო ცნობები არ შემოუნახავთ არც ქართველებს და არც სხვა რომელიმე ხალხს.

ივერია

როგორც ზემოდ ითქვა, ქართული ენა, არა მარტო მაშინ, როცა ის ყალიბდებოდა, არამედ მაშინაც, როცა ის სალიტერატურო ენად იხვეწებოდა, როცა ის სარწმუნოების, სამართლის და ეთიკის ნორმებს, ტერმინ-სახელებს იმუშავებდა, განიცდიდა ძლიერ ცხელ და უწყლო გარემოს გავლენას.

მეორე მხრით, შეიძლება დამტკიცებულად ჩათვალოს, რომ კულტურული ქართული ენა შექმნილია დაახლოებით იმ ტერიტორიულ მიჯნებში, რომლებშიც ქართველი ხალხი დღესაც ბინადრობს.

ბუნებრივად ისმება კითხვა თუ სად შეიძლებოდა ქართველი ხალხის საცხოვრებელ გარემოში ასეთი ბუნებრივი პირობები არსებულიყოს? ამიერკავკასიის და მით უფრო საქართველოს

უდიდესი ნაწილი ზომიერ კლიმატის სარტყელშია დაწესებული უხვად გააჩნია, მაგრამ არსებობს მაინც ერთადერთი სადაც წყლის დიდი სიმცირეა და დიდი გვალვებიც იცის. ეს არის ივრისპირეთი, ქიზიყი, ცხელი და უწყლო ქვეყანა ალაზნისა და მტკვრის შორის. ეს უდაბნო თბილისამდე მოდიოდა და მოდის დღესაც.

სტრაბონის მოწმობით, 2000 წლის წინად, ეს კუთხე მეტად ცხელი უწყლო და ძნელად სავალი ყოფილა. მაშინ მას კამბეჩოვანი რქმევია და მის მოსაზღვრე ალბანეთში ყოფილა დიდი მდიდარი და დიდათ გავლენიანი მოგვების ტაძარი. ქართული ისტორიოგრაფიას მიაჩნია, რომ ეს ადგილი სტრაბონის შემდეგ ქართლის სამეფომ შეიერთა. შემდეგ კარგად ცნობილია, რომ მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ქიზიყი ჰერეთთან ერთად ქართლის სამეფოს დაუმორჩილა და ის მის შვილ დაჩის უბოძა საბატონოდ.

ქართლს მალე ისევ სპარსები იპყობენ და ერთი საუკუნე ბატონობენ, ხოლო შემდეგ მათ არაბები ცვლიან.

მერვე საუკუნიდან მოყოლებული ქართლის სამეფო იწყებს გაძლიერებას, ხდება ქართული მიწა-წყლების შემოკრების ცენტრად, რომელიც საბოლოოდ დასრულდა დავით აღმაშენებლის ხელმწიფებაში. ქართლის ირგვლივ შემოკრებულ ქართულ კუთხეებს ერთად ეწოდა გაფართოებული ქართლი, ანუ საქართველო.

„ქართლის ცხოვრებამ“ არაფერი არ იცის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართლოსის ლეგენდას, ქრისტეს წინ შესამე საუკუნეზე ადრინდელი ამბები. ეს დაახლოებით ის ხანაა, როცა ალექსანდრე მაკედონელი ამხობს სპარსეთის იმპერიას, რომელშიც, თუ მთელი საქართველო არა, მისი უდიდესი ნაწილი, აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო მაინც ალბათ შედიოდა. ამის შემდეგ არსდება დედაქალაქი მცხეთა და ასპარეზზე გამოდის ქართლის სამეფო. მაგრამ მცხეთის მეფეებს ქართული ენა უკვე კულტურულად განვითარებული, მდიდარი და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული დახვდათ. საიდან მოდიოდა ეს? ი ვ ე რ ი ი დ ა ნ! ასეთია ჩემი პასუხი. საიდან მოდის ეს სახელწოდება? ამის შესახებ ჩვენ-

მა ისტორიოგრაფებმა თითქმის არაფერი არ იციან. კრეკლ შემთხვევაში, მათი წარმოდგენა ამის შესახებ უსუსურია. მაგალითად „ქართ. საბჭოთა ენციკლოპედია“-ში ნათქვამია:

„...ამ სახელწოდების წარმომავლობა ნათელი არ არის. იგი გაჩნდა უცხოენოვან(ბერძნულ) გარემოში ელინისტურ ხანაში. ზოგი მას ქართულ „იმერს“ (იქითა მხარე) უკავშირებს და მიიჩნევს დას. საქართველოში ლიხსიქითა ან მესხეთის მთებ-ისიქითა ქვეყნის აღსანიშნავად შექმნილ ტერმინად, ზოგი კი უკავშირებს ძვ. წ. მე-5 საუკ. ბერძენ ავტორებთან დამოწმე-ბულ სასპერების სახელს (მათი სახელი შემორჩა ისტ. სპერის ოლქს). ბერძნებთან ი-დ ცნობილი ქვეყანა ადგილობრივ „ქარ-თლად“ იწოდებოდა...“

ვერც ერთი ამ მოსაზრებათაგანი ვერ უძღებს გონიერ კრი-ტიკას და არ წარმოადგენს საფუძვლიან ახსნას. გაცილებით უფრო დასაჯერებელია რომ აღრეულ ხანაში, როცა ბერძნე-ბმა პირველი კონტაქტები და ურთიერთობა დაამყარეს ქარ-თველების წინაპრებთან, მაშინ მათ ქვეყანას ეწოდებოდა „ივერია“. შემდეგ ხანებში, გარეშე მტრების შემოსევების თუ შინაგანი აშლილობების შედეგად შეიძლება შეცვლილიყო აღრინდელი „ივერიის“ სახელწოდება და საზღვრებიც კი, მა-გრამ ბერძნები და მათთან ერთად მთელი დასავლეთის ხალხე-ბიც, განაგრძობდნენ მის ძველებურად-„ივერიად“ ხსენებას-პირველადი „ივერია“, რომელიც შემდეგ ჩვენი წინაპრების შემკრებლობით სახელად იქცა, თავდაპირველად უნდა დაწყ-ბულიყო მდინარე ივრის (იორის) სანაპიროებზე და აქ უნდა წასულიყო ყველაზე წინ ქართველთა წინაპრების პოლიტიკური სიძლიერეც, კულტურაც და ქართული ენაც. აქვე იმყოფებოდნენ განთქმული მოგვთა ტაძრები, სადაც ისევე, როგორც გვიან ქრისტიანობის დროის მონასტრებში, მოღვაწეობდნენ დიდათ განსწავლილი მოგვი-ბერები. სავარაუდებელია, რომ ამ მოგვე-ბის სალიტერატურო ენა, საფუძვლად დაედვა ჯერ პატარა ივერიის სახელმწიფოს და შემდეგ კი დიდი ივერიისას, სრუ-ლიად ივერიისას, რადგანაც აღრინდელი პატარა ივერია თან-დათან გაფართოვდა, თავი მოუყარა ქართველთა წინაპრებით-დასახლებულ მიწა-წყალთა უმრავლესობას მაინც, თუ ყველას არა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ქარ-თულ ენას შემორჩა უაღრესად ცხელ და უწყლო გარემოში



ჩამოყალიბებული ენის ნიშან-თვისებები.

ჩვენ არ ვიცით თუ როდის და რამდენხანს არსებობდა ერთიანებული, დიდი ივერიის სახელმწიფო. საფიქრებელია, რომ იგი დაამხეს წინა აზიაში და ამიერკავკასიაში შემოსეულმა კიმერიელებმა, რომლებსაც მოჰყვნ სპარსები, ბერძნები, სომხები და არაბები, რომელთა უპირველეს დარტყმებს სწორედ ივრისპირეთი იღებდა, რომელთა გამო იგი დიდხანს წელში ვეღარ გაიმართა. მაგრამ მაინც მერვე საუკუნიდან მოყოლებული კახეთის სახელმწიფო, რომელშიც ივრისპირეთიც შედიოდა, ისე გაძლიერდა, რომ ქართლ-აფხაზეთის სახელმწიფოს ეტოქებოდა მომავალი საქართველოსა და ყოფილი დიდი ივერიის გაერთიანებაში. საბოლოოდ ქართლის სამეფომ გაიმარჯვა და გასაგებია, რომ მას ივერიის ძველი დიდების გახსენება ხელს აღარ აძლევდა. ამიტომაცაა ალბათ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორები მას აღარ იხსენიებენ, მაგრამ, როგორც კი ქართლის მეფეთა გავლენა შესუსტდა, სრულიადი საქართველო სამეფოებად და სამთავროებად დანაწილდა, მაშინვე ყველას გაახსენდა, რომ ისინი ივერიელები იყვნენ. კახთა მეფე თეიმურაზ პირველი, რომელსაც კახეთის გარდა არც ერთ სხვა ქართულ კუთხეზე ხელი არ მიუწვდებოდა, თავი მოჰქონდა ივერიელთა მეფედ, რაც თავისთავად ბევრის მეტყველია.

ეს ჩემი მსჯელობა უფრო ზღაპარს ჰგავს, რადგანაც არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ გამაჩნია, გარდა ალლოსა და დიალექტიკური მსჯელობის მომარჯვებისა, მაგრამ მხოლოდ საკითხის დასმა-დაყენებაც ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული, რადგანაც თუ ჩვენი მეცნიერები ამ მიმართულებით იმუშავენ, მათ შეუძლიათ მეტად მნიშვნელოვან, მეცნიერულად დასაბუთებულ, აღმოჩენამდე მივიდნენ.

ერთი რამის თქმა ახლავე შეიძლება: ჩვენს არქეოლოგებს უკვე აღმოუჩენიათ სწორედ ივრის მიდამოებში ქ. წ. მე-15 - მე-8 საუკუნეების ძვირფასი ძეგლები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს მხარე იმ დროს ძლიერ დაწინაურებული ყოფილა. სწორედ ეს საუკუნეები შეესაბამება ივერიის ძლიერების ხანას. დასამტკიცებელი რჩება ის, რომ იმ დროს ამ მხარეს ივერია ეწოდებოდა.



ამ მიმოხილვის და ჩვენებური დასკვნების შემდეგ, ისევ დავუბრუნდეთ რუსთველის იმ ლექსს, რომელიც ეს ნარკვევი დავიწყეთ: „ხანი გამოხდა, იკითხა: „ნეტა რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხენა და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო.“ რუსთველმა, ქართული ენის ამ კეშმარიტმა მესაიდუმლემ, კარგად იცოდა, რომ შორეულ წარსულში ქართველებისათვის წყალი ითვლებოდა ერთ-ერთ მთავარ ღვთაებად და მას თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს. ამიტომ, როცა ის არაბეთის დედოფალ თინათინს, როსტევიანის პირით ახასიათებს, მას სხვათა შორის ღვთაებრივ ბუნებასაც ანიჭებს და ამრიგად დღევანდელ მდაბიო ქართულზე ეს ლექსი შეგვიძლია ასე წავიკითხოთ: ხანი გავიდა, იკითხა: ნეტავი როგორაა თინათინი, ის ჩემი თვალწარმტაცი და მომჯადოებელი ქალი, ის ჩემი ცხოვრების ღმერთაო. ასეთი წაკითხვის შემდეგ, ეს ლექსი აზრობრივადაც მწყობრია და ამავე დროს დიდ პოეტურ აღმაფრენასაც ინარჩუნებს.

გიორგი პერევისელი

მ ე კ ვ ლ ე ვ ა რ !

მეკვლე ვარ ამ ახალი წლის მზიურ მხარეთა ღიმილით; თან მომაქვს ოქროს ფიალა ბედ-იღბლის ნარნარ-ლივლივით.
 რქა სიუხვის, ჯანმრთელობის, პურ-ღვინოს დოვლათ-ბარაქით, ბედელ-მარანი დავსილი ქორწილ-ნათლობის მარაგით.
 თქვენც მომაგებთ ყველმხრივ მშვიდობის აზარფეშები; გული ალალი, მართალი, თეთრი უმანკო ხელები.

რომ ცად ლაღად ფარფატებდნენ მშვიდობის თეთრი მტრედები; რომ აღარადროს გაწითლდეს ცა მოსარკული, კრიალა; არ შეიცვალოს ტირილად ხმები კისკისა, წკრიალა.
 ჰე, მომეგებეთ, მო, შევსვათ მეგობრობის ვახტანგური, ამ ახალი წლის მადლისა თასი უზადო, და - ძმური.
 მით მძლე ერთობით გავლიოთ ამ წუთისოფლის შარავზა; ჰქონდეს სარბენი სიცოცხლეს, სიკვდილის კარს - გადარაზვა!

ასე ვძღვნათ სრულად მსოფლიოს კეთილ ნების სურვილები,



მაშ, გახსენთ წყრო სიცოცხლის!
და ახალ წლის დაბადება

მშვიდობის, ლალი მეგზურად დაგვებედება!

როზა აბნერაშვილი
ბათ იამი, 15/12/1984.

მ ა მ ა გ რ ი გ ო ლ ფ ე რ ა ძ ი ს, -

ჩვენი, მოციქულთა სწორისა და ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს პარიზის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი მოძღვრის, - ტრაგიკური სიკვდილის 40 წლისთავის გამო.

ჩვენი სამრევლოს პირველი სულიერი წინამძღოლი მამა გრიგოლ ფერაძე პატიმრად მყოფი გერმანიაში გარდაიცვალა 1944-ში. ჩვენ არაფერი არ ვიცით, თუ რა მიზეზით დააპატიმრეს გერმანელებმა პოლონეთში, არც მისი პატიმრობის პირობები და არც მისი ტრაგიკული ბოლოს ზუსტი თარიღი.

ერთი ბერისა და მწუხმის ბედის ასეთმა უცოდინარობამ, არ შეიძლება არ გაგვაკვიროს, ჩვენი მხსნელი ქრისტეს გოგოთის გზისა და მისდამი თანაგრძნობის გამოუჩენლობის შემდეგ. ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებელი ფაკულტეტი, მისი ყოფილი სტუდენტების ინიციატივით, ამჟამად აწყობს არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის მოსაგონარს. საქართველოშიც სტატიები მიეძღვნა მამა გრიგოლს, საქართველოს საპატრიარქოს ყურნალ „ჯვარი ვაზისა“-ში და კათალიკოსი და საკათალიკოსო სინოდი შეუდგა მისი კანონიზაციის საქმეს.

ჩვენ ბევრს მოველით მამა ფერაძის ცხოვრების შესახებ მისი პოლონელი მართლმადიდებელი მეგობრებისაგან. ჩვენი მხრით კი, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია მოწმობა მხოლოდ იმ წლებზე, როცა ის ჩვენი სამწყოს მოძღვარი იყო, მისი ბერად აღკვეციდან დაწყებული. იბლად ჩვენ გვაქვს მისი ბიოგრაფიული მოკლე ცნობები, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი სამრევლოს კრებულ „ჯვარი ვაზისაში“ №1. ეს კრებული დაარსებულია მამა ფერაძის მიერ და იგი მას ხელმძღვანელობდა ბოლომდე, ე. ი. 1931 - 34 წლები და სულ გამოვიდა 4 ნომერი. ბიოგრაფი-

ული ცნობარი მოკლეა, მაგრამ მისი ღირსება ისაა, რომელიც სანდოა, რადგანაც შედგენილია თვით მ. გრიგოლის მიერ და მისი მიხედვით შეიძლება იმ ზოგიერთი შემჩნეული შეცდომის გასწორება რომლებსაც ადგილი აქვთ სამშობლოში გამოცემულ ნაბეჭდებში.

გრ. ფერაძე დაიბადა 1899 წ. 13 სექტემბერს სოფ. ბაკურციხეში (სიღნაღის მაზრა), სადაც მამამისი რომანოსი მღვდლად იყო. სწავლობდა გრიგოლი ტფილისის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაასრულა 1918 წელს; საკათალიკოსო საბჭომ მაშინდელ სემინარიის რექტორ პროფ. კეკელიძის შუამდგომლობით, მიმართა გენერალ ფონ კრესს გრ. ფერაძისათვის რომელიმე გერმანულ თეოლოგიურ ფაკულტეტზე სტიპენდიის მიცემის შესახებ, ვინაიდან, როგორც პირველი ხარისხით სწავლადასრულებულისათვის, მისი გაგზავნა რუსეთის რომელიმე აკადემიაში, ბოლშევიკური რევოლუციის გამო, შეუძლებელი იყო. ფონ კრესი ოფიციალურ მიმართვით შეჰპირდა საკათალიკოსო საბჭოს, მაგრამ გერმანიაში ამტკიცარმა რევოლუციამ ამ გეგმას ხელი შეუშალა. გრ. ფერაძე წავიდა მასწავლებლად სოფ. ზემო-ხანდაკში (გორის მაზრა), 1919 წ. მას გაიწვევენ ჯარში და იგი მსახურობს გორში, ბორჯომში და ახალციხეში; ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ იგი მიდის მასწავლებლად სოფ. მანავში 1921 წ. მარტში; იმავე წელს გარე-კახეთის სამღვდლოება აგზავნის მას წარმომადგენლად მესამე საეკლესიო კრებაზე გელათში, სადაც მისი ევროპაში გაგზავნის საკითხი, ისევ პროფ. კეკელიძის და მიტროპოლიტ ნაზარის შუამდგომლობით, ხელმეორედ ისმება. ცნობილ მოღვაწე არტურ ლაისტის დახმარებით იგი სტოვებს საქართველოს 1921 წელში.

გერმანიაში ჩამოსვლისას გრ. ფერაძე სწავლობს 3 წელიწადი ბერლინის უნივერსიტეტში (1922 - 25) და ერთი ბონში. თეოლოგიასთან ერთად სწავლობდა აგრეთვე აღმოსავლურ ენებს: ძველ ებრაულს, სირილუს, არაბულს, კობტურს და სომხურს. 1926 წ. იგი აბარებს სადოქტორო გამოცდებს ფილოსოფიურ ფაკულტეტზე და მიემგზავრება ბელგიაში ცნობილ ბოლანდისტ პეეტრსთან სამუშაოდ და იქიდან ლუვენის უნივერსიტეტში, სადაც რჩება ერთი წლით, მაგრამ სამწუხაროდ 1927 წ. ბონში კვ-

კვდება ცნობილი ორიენტალისტი და ქართველოლოგი გ. ფერაძეს. სამი და ნახევარი თვის ინგლისში ყოფნის შემდეგ, უბრუნდება ბონს, სადაც დღემდე მუშაობს (1931 წ.).

1927 წელს, ცნობილ საეკლესიო კონფერენციაზე, ლოზანაში, გრ. ფერაძეს მიიწვევენ, გერმანელ და შვეიცარულ (ძველი კათოლიკეების) დელეგატთა რჩევით, საქართველოს ეკლესიის კოოპტურ წარმომადგენლად.

გრ. ფერაძეს გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა ენაზე სამეცნიერო შრომები და გამოკვლევები, რომელთა შორის : „ქართული ბერობის შესახებ“ (გერმანულ ენაზე), „ბერობის დასაწყისი საქართველოში“ (გერმანულად), „ქართველ ბერთა ლიტერატურული მოღვაწეობა. ათონის მთაზე“ (ფრანგულად), „შობის დღესასწაული იერუსალიმში მეშვიდე საუკუნეში“, — ცნობილ ლიტურდისტ პროფ. ბაუმშტარკთან ერთად, „ძველი ქართული ლიტერატურა და მისი პრობლემები“ (გერმანულად), „წინაბიზანტიური ლიტურდიის შესახებ საქართველოში“ (გერმანულად) (ეს გამოკვლევა ჯერ მოხსენების სახით წაკითხულიქმნა 1928 წ. ბონში ორიენტალისტთა კრებაზე, სადაც, შემდეგ პლენარულ კრებაზე, გამოტანილიქმნა რეზოლუცია, ქართული ლიტერატურული ნაშთების მნიშვნელობის და გერმანულ უნივერსიტეტებში მათი შესწავლის აუცილებლობის შესახებ. ეს რეზოლუცია წარედგინა პრუსიის განათლების მინისტრს ბეკერს.) „პრობლემანი ქართული სახარების თარგმნისა“—წაკითხული გენაში 1930 წ. და დაბეჭდილი, „ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ საქართველოში“ (გერმანულად)—ეს გამოკვლევა იბეჭდება გაგრძელებით, დღემდე მხოლოდ ასოები : ა, ბ, ც, დ, ე, ფ, გ; (კეკელიძის კატალოგის მიხედვით), „ესკიზები ქართულ კულტურულ ცხოვრებიდან“: 1. წმიდა გიორგის შესახებ, 2. სპეციფიური ქართული ბერობის შესახებ მართლმადიდებელ ბერობაში.

მამა გრ. ფერაძის მიერ პარიზის ქართულ წმიდა ნინოს სამრევლოში შესრულებული ლიტურდიათა კატალოგი, რომელიც ჩვენ შევადგინეთ, შემდეგია : პირველად 1931 წ. 31 მთის, მეთოდისტების ეკლესიაში (დანფერ-როშეროს ქ. №79), შემდეგ

ტარე), მან ჯერ ევროპის ამბავი მითხრა: „ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს საფრანგეთი და ბელგია. ჩვენი დიდი მეგობრები არიან: არისტიდ ბრიანი, ერიო, რენოდელი, ანდრია მარკე, ვანდერველდე, დებრუკერი, კაუციკი, შეიდემაიო.“ როცა შევეკითხე თუ ვინ დაგვეხმარება, მან მიპასუხა: „არავინ იარაღით ჩვენ არ დაგვეხმარება, მხოლოდ პოლონეთში მყოფი ქართველი მხედრები, გენ. ზაქარიადის და გენ. კონიაშვილის მეთაურობით და აგრეთვე თვით პოლონეთი მოგვაშველებს იარაღს ბათუმის გზით. თუ ჩვენ ორი კვირის განმავლობაში გავძელით, მაშინ ევროპა ჩაერევა დიპლომატიურად.“ მან აგრეთვე გადმომცა: „გავეცანი დამკომის მუშაობას, ვარ მის განკარგულებაში, მე მომანდვენ თბილისის ადებაო. გავეცანი თბილისის შეიარაღებულ ძალებს, ისინი ერთობ სუსტია. გოგიტას (ფადავა) დაჭერის შემდეგ, აღარ აქვთ კავშირი ამიერკავკასიის რკინიგზის მუშებთან, რაც სამწუხაროა. თუ ჩვენს ხელში არ იქნა რკინიგზის დეპო, ვაზიანის ამიერკავკასიის არტილერია, ისე ჩვენ ვერ ავიღებთ თბილისს გარედან ქაქუცა ჩოლოყშვილის რაზმით. ბორჩალოს თათართა შეიარაღებული 300 ცხენოსანი, ჩემი აზრით, გადამეტებულია და ამიტომ მე უკვე კაცი გავზავნე ხაშურის, შორაპნის და სამტრედიის დეპოებში, აგრეთვე მაზრებში. თითოეულმა მაზრამ უნდა გამოგზავნოს 8 შეიარაღებული კაცი, ვინც არ იმალება და კარგად იცნობს თბილისსო. თბილისში უნდა მოვიდნენ ცალ-ცალკე აჯანყების წინ ერთი დღით ადრე. ამ ძალებით ჩვენ ავიღებთ: 1. ზაკჩეკას და მეტეხს, 2. მთავარ ფოსტას და 3. დავაპატიმრებთ მთავრობას. თუ თბილისი არ ავიღეთ, შენი ქითურის ადებით არაფერი არ გამოვაო.“ მან აგრეთვე გაიხსენა 1917 წ. 12 დეკემბერი: ჩვენ რომ მაშინ არსენალი არ აგველო, დამოუკიდებლობას ვერ გამოვაცხადებდითო. არსენალის იარაღმა გადაწყვიტა ყველაფერი. ასეა ახლაც, თუ თბილისი არ ავიღეთ, პროვინციებით ვერ ავიღებთ მასო.

მე კიდევ დავესვი მას კითხვა: ვინიციობაა დავმარცხდეთ,

მაშინ სად უნდა შევფაროთ თავი თქვა? ჯღელმა მიპასუხა: ოსმალეთს და ევროპას! მე კი—თან დაუმატა—ევროპაში აღარ წავალ, თავს მოვიკლავო.

დავბირდი 8 კაცით ჩავილოდი, როცა მაცნობებდა, მიგეცი ჩემი მისამართი, მან მომცა მისი, გამოვემშვიდობეთ და გადავკოცნეთ ერთმანეთი. დავბრუნდი ქიათურაში, დავიწყე ქარხანაში მუშაობა, თანაც ვნახულობდი ჩემი რაზმის მეტაურებს და ქიათურის დამკომის ხელმძღვანელებს: გიორგი წერეთელს და გიორგი გურულს (აფიცერი). როცა მივიღებდი ცნობას ჯუღელისაგან, მაშინ ვეტყვი ამ უკანასკნელებს, ჩემს რაზმს კი ჩავაბარებდი კოწია სამყურაშვილს (20 კ.).

თქვენ ვალიკო ჯუღელი გამოგყავთ მოლაღატედ და ჰპირდებით, რომ მომავალი ისტორია მას შეუნდობს. ეს კარგი დაპირებაა! ვაი, საცოდავო ვალიკო ჯუღელო!

ვალიკო ჩუბინიძე

ჩემი გამოძახილი ამ წერილზე. თავდაპირველად, მადლობა უნდა გადავუხადო ბ. ვალიკოს ასე დაუფვიანებლად, რომ მოგვაწოდა თავისი პასუხი. ვინაიდან აქ შემთხვევა მაქვს, მინდა ქება - დიდება შევასხა მას, არა მარტო სამოცი წლის წინად წარმოებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის, არამედ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში და დღესაც, ეს ხანდაზმული კაცი, 90 წელს გადაცილებული, ასე მუხლჩაუდრეკლად რომ ემსახურება მისი პარტიიდან ჩვენი საერთო სამშობლოს განთავისუფლების საქმეს.

მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ბ. ვ. ჩუბინიძეს გულს ვატკენდი, თუნდაც იმის გამო, რომ მის საყვარელ მეტაურის მოქმედებაში ეჭვი შევიტანე, მაგრამ რა ვქნათ? როცა წარსულს ვიხილავთ, ჩვენი მოვალეობაა იქ დაშვებული შეცდომები გამოვანშკარაოდ, რომ მომავალში ისეთივენი აღარ გაიმეორონ. ვ. ჩუბინიძე პირადად, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია. ის მოქმედი იყო და არა მოაზროვნე. ის ენდობოდა მის მეტაურებს და შეეძლო უანგარიშოთ შეესრულებია

(გაგრძ. იხ. 70 გვ.)



ეროვნული
კავშირთა

ამერიკის შერთ. შტატების
ზიდენტს ბატონ რონალდ რეიგანს.
თეთრი სახლი, ვაშინგტონი.

ბატონო პრეზიდენტო !

თქვენს ტრიუმფალურ არჩევასთან და ამერიკის შ. შტ.-ის პრეზიდენტობის ინვესტიტურის განახლებასთან დაკავშირებით, თავს ნებას ვაძლევთ, უმორჩილესად მოგესალმით და მოგილოცოთ.

დმერთსა ვთხოვთ თქვენს ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს ამერიკელი ხალხის ბედნიერებისა და წინსვლის, და აგრეთვე, საკაცობრიო თავისუფლებისა და პროგრესის დიდთ საპატიო სამსახურში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამერიკის შ. შტ.-ში მთავარი ციხესიმაგრეა, საბჭოთა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ძალით და ყველგვარი ცბიერების გამოყენებით ცდილობს მსოფლიოზე გაბატონებას. ამიტომ ამერიკის შ. შტ.-ის ძლიერება და კეთილდღეობა დიდმნიშვნელოვანია ყველა თავისუფლების მოყვარული ადამიანებისა და ხალხებისათვის.

თქვენი წარსული სახელმწიფო მოღვაწეობა იმის თავდებია, რომ თქვენ მომავალშიაც მტკიცედ, ყველგვარი ყოყმანის გარეშე, წინ აღუდგებით თავისუფლების ძირგამომთხრელ ძალებს.

ჩვენ, ჩვენი სამშობლო საქართველოდან დასავლეთში გადმონხვეწილები, რომელიც ჯერ კიდევ 1921 წლიდან მსხვერპლია საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმის, ვფიქრობთ და გვგონია, რომ თავისუფლების და დემოკრატიისათვის მებრძოლი ძალების მთელ მსოფლიოზე გამარჯვება, იქნება აგრეთვე გამარჯვებაც ქართველი ხალხისა, რომელიც იბრძვის მისი ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლების და დემოკრატიული წესწყობილების აღსადგენად.

ამ გაგებით და რწმენით, ვთხოვთ მიიღოთ, ბატონო პრეზი-

დენტო, ჩვენი თქვენდამი ღრმა პატივისცემის გამოხატე-
ლი სიტყვები.



გიორგი წერეთელი,
უცხოეთში ქართული პოლიტიკის პერი-
ოდული ორგანოს პასუხისმგებელი რედ-რი.

საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის სამინისტროს
საპასუხო წერილი, საფ- მცხოვრებ ქართველთა
სათვისტომოს თავმჯდომარე ბ. თამაზ ნასყადაშვილი-
სადმი.

[„გუშავი“ №2-ში დაიბეჭდა ჩვენი სათ. თავ.-ის ბ. თ. ნას-
ყადაშვილის მიმართვის ტექსტი, საფრანგეთის პრეზიდენტ
ბატომ ფრანსუა მიტერანისადმი, მისი მოსკოვში ვიზიტად
გამგზავრების წინ. ამ მიმართვის პასუხად, ბ. თ. ნასყადა-
შვილმა მიიღო საფ. საგარეო ურთიერთობის მინისტრის შა-
რჟეს, ბ. ჰარრის პეიზეს წერილი, რომლის შინაარსიც იხი-
ლეთ ქვემოლ.]

„ბ. თავმჯდომარევ, თქვენ ინებეთ, 1984 წ. 13 ივნისის
წერილით, საფ. პრეზიდენტის ჟურადლება მიგექციათ პატიმ-
რობაში მყოფ საბჭოთა მოქალაქეების მდგომარეობაზე.

როგორც იცით, ერთგული ადამიანის უფლებების დაცვის
აღებული ვალდებულებისა, საფრანგეთის მთავრობა გულმოდ-
გინედ ემსახურება ამ საქმის მთელ მსოფლიოში განხორციე-
ლებას. მისი ეს პოლიტიკა, რომელიც ტარდება როგორც სა-
ერთაშორისო დაწესებულებებში, ისე სახელმწიფოებთან ორ-
მხრივ ურთიერთობაში,—საფრანგეთის პრეზიდენტმა კიდევ
ერთხელ განაცხადა, 1984 წ. 21 ივნისს, კრემლში წარმოთ-
ქმულ სიტყვაში.

რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც თქვენ ასახელებთ,
საფრანგეთის მთავრობა არ გაუშვებს არც ერთ ხელსაყრელ
შემთხვევას, რომ დაბეჯითებით არ დააყენოს საბჭოთა ხე-
ლისუფლების წინაშე ეს ჰუმანიური ხასიათის საკითხები.

მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ ასეთ ხასიათის შუამდგომ-

ლებებს საბჭოთა ხელისუფლება თვლის, როგორც სსრკ-ში ურ საქმეებში ჩარევას და ამიტომ ძნელია იმედის გამოთქმა, რომ ეს ჰუმანიური შემთხვევები საჩქაროდ იქნებიან მოგვარებულნი.

ამავე დროს, საფრანგეთის მთავრობამ გულდასმით უნდა შეარჩიოს მისი შუამდგომლობის საკითხები. თუმცა ეს ხელს არ შეუშლის საბჭოთა ხელისუფლებას მიუთითოს, რომ პატივისცეს მის ვალდებულებებს ჰელსინკის საბოლოო აქტის მიმართ. გთხოვთ მიიღოთ და სხვა...“

ხელს აწერს: ჰარის პვიზე

ჩემი გამოცხადილი ამ წერილზე (დასაწყისი იხ. 67 გვ.)

მათი დავალება. ახლა, რაც შეეხება ვ. ჩუბინიძის თვით ამ წერილს, აქ ახალი ბევრი არაფერია მის აღრინდელ მოგონებებთან შედარებით, გარდა იმისა, რომ აღრეის წერდა: 12 აგვისტოს უნდა წავსულიყავი ჩემი რაზმით თბილისში. ახლა რიცხვს აღარ ასახელებს და იწერება: როცა მივიღებდი ჯუღელიდან ცნობას, მაშინ ვეტყოდი ჭიათურის დამკომის ხელმძღვანელებს და ჩემს 20 კაციან რაზმს კოწია სამკურაშვილს ჩავაბარებდიო, რაც არსებითად არ ცვლის ძირითად საკითხს ვ. ჯუღელის შესახებ. ამ წერილის მნიშვნელობა იმაშია, რომ ბ. ვ. ჩუბინიძე კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ვ. ჯუღელის განკარგულებით, 600-ზე მეტი შეიარაღებული რაზმელი პროვინციებიდან თბილისში უნდა ჩასულიყვნენ აჯანყების წინააღმდეგ და, რომ ამის შესახებ, არავინ არაფერი არ იცოდა აჯანყების ხელმძღვანელ მთავარ ორგანოში. ამის ახსნა კონსპირაციით, როგორც ამას ბ. ჩუბინიძე ფიქრობს, შეუძლებელია. 600 შეიარაღებული რაზმელის ზედმეტად ყოლა თბილისში გამოსვლების დროს, სახუმარო ძალა არ იყო, მას დიდი ცვლილების შეტანა შეეძლო დედაქალაქში აჯანყების მსვლელობაზე. ამიტომ, მის შესახებ უეჭველად უნდა ცოდნოდა, ჯერ მთავარი დამკომის სამხედრო კომისიას, და შემდეგ აჯანყების

მთავარ სამხედრო შტაბს. ვინაიდან ვ. ჯუღელი ასევე მთავარი მოიქცა, ეს იმას ნიშნავს, რომ დამკომს ის მთლიანად დადო და აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში, მას უნდოდა საკუთარი სანდო შეიარაღებული ძალები ჰყოლოდა, რომ მასზე მისთვის სასურველი ზეგავლენა მოეხდინა. სავარაუდებელია, რომ ვ. ჯუღელს აფიქრებდა ხელისუფლების საკითხი, აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში, რადგანაც, მიუხედავად ეროვნულ პარტიებს შორის არსებულ საბრძოლო კავშირისა, სოციალისტურ და არასოციალისტურ სექტორებს შორის არსებობდა ფარული ომი, ძალაუფლების ხელში ასაღებად. კერძოდ, ვ. ჯუღელს ალბად აშინებდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ძალაუფლება ვაი თუ ეროვნულდემოკრატებსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილს ჩავარდნოდან ხელში. მისი შიში საფუძვლიანიც იყო, რადგანაც, თუ დასავლეთ საქართველოში სოციალისტები აშკარად სჭარბობდნენ, აღმოსავლეთ საქართველოსა და სატახტო ქალაქში პირიქით: ეროვნულდემოკრატიული და საერთოდ ანტისოციალისტური ძალები სჭარბობდნენ.

როგორც ბ. ვ. ჩუბინიძე ბრძანებს, ვ. ჯუღელს მისთვის უთქვამს— „ვინც თბილისში ბატონობს, ის ბატონობს მთელ საქართველოშიცო.“ ამის შემდეგ ცხადია, თუ რად უნდოდა მას ეროვნულდემოკრატების ფარულად თავისი სანდო რაზმები ჰყოლოდა თბილისში. ამით ისიც გასაგები ხდება, თუ რატომ ასე თავგამოდებით ილაშქრებდა ის აჯანყების მოხდენის წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც ის ჩეკის კლანჭებში მოექცა. ბ. ვ. ჩუბინიძე აღშფოთებულია, რომ მე ვ. ჯუღელის საქციელზე დალატის ეჭვი აღვძარი. მისი რეაქცია სრულიად გასაგები და ბუნებრივია. დალატი ფართო სიტყვაა. საკითხავია, თუ რას დალატობდა და რას ერთგულობდა ვ. ჯუღელი? ის უეჭველად იყო სოციალისტური იდეებით გაუღენთილი პოლიტიკური მოღვაწე. მას ღრმად სწამდა და იბრძოდა სოციალ-დემოკრატიული საქართველოსთვის, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მისთვის აუტანელი იყო იდეა: საბჭოთა რუსეთისაგან განთავისუფლებულ საქართველოს რომ ყოფილი თავად-აზნაურობის და კაპიტალიზმის წარმომადგენლები დაპატრონებოდნენ.



გ ლ ე ხ უ რ ი უ ე შ მ ა კ ო დ ა ს კ ვ ნ აქრონული
ნიშვნითაა

თბილისური ზაფხულის ერთ დღეს ჩემთან მოვიდა გურჯაანის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მთხოვა: ამელო მისი შვილის საქმე დასაცავად, საქ. უმაღლეს სასამართლოში, რაზედაც დავთანხმდი.

საქმე უნდა გარჩეულიყო გურჯაანის სარაიონო კლუბში. წინა დღეს ჩემთან თბილისში ჩამოვიდა ჩემი კლიენტი, მისი მანქანა „ვოლგით“ და ერთად გავემგზავრეთ გურჯაანისკენ. როცა ქალაქს მიუახლოვდით, მან მითხრა: პატივცემულო ადვოკატო, არ გირჩევთ, რომ გურჯაანის სასტუმროში იცხოვროთ, მობრძანდით ჩვენთან ოჯახში, ცალკე ოთახში მოგათავსებთ, იქ უკედ დაისვენებთო. ვიცნობდი რა გურჯაანის რაიონის ნოტიო სასტუმროს, ჩემი კლიენტის წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი.

ჩემი კლიენტის სახლი გურჯაანიდან 3 კილომეტრით იყო მოცილებული. მშვენიერი ორ სართულიანი აგურის სახლი ჰქონდა, სახლის კუთხეებში თეთრი თლილი ქვაა დატანებული, რაც სილამაზეს მატებდა სახლს; დიდი მწვანე ეზო, აქა-იქ ფერად-ფერადი ყვავილები, იქვე მანქანის ფარები და სხვა. ეზო გარშემორტყმული იყო მავთულით ნაქსოვი ღობით.

უკვე საღამოა, ვსადილობთ, თანდათან ბნელდება, ეზოში სინათლე აინთო. სადილზე რიგრიგობით შემოგვიერთდნენ: კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, ბუღალტერი და ორი ბრიგადირი. უცბად მეზობლის ეზოდან სინათლე გამოჩნდა, დავინახე გლეხი კაცი, რომელსაც ერთ ხელში ნავთის ჰრაქი ეჭირა და მეორეში ვედრო, ვედროდან ორთქლი ამოდრიოდა, ალბათ შიგ ადუღებული წყალი ესხა, და რას ვხედავ: გლეხმა ჰრაქი იქვე ახლო ამალღებულ ადგილზე შემოდგა, ვირს მიუახლოვდა, რომელიც ხეზე იყო მიბმული, ტაშტზე ცხელი წყალი დაასხა, ვირს ფეხებთან მიუწია, დილუნა, ხის ჯირკზე ჩამოჯდა, ვირს წინა ფეხები ჩააყოფინა წყალში, დაბანა კარგად, მერე წინა ფეხები აოდებინა, ახლა იგივე ტაშტზე ცხელი წყალი დაამატა და

შემდეგ უკანა ფეხები ჩააყოფინა ვირს და დაბანა. შემდეგ წყლი ტაშტიდან იქვე ეზოში გადაღვარა და სადღეს გაბრუნდა. ეს ყველაფერი ჩემს პირდაპირ ხდებოდა და მაგიდის სხვა წევრებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ვიფიქრე: კახელებისთვის ეს ამბავი არაა გასაკვირი-მეთქი.

მეორე დღესაც სადილათ იმავე ეზოში, იმავე ადგილას ვისადილეთ და მაგიდის წინა დღის შემადგენლობას, კოლმეურნეობის ყარაული დაემატა. იმ საღამოსაც ჩემი კლიენტის მეზობელმა ისევე დაბანა ფეხები ვირს, როგორც წინა დღეს. მე ამ ამბით დავინტერესდი, მაგრამ არაფერი არ შევეკითხე მაგიდის წევრებს, თუ რატომ ბანენ ვირს ფეხებს ცხელი წყლით-თქო. არ მინდოდა ჩემი უტოდინარობა გამომეჩინა მათთან და თანაც შეიძლება მათ სწორი პასუხი ვერ გაეცათ. გადავწყვიტე შეხვედრა თვით ვირის პატრონთან. ამიტომ მასპინძელს ვთხოვე: ეს მეზობელი დამიპატიჟე თქო. როგორ არა, თქვენი ხათრით არ დავპატიჟე, თორემ მაგას ყოველთვის ვეძახიო და დაუძახა: ძია სანდრო, სტუმრები მყავს და მეწვიე ვახშამზუეო. ძია სანდრომ მადლობა გადაუხადა და უთხრა მალე მოვალეო. მართლაც ძია სანდრო მალე შემოგვიერთდა, უხერხული იყო მოსვლის-თანავე ვირზე ლაპარაკის ჩამოგდება, შეისვა კიდე სამიოდე სადღეგრძელო, გაიმართა მუსაიფი ყურძნის მოსავალზე და მხოლოდ შემდეგ მივმართე ძია სანდროს: მე ზემო იმერეთში დაბადებული და გაზრდილი ვარ, არაფერი ვიცი ვირის თვისებების შესახებ, ჩემთვის ყველაზე საინტერესოა, თუ რატომ ბანენ ვირს ფეხებს ყოველ საღამოს-თქო.

—ვირის შესახებ მე წიგნი შემიძლია დაგწერო, ნაწილი იმ ცხონებული მამაჩემის გადმოცემით ვიცი და ნაწილი კიდევ მეც შევისწავლე ვინაიდან მე ვირს ვამუშავებ. თქვა ძია სანდრომ და ღვინით დასველებული უღვაშები გაიმშრალა და განაგრძო: მე პირადად ყოველ ღამეს ვბან ფეხებს ვირს ცხელი წყლით. ჩემ ვირს ვამუშავებ სამხედრო საქმეზე, აი, წყალ გაღმა რომ მთა-გორაკია, იქ სამხედროები რაღაცას აშენებენ, მანქანა იქ ვერ ადის, ამიტომ მე ჩემი ვირით ვზიდავ ქვასა და სილას. ვირი საღამოს ძალიან იღლებს, ამიტომ ფეხებს ვბან ყოველ საღამოს ცხელი წყლით.

ჩემთვისაც რომ არ დამრჩეს დასაბანად წყალი. რამდენადაც დაგებანო ცხელი წყლით ფეხები, მეორე დღისთვის სასაშუალოდ აღარ ივარგებს, დავარდება. ცხელ წყალს მისი სისხლი მოჰყვს მოძრაობაში, ვირი ისვენებს და თან სიამოვნობს დაბანვა, თორემ უსათუოდ დავარდებაო... ამ ბოლო სიტყვებზე ჩაეცინა ძია სანდროს.

რაშია საქმე, რას გეცინება? თითქმის ყველა ერთხმად შევეკითხეთ.

— მეშინია, აქ ყველა კომუნისტები ხართ, დამიჭერთ, თორე კიდევ ერთ სიმართლეს ვიტყვიო, და თან ჩაეცინა ძია სანდროს. პარტიული კომიტეტის მდივანმა უთხრა, სიმართლის თქმისთვის არავის იჭერენო. ბრიგადირმაც იხუმრა: თუ დაგიჭერენ, აგერ ადვოკატი გგყავსო.

სანდრომ კვლავ გადისვა ულვაშებზე ხელი, მერე ორივე ხელი მუხლებს მაგრად ჩასჭიდა, თავი ოღნავ ჩაქინდრა და თქვა: ეს მთავრობა იმიტომ აძლევს წელიწადში ერთ თვიან დასვენებას ხალხს, რომ იცის თუ არ დაასვენა, მეორე წლისთვის დავარდებიან, თორე არ დაგასვენებდაო. ამის თქმა იყო, და ყველანი ერთბაშად წამოდგნენ მაგიდიდან, თითქოს ლურსმნები შერჭობოდეთ; წავი-წამოვიდენ ისე, რომ გამომშვიდობების სიტყვაც არ უთხრეს მასპინძელს, არც მაღლობა გადაუხადეს. მეც უსიტყვოდ გამოშტერებული ვდგავარ, ასე მგონია: რაც მოხდა ყველივე ჩემი ბრალია, ვინაიდან მე ვთხოვე მასპინძელს ვირის პატრონის დაპატიჟება, მაგრამ ვინ ელოდა, რომ სანდრო ასეთ რამეს იტყოდა!

დასაძინებლად რომ ავყვევი მეორე სართულის კიბეებს, მასპინძელმა მითხრა: არ მიაქციო ყურადღება, მევირე სანდროს ჩერჩეტ სიტყვებსო. მართლაც და ჩანდა, რომ სანდრომ უნებლიედ, უეშმაკოდ თქვა ის, რაც თქვა. ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე.

ოთახში შევედი, წამოვწექი, მაგრამ არ დამეძინა, ჩავრთე ტელევიზორი, მეც დავიწყე ფიჭრი შექმნილ მდგომარეობაზე და სადღაც მეც შემეშინდა, ის ატმოსფერო რომ წარმოვიდგინე...

ღილით ადრე კარებზე კაკუნის ხმა შემომესმა, გუშინდელი ამბავი არ დამვიწყნია, და სადღაც პატარა შიშმა ამი-



ტანა, ნუთუ სანდროს ნათქვამს უკვე შედეგი მოგვინდება? დავუძახე: მობრძანდი - თქო! ვხედავ მასპინძელმა შენთან კარები, მომესალმა, როგორ გეძინათო შემეგოთხა. ვუპასუხე: კარგათ - თქო. ჩვენ ბიჭებს კი მთელი ღამე არ ძინებიათ, მითხრა მასპინძელმა, შუალამით მოვიდენ თქვენი აზრის გასაგებად, თქვენ გეძინათ და ხათრით ვეღარ გაგაღვიძეთ; ბიჭებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს, თუ სულელი სანდროს ნათქვამს არ მიიტანთ ორგანოებამდე, ჩვენი ბიჭებიც არაფერს იტყვიან, თუ არა და, დღეს ყველანი ფიქრობენ წავიდენ და განაცხადონ კ.გ.ბ.-ში, ვინაიდან ყველას თავისი ტყვის ეშინიათ, არ უსაყვედურონ: თუ თქვენ კარგი ადამიანები ხართ, რატომ თავის დროზე არ განაცხადეთო, შარი არ მოდონ.

მე მივუგე, რომ ჩემი იმედი გქონდეთ, მე ამის შესახებ არაფერს არ ვიტყვი. კარგი იყო არ მომხდარიყო, მაგრამ რას ვიზამთ, რაც იყო იყო.


მართლაცდა სანდროს ნათქვამი ყველამ შეინახა, გულში თუშეცა შიშს დიდხანს ატარებდენ. ყველა იმას ფიქრობდა: მე კი არსად ვიტყვი, მაგრამ იქნება სხვას წამოცდეს სადმეო.

ჩემო ძვირფასო მკითხველო! რატომ უნდა მოყოლოდა ასეთი შედეგი სანდროს ნათქვამს? მაშინ ყველას ჩაუშწარდა მშვენიერი პურმარილი და დროსტარება. რატომ უნდა ეშინოდეს ადამიანს უეშმაკო და უბრალო ხუმრობის? რაშია საქმე? იქნებ თქვენ გამოიტანოთ სწორი დასკვნა.

მიხაკო საჩხერელი
1984 წლის სექტემბერი, ისრაელი

მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველთა ძეგლის შესახებ

ამ ძეგლის ისტორია მკითხველთათვის უკვე ცნობილია „თავისუფლების ტრიბუნაში“ გამოქვეყნებულ წერილიდან (№30, სექტემბერი 1980 წ.). ამ წინამდებარე განცხადებით, ძეგლის ფეხის საინიციატივო ჯგუფს სურს ანგარიში ჩააბაროს საზოგადოებას, რომ ქართველები და განსაკუთრებით ისინი, რომლებმაც განსაზღვრული თანხა გაიღეს, საქმის კურსში



ბ. ჯანრი კაშიამ. როგორც ცნობილია: „ის ურჩევნია შიმულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასა.“ ეს გვიან გაშროჩნდება, რასაც ჩვენ შეიძლება ველარ მოვესწროთ. ჩვენ კი დღეს ვისურვებდით, რომ ეს ხატოვანი თქმა ამ ჩვენს შემთხვევაში ამხდარიყოს.

ამჟამად კი, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ორიოდ სიტყვა მაინც ვთქვათ მიმავალ კაცზე, რადგანაც აქ საშუალება არ გაგვაჩნია ფართოდ და ამომწურავად შევეხოთ კ. ინსარიძის ხანგრძლივ რადიოში მოღვაწეობას. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენი პრინციპების მიხედვით, მას თითქმის არასოდეს ქათინაურებს არ ვეუბნევოდით, მაგრამ როდესაც საჭიროდ მიგვაჩნდა, ჩვენი კრიტიკით არ ვზოგავდით და ეს იციან „თავის. ტრიბუნის“ და „გუშაგის“ მკითხველებმა.

კ. ინასარიძე ჩვენი, „ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაციის“ მოძრაობის ერთ-ერთი მოთავეთაგანი იყო. როგორც კი რადიოში წავიდა სამუშაოდ, მაშინვე გვაცნობა: მე ჩემი შეგნებით სოციალ-დემოკრატი ვარ, მირჩევნია უშუალოდ ამ პარტიის წევრი ვიყო. მართლაც, რადიოში ის ამ პარტიას წარმოადგენდა ის დიდ პატივს სცემდა ნოე ჟორდანიას ხსოვნას, თავიდან ბოლომდე უკრიტიკოდ იზიარებდა მის მიერ წარმოებულ პოლიტიკას და ამ თავის შეხედულებას მის მსმენელებსაც უხვად უზიარებდა. მაგრამ, ამავე დროს, როგორც ნამდვილ დემოკრატს შეეფერება, ის რადიოში ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომელთაც ფესვები სამშობლოში ჰქონდათ, აძლევდა სიტყვას და ხშირად ისეთებსაც, რომლებიც საერთოდ, დასაწყისში მაინც, გააფრებით ებრძოდნენ ამ რადიოს.

კ. ინასარიძე ერთგულად და თავდაუზოგავად ემსახურებოდა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის, ერისა და ადამიანის უფლებების დაცვის კეთილშობილ საქმეებს. ამიტომ, დღეს, როდესაც ის მისი აქტიური მოღვაწეობის ერთ მონაკვეთს ამთავრებს, ჩვენი მამულიშვილური თანაგრძნობა და მაღლიერება გვსურს რომ მას მიაცილებდნენ.

კ. ინასარიძე ჯერ კიდევ ჭარმაგადაა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და იმედი გვაქვს, ცოტა დამსახურებული შესვენების შემდეგ, ის ჩადგება ჩვენი ეროვნული ემიგრაციის რიგებში და თავისი ცოდნით, გამოცდილებით და ადამიანე-

ბის ცნობით, კვლავაც დიდ სამსახურს გაუწევს უცხოეთში
დან ჩვენ სამამულო საქმეს.

რაც შეეხება ბ. კაშიას, მან იძულებული გაგვხადა თავი-
დანვე კრიტიკით შევეგებოთ. საქმე იმაშია, რომ 7 დეკემ-
ბრის თარიღით მან წერილობით გვაცნობა: 1. ახალი შინა-
განაწესის თანახმად ვწყვეტთ რადიო-გადაცემათა დაგზავ-
ნასო და 2. რადიო „თავისუფლების“ ჩვენს რედაქციაში წლე-
ბის განმავლობაში გაბატონებული იყო სოც. დემოკრატიული
პარტიის მმართველობა და კონტროლი, გადაწყვეტილი მაქვს
ამას ბოლო მოვუღო და რედაქციაში გავგაბატონო საერთო
ეროვნული, ზეპარტიული განწყობილებათ.

ამ ორ გადაწყვეტილებას შორის ჩვენ პირადად ვერ ვხე-
დავთ ვერავითარ კავშირ-ურთიერთობას. დავიწყეთ მეორე-
დან. ჩვენი ფიქრით, ბ. კაშია ვაცილებით უკეთეს სამსახუ-
რს გაუწევდა ქართულ საქმეს, მას რომ ეს მისი გადაწყვე-
ტილება უზმაუროდ გაეტარებია ცხოვრებაში და არა საქმის
დაწყებისთანავე ძმათა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომის
გამოცხადებით.

პირველ საკითხში კი, ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ
მისი გადაწყვეტილების. რადიო გადაცემებს ყველა მსურველი
ემიგრანტი რომ ღებულობდეს, ზედმეტი არ იქნება, მაგრამ ჩვენ-
თვის, ვინც პერიოდულ გამოცემებს ვაკეთებთ, ორმაგად სა-
ჭიროა: ა) ზოგიერთ გადაცემებს, რომლებიც საჭიროდ მიგ-
ვაჩნია, ვბეჭდავთ და ვავრცელებთ ჩვენ მკითხველებში, ბ)
საერთოდ კი თვალყურს ვადევნებთ გადაცემებს და კონტრ-
ოლს ვუწევთ მით რადიოს. ჩვენი კრიტიკა კი მათ ძალიან
ნაც უნდა აინტერესებდეთ, თუნდაც მათ კრიტიკის აზრი
არ გაიზიარონ. თუ ბ. კაშია მხოლოდ მის ამერიკელ უფრო-
სების წინაშე გრძნობს პასუხისმგებლობას და ემიგრაციის
აზრს კი უგულვებელყოფს, ეს ძალიან სამწუხარო იქნება:
ასეთი რადიო არსებობს რადიო „ამერიკის ხმის“ სახით. რაც
შეეხება რადიო „თავისუფლებას“-ის დაარსებული იყო და
სასურველია დარჩეს ემიგრაციის ხმაღ.



შემოწირულებათა სია ფრანგ. ფრანკებში

ბიჭიკო ახვლედიანი	3.000	მანია ყაველაშვილი	200
ლუბა კიწიელი	500	იროდ. ბეგიაშვილი	200
მიშა გოგორიშვილი	300	ლიდა ნასყადაშვილი	100
ბონდო კაკულია	285	ვალეკო ჩუბინიძე	300
ჭეინაბ და სალომე ზურა- ბიშვილი	500	შოთა გვასალია	300
გრიგოლ ლომაძე	200	ნიკოლა ანთაძე	100
ნიკო ბედელაძე	100	ისიდორე გაყონია	250
ნამო გოგუაძე	100	კარლო გვარჯალაძე	167
ზოსიმე ჯიშკარიანი	200	დავით ბებიაშვილი	1.838
ირაკლი ოთხმეწური	149	შალვა ცინცაძე	334
ირაკლი ჯაფარიძე	500	შოთა ბერეჟიანი	100
მართა სტურუა	50	გერასიმე ბოლქვაძე	500
ელენე ბარნოვი	150	დიმიტრი კლდიაშვილი	400
შალვა იაშვილი	100		
			4.789
			6.134
	6.134		
		სულ	10.923

1984 წლის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 35.050
 ამავე ხნის მთლიანმა გასავალმა კი — 35.974

ამრიგად, ჩვენი სალაროს წლებანდელი დანაკლისი შეადგენს
 924 ფრანკს.

ჩვენი უღმესი მადლობა ყველას, ვინც კი ეხმარება ამ ჩვენ პატარა საქმიანობას და განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ მათ, ვინც განსაკუთრებული ხელგაშლილობით ეხმარებოდა წლის განმავლობაში გუშაგს: დავით ბებიაშვილი, აწ განსვენებული ბიჭიკო ახვლედიანი, გერასიმე ბოლქვაძე, დავით ვაშაძე, გიორგი ნაკაშიძე, ქრისტეფორე იმნაიშვილი, შალვა ცინცაძე, გიორგი გორგიშელი, რაფიელ ჯაში, დავით თოხაძე, მიშა გოგორიშვილი, მიშა ქელიძე.

ყველას და ყველას — ჩვენს თანამშრომლებსა და მატერიალურ ხელისშემწებლებს — გუშაგი გილოცავთ ჯანმრთელ და ბედნიერ 1985 წელს, ჩვენი სამშობლოს სამსახურში.



საქართველოს
წიგნების კავშირი

ნ ო მ რ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი

- .1 *Santa Maria* – ლექსი – გიორგი ტოგონიძე
- .2 1985 წლის საახალწლო მოწინავე
- .3 მიმავალი 1984 წელი გუშაგი
- .13 ინდირა განდის მკვლელობა გულბათ გულბათიშვილი
- .17 ინფორმაციები სამშობლოზე და საბჭ. კავშირზე
- .32 სამგლოვიარო განცხადებები და ნეკროლოგები
ქალ-ონ ასმათ ფაღავას კეთილმოგონება გ. წერეთელი
- ბიჭიკო ახვლედიანთან გამოთხოვება მიხეილ ქავთარაძე
- .38 კრიტიკა–ლიტერატურა–კვლევა - ძიება
ოთარ იოსელიანი ვენეციის ფესტივალზე ეთერი
 მე ვმუშაობ სიტროენში –ლექსი– გიორგი ტოგონიძე
- პოეტი გიორგი ტოგონიძე გუშაგი
- .45 „გუშაგის“ რედაქციას ილია კუჭუხიძე
- .49 ცეცხლის ნოხი ჰამბურგზე –ლექსი– ირაკლი ოთხმეზური
- .52 „წყალი“-ს ადგილი ქართულ მეტყველებაში–გ. პერვესელი
- .61 მეკვლე ვარ – ლექსი – როზა აბნერაშვილი
- .62 მამა გრ. ფერაძის გარდაცვალების
 40 წლისთავი – დეკანოზი ილია მელია
- .65 ვალიკო ჩუბინიძის პასუხი – ვალიკო ჩუბინიძე
 და ჩემი გამოძახილი ... გ. წერეთელი
- .68 მილოცვა პრეზიდენტ რეიგანისადმი
- .69 საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის სამინისტროს
 პასუხი ბ. თამაზ ნასყადაშვილის მიმართვაზე
- .72 გლეხური უემშაკო დასკვნა – მიხაკო საჩხერელი
- .75 მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ
 ქართველთა ძეგლის შესახებ მიხეილ ქავთარაძე
- .76 ცვლილებები რადიო „თავისუფლებაში“ გუშაგი
- .79 ჩვენი ფონდი და წლიური ანგარიში

„გ უ შ ა გ ი“ (კოლექტივი „თავისუფლების ტრიბუნა“)
 გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი

ნ 28/13



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE